

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკა ლობჯანიძე

ახალგაზრდა ქალთა მიგრაცია და მისი გამომწვევი
ფაქტორები საქართველოში
(კახეთის რეგიონის მაგალითზე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი
სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

2009 წელი

შინაარსი

შესავალი	4
თავი I. შრომითი ემიგრაციის კვლევის თავისებურებანი საქართველოში	9
1.1 საქართველოში გარე მიგრაციული პროცესის ზოგადი დახასიათება	9
1.2 კვლევის მიზნები და ამოცანები	14
1.3 კვლევის მეთოდოლოგია	17
1.4 კახეთის რეგიონი როგორც კვლევის ადგილი	20
თავი II. ქალთა შრომითი მიგრაციის თავისებურებანი კახეთის რეგიონში	26
2.1 ქალთა შრომითი მიგრაციის ეკონომიკური მიზეზები და მოტივები	26
2.1.1 სიღარბე	26
2.1.2. დასაქმების პრობლემა	28
2.1.3. შემოსავლები და ხარჯები	36
2.2 ქალთა შრომითი ემიგრაციის საერთო დახასიათება	38
2.2.1 ემიგრაციის მიზნები	38
2.2.2 შრომითი ემიგრაციის ორგანიზების თავისებურებანი	39
2.2.2.1. ემიგრაციის ფორმები	39
2.2.2.2. ემიგრაციის ხარჯები	43
2.2.2.3. ემიგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები	46
2.2.3 ქალთა შრომითი მიგრაციის ძირითადი მიმართულებები	51
2.2.4 პოტენციური ემიგრანტები	57
2.2.5 ფულადი გზავნილები და გზავნილების სისშირე	61
2.2.6 შრომითი მიგრანტების განათლების დონე, დასაქმების სპექტრი და ადაპტაციის ხარისხი	66
2.2.7. შრომითი მიგრანტების კონტაქტები ოჯახთან და მათი უკან დაბრუნების პოტენციალი	74
2.2.8. ქალთა ემიგრაციის რისკ-ფაქტორები	84
2.2.9 შიდა შრომითი მიგრაციის მიზნები და მოტივები	89

2.2.10. ქალთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასება	91
თავი III შრომითი მიგრანტების დემოგრაფიული სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები კახეთის რეგიონში	
3.1 ზოგადი დემოგრაფიული სურათი	93
3.2 ქალთა ემიგრაცია და დემოგრაფიული უსაფრთხოება	108
3.3. ქალთა მიგრაციის შეფასება საერთაშორისო შრომითი მიგრაციის თეორიების საფუძველზე	112
დასკვნა	120
ბიბლიოგრაფია	127
დანართი 1	135
დანართი 2	143

შესავალი

საქართველოში ქალთა შრომითი მიგრაცია ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს კახეთის რეგიონიდან ახალგაზრდა ქართველ ქალთა შრომითი მიგრაციული პროცესების შესწავლას.

საქართველო, როგორც ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე გარდამავალ ეტაპზე იმყოფება. ქვეყანა ღია, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას ცდილობს. ადამიანის თავისუფალი განვითარების თანამედროვე კონცეფცია, სამოქალაქო საზოგადოების ახალი პრინციპები და ღირებულებები, საზოგადოებრივი თანხმობის პრიორიტეტები წინა პლანზე ქალის თვითრეალიზაციისათვის პირობების შექმნის უზრუნველყოფის პრობლემას აყენებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ქალის ადგილისა და როლის განსაზღვრა თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში.

ტრანზიციის პერიოდი, როდესაც ხდება ძველი ტოტალური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ინსტიტუტების შეცვლა ახლით, ხასიათდება მწვავე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით. მოძველებულია ღირებულებათა ძველი სისტემა და არსებობს მისი ტრანსფორმირების აუცილებლობა, მაგრამ ახალზე გადასვლა საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს.

გარდამავალი ხანა საქართველოში კრიზისით დაიწყო: ეკონომიკური კავშირები დაირღვა, საწარმოები გაჩერდა, გაჩნდა ენერგეტიკული პრობლემები, უმუშევრობა, ინფლაცია, კორუფცია და ა.შ. გარდამავალმა პერიოდმა საზოგადოების სოციალური დაუცველობის პრობლემა წარმოშვა. ძველი ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების რღვევამ ტრანსფორმაციის მთელი რიგი სპეციფიკური პრობლემები გააჩინა. სოციალური უზრუნველყოფის ძველი სისტემის ცვლილება და ახალი პროცესები შრომითი მოწყობის სფეროში, რაც საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან არის დაკავშირებული, პირველ რიგში, მოსახლეობის ქალურ ნაწილს შეეხო.

ძლიერად დაზიანდა მოღვაწეობის სწორედ ის სფეროები, რომელშიც ძირითადად სწორედ ქალები იყვნენ ჩაბმულნი. მრეწველობის დაცემამ, რეფორმებმა განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროებში კადრების გამონთავისუფლება გამოიწვია, რომელთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენდნენ. სტატისტიკის სა-

ხელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ქალთა შრომითი რესურსები მამაკაცთა შრომით რესურსებს აღემატება და შრომისუნარიანი მოსახლეობის 53%-ს შეადგენს. სამუშაოსა და ხელფასთან ერთად ქალებმა ყველა პრივილეგია დაკარგეს, რომლებითაც მანამდე სარგებლობდნენ. კერძო სექტორს კი ისეთი შრომითი რესურსი არ აწყობს, რომელსაც სადეკრეტო შვებულება, მოკლე სამუშაო დღე და ა.შ. უნდა შესთავაზოს. ამ მიზეზთა გამო გახშირდა ქალთა შრომითი მიგრაციის შემთხვევები.

ქალთა შრომითი მიგრაცია თავისი ისტორიის მანძილზე გადაიქცა მაღალი სოციალური რისკისა და ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევის სფეროდ. ადამიანთა ვაჭრობა, სექს-ექსპლოატაცია, იძულებითი შრომა-ეს და სხვა პრობლემები, რომლების ასოცირდება ქალთა მიგრაციასთან, წარმოადგენენ ადამიანთა ღირსების, თავისუფლებისა და ცხოვრების ფუნდამენტური უფლებების დარღვევებს და მათ ხშირად უწოდებენ XXI საუკუნის მონობას.

სხვადასხვა მიზეზები, (რასაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ) განაპირობებენ ქალთა საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მარგინალიზაციას. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ქალთა შრომითი მიგრაცია, თავისი ბუნებით არ უნდა განვიხილოთ როგორც მარგინალური. პირიქით, ჩვენი აზრით, ქალთა მიგრაციის მარგინალურობა სოციალურადაა კონსტრუირებული, ანუ ჩამოყალიბდა განსაზღვრული სოციალური პროცესის შედეგად. ეს კი განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა სოციალური როლების გენდერული ასიმეტრიით და მომდინარეობს იმ გავრცელებული შეხედულებიდან, რომლის მიხედვითაც ქალი მიიჩნევა, როგორც მეორადი სამუშაო ძალა, ერთიანობაში კი იმ სოციალური წესრიგიდან, რომელიც შემოსაზღვრავს ქალის როლს პრივატულ სფეროში. მეორე მხრივ, ქალი მიგრანტების მარგინალიზაციის მიზეზებად გვევლინება სახელმწიფოს უუნარობა, უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების მიგრაციის ლეგიტიმური საფუძველი. ეს განპირობებულია ჩვენი ქვეყნის არათანასწორუფლებიანი მდგომარეობით იმ ძირითად ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც დღესდღეობით მსოფლიო მიგრაციულ სცენაზე კარნახობენ „თამაშის წესებს“.

ქალთა მიგრაცია, როგორც მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობის დამოუკიდებელი სფერო, ევროპაში გამოიყო 80-ინი წლებში. შეიქმნა სხვადასხვა დონის ორგანიზაციები, ფონდები, საზოგადოებრივი მოძრაობები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნა ექსპერტთა ჯგუფი საერთაშორისო მიგრაციული

პოლიტიკისა და ქალი-მიგრანტების სტატუსის შესახებ. 1990 წელს ამ ჯგუფმა უმაღლეს საერთაშორისო დონეზე მოახდინა იმის კონსტანტირება, რომ მამაკაცების გვერდით ქალები გვევლინებიან საერთაშორისო მიგრაციის მთავარ „აქტორებად“, (ან მოქმედ პირებად), ანუ გვევლინებიან მიგრაციული პროცესების დამოუკიდებელ და აქტიურ მონაწილეებად. საერთაშორისო სტატისტიკა ადასტურებს, რომ მიგრაციულ პროცესებში ქალთა მონაწილეობა უტოლდება მამაკაცების მაჩვენებელს. ძირითადი მიმღები ქვეყნების მოსახლეობის აღწერით, მიგრანტების 48% ქალია. (საერთაშორისო... 1998:2)

ქალთა მიგრაციის დამოუკიდებელი კვლევის ასპარეზი ხშირად საკამათოა და იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. მიტომ, თავიდანვე უნდა განვსაზღვროთ სფერო, რომელიც ჩვენი განხილვის საგანი იქნება. ქალთა მიგრაციაზე ლაპარაკის დროს ჩვენ მხედველობაში გვაქვს მიგრაციული გადაადგილების ისეთი ტიპები, რომლის აქტიური აგენტები (მოქმედი პირები) არიან ქალები. ქალი შეიძლება იყოს მიგრაციის ინიციატორი და ოჯახისაგან დამოუკიდებლად განახორციელოს გადაადგილება. ანდა შეიძლება გაყვეს ქმარს და მიმღებ ქვეყანაში თავისი შრომითი მოწყობის აქტიური ორგანიზატორი გახდეს. ორივე შემთხვევაში ქალი მიგრაციულ სცენაზე აქტიურ მოქმედ პირად წარმოგვიდგება.

მიგრაციულ პროცესებში ქალთა რიცხოვნობა უფრო და უფრო იზრდება. ქალი მიგრანტები შრომითი ბაზრის ზოგიერთ სექტორში უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგალითად, გართობისა და საოჯახო მომსახურების სფეროში, (მათ შორის ავადმყოფების, მოხუცებისა და ბავშვების მოვლა). ასეთი „განტოტვილი“ ინფრასტრუქტურა მიაჩნებს ქალთა მიგრაციის სირთულეზე, მრავალ მომიჯნავე სოციალურ პრობლემასთან თანაკვეთაზე. უფრო მეტიც, სპეციალისტების მიერ მიგრაციული ნაკადების „ფემინიზაცია“ მიიჩნევა საერთაშორისო მიგრაციის განვითარების ახალი ეტაპის დამახასიათებელ ნიშნად (კასტელი... 1993:). ეს კი ბევრადაა დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებთან, რომელიც გლობალიზაციის პროცესების თანხლებით მიმდინარეობს.

საქართველოში (განსაკუთრებით-რეგიონებში) უმუშევრობის მაღალი დონე და დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება უბიძგებს ქალთა დიდ ნაწილს ეძიოს სამსახური საზღვარგარეთ და იქიდან მიღებული შემოსავლით სამშობლოში დარჩენილი ოჯახი არჩინოს. ფინანსური დახმარება, რომელსაც ქართველი ემიგრანტი ქალები თავიანთ ოჯახებს უზაგნიან, საკმაოდ სერიოზულ როლს

თამაშობს ამ ოჯახებისათვის და მათი შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

შრომითი მიგრაცია განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: მიმღებ ქვეყანაში არსებული მოთხოვნით მუშახელზე, რომელსაც ამ ქვეყნის მოსახლეობა ვერ აკმაყოფილებს და ემიგრანტების მშობლიურ ქვეყანაში მუშახელის ჭარბი ოდენობით და უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონით. შესაბამისად დაუსაქმებელი ან არასრულად დასაქმებული, დაბალი ანაზღაურების მქონე მუშახელი ცდილობს წავიდეს იმ ქვეყანაში, სადაც მასზე არის მოთხოვნა და სადაც უკეთესი ანაზღაურებაა. ხოლო მიმღებ ქვეყანაში ხშირ შემთხვევაში მეწარმეები უპირატესობას ანიჭებენ სწორედ იმიგრანტ მუშახელს. როგორც წესი იმიგრანტები მზად არიან შეასრულონ იმ ტიპის სამუშაო, რომლის შესრულებაც ადგილობრივ მუშახელს არ სურს და თან ძალიან დაბალი ანაზღაურებით. ამრიგად შრომითი ემიგრაცია აკმაყოფილებს როგორც მიმღებ, ასევე ემიგრაციის ქვეყნებს–პირველ შემთხვევაში ისინი იკმაყოფილებენ მოთხოვნას მუშახელზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, ქვეყნები თავისუფლდებიან ჭარბი მუშახელისგან და იღებენ მნიშვნელოვან ფულად დახმარებას.

საქართველოში შრომითი ემიგრაციის არსებული კვლევები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ემიგრანტთა რაოდენობის გამოთვლაზე, ემიგრაციის მიმართულებებზე, ემიგრანტების დასაქმების სფეროებზე, საზღვარგარეთ და მათ მიერ გამოგზავნილ ფულადი დახმარების ოდენობაზე,* მაგრამ კვლევის მიღმა ტოვებენ საკუთრივ ქართველი ქალების ემიგრაციის სფეროს.

წინამდებარე კვლევა, რომელიც ჩატარდა კახეთის რეგიონში, მიზნად ისახავს ქალთა შრომითი ემიგრაციის ხასიათისა და თავისებურებების, ემიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლას. დღესდღეობით საზღვარგარეთ გამგზავრება საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომელთა აკუმულირება საქართველოში არსებული დაბალი ხელფასებითა და უმუშევრობის მაღალი დონის გათვალისწინებით საკმაოდ რთულია. მაგდროულად, მიმღები ქვეყნები ყველანაირად ცდილობენ შეზღუდონ შრომითი ემიგრაციის რაოდენობა.

შრომითი ემიგრაცია საქართველოდან არც თუ ისე დიდი ხანია რაც დაიწყო, მაგრამ თუ საწყის ეტაპზე ემიგრაციულ ნაკადებში ჭარბობდა მამაკაცთა რიცხვი, შემდგომ ეტაპზე მნიშვნელოვნად იმატა ქალთა რიცხვმაც და ვფიქრობთ უფრო მოიმატებს. სწორედ ამიტომ ჩატარებული კვლევის ფარგლებში ჩვენს მიზანს

წარმოდგენდა იმის დადგენა, თუ რა მიზეზები და მოტივები განსაზღვრავს ქალთა შრომით ემიგრაციას და ამ პროცესების შედეგები როგორ აისახება საქართველოს მთლიან სურათზე.

წარმოდგენილი ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირია:

პირველ თავში წარმოდგენილია კვლევის მიზნები და ამოცანები. აღწერილია და დასაბუთებულია კვლევის მეთოდოლოგია. მოცემულია კახეთის რეგიონის, როგორც კვლევის ადგილის დახასიათება.

მეორე თავში მოცემულია კახეთის რეგიონიდან ქალთა შრომითი ემიგრაციის საერთო დახასიათება. განხილულია ის ეკონომიკური მიზეზები, რომლებიც უბიძგებენ ქალებს ემიგრაციისაკენ; მიზნები, რომელთა განხორციელებისკენაც მიისწრაფიან; გარკვეულია საზღვარგარეთ ემიგრაციის ორგანიზების ფორმები, ემიგრაციის მიმართულებები და ხელისშემშლელი ფაქტორები; გაანალიზებულია ემიგრაციაში მყოფი და ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების როლი და დახმარება ემიგრაციის სტიმულირებაში, შრომითი მიგრანტების განათლების დონე, საზღვარგარეთ მათი დასაქმების სპექტრი და ადაპტაციის ხარისხი; ჩამოყალიბებულია დახმარების ტიპოლოგია, რომელსაც ემიგრანტი ქალები უწევენ პოტენციურ ემიგრანტ ქალებს. წარმოდგენილია ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენა; ყურადღება გაგამახვილეთ იმ რისკ-ფაქტორებზე, რაც თან ახლავს ქალთა შრომით ემიგრაციას.

მესამე თავში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში დემოგრაფიული უსაფრთხოების პრობლემაზე, იმ უარყოფით შედეგებზე (მდებრობითი სქესის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაცია, ერის დემოგრაფიული დაბერების დაჩქარება, მოსახლრობის კვლავწარმოების გაუარესება), რაც საზღვარგარეთ ფერტილური ასაკის ქალთა მნიშვნელოვანი რაოდენობის ემიგრაციას მოჰყვა; კვლევის შედეგები გაანალიზებულია იმ შრომითი ემიგრაციის თეორიების საფუძველზე, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს შრომითი მიგრაციული პროცესების შესწავლისას; ყურადღება გამახვილებულია ამ თეორიების გამოყენების შესაძლებლობაზე დღევანდელ საქართველოს პირობებში.

დასკვნაში წარმოდგენილია და შეჯამებულია კვლევის შედეგები და მათი მნიშვნელობა საქართველოში ქალთა შრომითი მიგრაციის ახსნის პროცესში.

თავი I შრომითი მიგრაციის კვლევის თავისებურებები საქართველოში

1.1. საქართველოში გარე მიგრაციული პროცესის ზოგადი დახასიათება

გარე მიგრაცია მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2001 წელს გარე საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობამ 175 მილიონს მიაღწია, რაც მსოფლიო მოსახლეობის 3% შეადგენს. საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება რომლებსაც ემიგრაციულად მოიხსენიებენ. საქმე ისაა, რომ საქართველოსათვის 1960 წლიდან დამახასიათებელია გარე მიგრაციის უარყოფითი საღდო. სპეციალურ ლიტერატურაში, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით, გარე მიგრაციის უარყოფითი საღდოს საწყის წლად ზოგჯერ 1957 წელს უთითებენ (გახეხილაძე 1984:196).

1990-იან წლებამდე შედარებით მაღალი ბუნებრივი მატების პირობებში, გარე მიგრაციის საღდო „ფარავდა“ ბუნებრივი მატება და საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

მდგომარეობა შეიცვალა 1990-იან წლებში, როდესაც წინა პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა გარე მიგრაციის მასშტაბი და მანამდე არნახულ დონეს მიაღწია. ამ პერიოდში შობადობის არსებით შემცირებას თან მოჰყვა ბუნებრივი მატების საგრძნობი კლება. გაზრდილი გარე მიგრაციის პირობებში დაბალი ბუნებრივი მატება ვეღარ ახერხებდა საქართველოს მოსახლეობის დაბალანსებას დაბალ დონეზეც კი, რასაც 1993 წლიდან მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირება.

სადღეისოდ გარე მიგრაცია საქართველოს მოსახლეობის ფორმირების წამყვან კომპონენტს წარმოადგენს. დემოგრაფ-ექსპერტთა ვარაუდით გარე მიგრაცია, როგორც საქართველოს მოსახლეობის ფორმირების ფაქტორი, წამყვანი იქნება 2020 წლამდე მაინც (წულაძე... 2003:83) 1989 წლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობას გარე მიგრაციის შედეგად დააკლდა დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გარე მიგრაცია საქართველოსათვის, როგორც სადღეისოდ, ისე უახლოესი მომავლის განმავლობაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ გარე მიგრაციის აღრიცხვა პრაქტიკულად არ წარმოებს, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, 2002 წლის მოსახლეობის

საყოველთაო აღწერის შედეგები გარე მიგრაციის შესახებ არასრულფასოვანი აღმოჩნდა, ვინაიდან ისინი სრულიად ვერ მოიცავდნენ საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის რაოდენობას. თუმცა 2002 წლის მოსახლეობის აღწერამ გარკვეულ ჭრილში დააფიქსირა 114 ათასამდე ემიგრანტი და მათ შესახებ მონაცემები.

წარსულში ემიგრაცია საქართველოდან ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ამავე დროს, XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში მიმდინარეობდა ათეულ ათასობით არაქართული ეროვნების მოსახლეობის ჩამოსახლება. ეს კი იწვევდა მაშინდელი საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისა და გარე მიგრაციული პროცესების ურთიერთწინააღმდეგობას. 1990-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, შექმნილი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, მოჰყვა ემიგრაციის აქამდე არნახული ნაკადები. ამავე დროს საგრძნობლად გაუარესდა მიგრაციის აღრიცხვა.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის იმ მონაცემებით, რომელიც გარე მიგრაციის რეგისტრაციას ეფუძნება 1990-2000 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 217 ათასია (მიგრაციის... 2002:7). ამავე დროს ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, გარე მიგრაცია გაცილებით დიდი იყო. მაგალითად, რ. გაჩეჩილაძის შეფასებით, გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1990-1996 წლებში საქართველოს მოსახლეობისთვის დაახლოებით 620 ათასი შეადგინა (გაჩეჩილაძე 1997:36). თ გუგუშვილის შეფასებით, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1990-1997 წლებში 820 ათასს უტოლდებოდა. (გუგუშვილი 1998:52) მისივე ბოლო გაანგარიშებით, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1990-2000 წლებში ერთ მილიონს შეადგინა. გ. წულაძისა და ნ. მაღლაფერიძის ბოლო გაანგარიშებით, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1990-2000 წლებში მილიონ ოთხმოცი ათასს შეადგენდა (წულაძე... 2003:161).

საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებებს შორის შედარებით გარე მიგრაციის მაღალი ინტენსივობა ახასიათებდათ ოსებს, ბერძნებსა და რუსებს. ხოლო გარე მიგრაციის სალდოს ფარდობითი დაბალი სიდიდე აზერბაიჯანელებსა და სომხებს, და ყველაზე დაბალი-ქართველებს. სწორედ ასეთ ვითარების შედეგად გაიზარდა საქართველოს მოსახლეობაში ქართველების წილი 70%-დან 84%-მდე (წულაძე 2005:13).

2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით მეტი მამაკაცია ემიგრირებული, ვიდრე ქალი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გარე მიგრაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში შეინიშნება ფემინიზაცია, მაინც მამაკაცების წილი ჭარბობს ქალებისას.

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს აღწერით მიღებული სქესობრივი თანაფარდობა შესაძლებელ რეალურ ვითარებას. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ემიგრანტი მამაკაცების წილი 58,7% იყო, ხოლო ქალებისა-41,3% (მიგრაციის... 2002:34).

შრომითი მიგრაცია თანამედროვე გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების გამოხატულებაა. იგი კიდევ უფრო განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაცია, უცხოელთა პოლიტიკური, შრომითი და სოციალური უფლებების თანდათანობითი განმტკიცება, მეორე მხრივ, კი სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის მიმოსვლის გაადვილება, ტრანსპორტის გაიაფება, მოსახლეობის ინფორმირებულობის არნახული ზრდა იყო. გლობალიზაციის გავლენა განსაკუთრებით მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენზე გამოიხატა. ამავე დროს, მიგრაციას თავისი წვლილი შეაქვს თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა ტრანსფორმაციაში. მიგრაციის ბუნებას მრავალი ხელშემწყობი თუ შემაფერხებელი ფაქტორები განაპირობებენ მათ შორის უმთავრესია ეკონომიკური განვითარება და უთანაბრობის გადრმავეება, მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა, მიგრაციის ორგანიზების გზები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მგზავრობის გამარტივება, გარემო პირობების გაუარესება და ადამიანთა უფლებების დარღვევა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებს შრომითი მიგრაცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განვითარებაში. შრომითი მიგრაცია ობიექტური რეალობაა და გარეგნულად ხშირად უარყოფითი ფონის მიუხედავად, უფრო მეტი დადებითი მომენტების შემცველია, ვიდრე უარყოფითისა.

მსოფლიო მიგრაციულ ვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა სოციალისტური სისტემის პოლიტიკურმა დაშლამ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განვითარებულმა საყოველთაო კრიზისმა, ცხოვრების დონის მკვეთრმა

გაუარესებამ, პოლიტიკური ვითარების დამძიმებამ მიგრაციის ახალი ტალღები წარმოშვა, როგორც ამ ქვეყნებს შორის, ისე ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიმართულებით. შესაბამისად, საქართველოშიც მიგრაციული ვითარება ეკონომიკურმა კოლაფსმა და შიგა და გარე შრომის ბაზრებზე შექმნილმა სამუშაო ძალის მიწოდება-მოთხოვნის კანონზომიერებამ განსაზღვრა. განვითარდა ქვეყნისათვის არნახული ინტენსიურობის მქონე შრომითი მიგრაციული პროცესები.

სხვადასხვა კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ ქვეყანაში ინტენსიური მიგრაციის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორს სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება წარმოადგენს.

შრომითი მიგრაცია იქცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ყოფის უმნიშვნელოვანეს მოვლენად, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვა საზოგადოების მხრიდან დიდი შეშფოთება მისი შედეგების გამო. არანაკლებ შემაშფოთებელია ისიც, რომ დღემდე ამ საჭირობო პრობლემის მეცნიერული კვლევა ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და ხორციელდება მწირი რესურსებით, რაც ადეკვატურად ვლინდება შრომითი მიგრაციის ამა თუ იმ ასპექტის არასრულ შეფასებაში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უცხოეთში სამუშაო მიზნით მიგრაცია, უმეტესად ამ ქვეყნებში მიგრანტების არაღეგალური დასაქმებით მთავრდება, საეჭვო ხდება მათი ადამიანური უფლებებისა და ღირსების დაცვის საკითხი.

შრომითი მიგრაციის შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მოვლენა სრულიად უცნობი არ გახლავთ საქართველოსათვის. ჯერ კიდევ ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებშია აღწერილი სამუშაოს საშოვნელად უცხო ქვეყანაში წასვლის მრავალი შემთხვევა.

XX საუკუნეში შრომითი მიგრაცია უფრო მეტი ინტენსიურობით განვითარდა. საუკუნის ოციან წლებში საქართველოს სოფლებში შრომითი რესურსების ბუნებრივი მატება მაღალი იყო და ადგილობრივი შრომითი ბაზრები ვერ უზრუნველყოფდნენ სამუშაო ძალის მიწოდების მოთხოვნით დაბალანსებას. ამიტომ მოსახლეობამ ე.წ. „გარე სარეწავზე“ დაიწყო გასვლა, რამაც იმდროინდელი ხელისუფლების შეშფოთება გამოიწვია და მისი მოწესრიგების მიზნით აღრიცხვა და ანკეტური შესწავლაც დაიწყო (შრომითი...2003:3).

ამრიგად, შრომითი მიგრაციის შესწავლისას გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში, განსაკუთრებით მის ცალკეულ რეგიონებში განსაკუთრებით დიდი

იყო გარე მიგრაცია მიწით ნაკლებად უზრუნველყოფილი მთიანი მაზრებიდან (დუშეთის, რაჭის) და საქართველოში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მაზრებიდან (ახალქალაქის). უმუშევარი მოსახლეობა ძირითადად რუსეთში გადიოდა სამუშაოდ, შრომითი მიგრაციული პროცესები ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა და ამ მხრივ გარკვეულ ტრადიციულობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზეზით კახეთის რეგიონი, წარსულში არასოდეს ქცეულა დიდი ემიგრაციის არეალად, რადგან აქ განვითარებული სოფლის მეურნეობა და მსუბუქი მრეწველობის დარგები სრულად თუ არა, უმეტესად მაინც უზრუნველყოფდა შრომისუნარიან ქალთა ძალის დასაქმებას.

თუმცა, ის მასშტაბი და ყოვლილსმომცველი ხასიათი, რაც მიგრაციამ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მიიღო, სრულიად ახალ ეპოქას ქმნის ქვეყნის შრომითი რესურსების ტერიტორიულ მობილურობაში.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ქვეყნიდან შრომითი მიგრაციის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი მაინც შეუსწავლელია. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მიგრაციული სტატისტიკის, განსაკუთრებით კი ემიგრაციის შესახებ არასრულყოფილი მონაცემებია, რასაც თან ერთვის შრომითი მიგრაციის უმთავრესად არალეგალური ხასიათი.

ბოლო პერიოდში, სტატისტიკურმა ორგანოებმა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით სცადეს გარე მიგრაციის აღრიცხვა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში საზღვრის გადამკვეთთა შერჩევითი გამოკვლევის გზით, მაგრამ გარკვეული მეთოდური ნაკლოვანების გამო ხელშესახებ შედეგს ვერ მიაღწიეს. ამ გამოკვლევით ყველა საზღვრის გადამკვეთი მიგრანტად იწოდება და ძნელი ხდება იმის დადგენა, ვინაა სტაციონარული თუ შრომითი მიგრანტი. ამ მასალის გამოყენება გარე ტერიტორიული მობილურობის ინტენსიურობის ზოგადად დასადგენად ნაწილობრივ გამოდგება, თუმცა რეალური ინდიკატორების განსაზღვრა ძნელია.

ასეთ ვითარებაში, როცა ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, შრომითი მიგრაციის შესასწავლად აუცილებელი ხდება შერჩევითი გამოკვლევების ჩატარება, ინფორმაციის მიღება გამოკითხვის გზით.

იმისათვის, რომ კვლევის შედეგად მიგველო კახეთის რეგიონში ქართველ ქალთა შრომითი მიგრაციის თავისებურებების სრულყოფილი სურათი, შევეცადეთ

გაგვეთვალისწინებინა ამ რეგიონის ეთნოდემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარებით გამოწვეული სპეციფიკური პირობები. კვლევის რეგიონებად ავირჩიეთ კახეთის მხარის ყველა რაიონი, რაიონული ცენტრები და თითოეული რაიონის რამდენიმე სოფელი. კახეთის რეგიონში გამოკითხვის პუნქტები და კონკრეტული მიკროზონები განისაზღვრა იმ მიზნით, რომ შეძლებისამებრ, მაქსიმალურად ასახულიყო გენერალური ერთობლიობა.

12. კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორია ქალთა მიგრაცია კახეთის რეგიონში, რა ფაქტორები ახდენენ მთავარ როლს შრომითი ემიგრაციის სტიმულირებაში, როგორ შესაბამისობაა ქალთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა და მიგრაციულ განწყობას შორის. ცხადია, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა იმის გარეშე, თუ თავდაპირველად არ შევისწავლიდით, როგორი იყო ამ რეგიონიდან შრომითი ემიგრაციის დონე, რომელი ქვეყნებისკენ იყო მიმართული, როგორი იყო ამ რეგიონის მაცხოვრებელი ქალების, კერძოდ დაბრუნებული თუ პოტენციური ემიგრანტების დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები.

მიგრაციის მეცნიერული შესწავლა ემსახურება პრაქტიკულ მიზანს—დადგინდეს მოსახლეობის გადაადგილების მიზეზები, მიმართულება, ინტენსივობა, და ა.შ. და ამ გადაადგილების შედეგები, ანუ გავლენა ადამიანების გასვლისა და შემოსვლის ადგილებში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაზე, მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე და ბუნებრივ გარემოზე. თუმცა, მოსახლეობის მიგრაცია კვლავაც რჩება უპირატესად დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის საგნად, მიგრაცია, როგორც კვლევის საგანი, თანდათან ინტეგრირდება ეკონომიკურ და სოციალურ თეორიებში, სივრცობრივ ანალიზსა და ბიჰევიორისტულ თეორიებში.

მიუხედავად მიგრაციის მრავალმხრივი შესწავლისა, ითვლება, რომ მიგრაციის რაიმე მწყობრი თეორია ჯერ ვერ ჩამოყალიბდა (გაჩეჩილაძე 1997:6).

ჩვენი აზრით აღნიშვნის ღირსია საკმაოდ წარმატებული ცდა, შექმნილიყო მეტნაკლებად უნივერსალური ახსნა მოსახლეობის მიგრაციისადმი. ე-19 საუკუნის მიწურულში ამერიკელმა მეცნიერმა ე. რავენსტაინმა ჩამოაყალიბა დებულებები,

რომელთაც იგი „მიგრაციის კანონებს“ უწოდებდა. „მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა, რავენსტაინის „კანონების“ უმრავლესობა კვლავაც ინარჩუნებს აქტუალობას და შემდეგდროინდელი მეცნიერებები მათ მოდიფიცირებას უფრო ასერხებენ, ანდა ავსებენ მათ, ვიდრე არსებითად უარყოფდნენ ან ცვლიდნენ“ (გაჩეჩილაძე 1997:7). რავენსტაინის „კანონებს“, რა თქმა უნდა, არა აქვთ უნივერსალური ხასიათი, მაგრამ მრავალი მათგანი სავსებით შეესაბამება ქალთა მიგრაციის დღევანდელ სურათს და ზოგადად ჩვენს რეალობას.

ჩვენი საკვლევ საკითხთან ყველაზე შესაბამისია შემდეგი „მიგრაციის კანონები“:

- მიგრაცია ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ;
- მიგრანტები, რომლებიც შორ მანძილზე მიდიან, ამჯობინებენ მსხვილ სამრეწველო და კომერციულ ცენტრებში წასვლას;
- ქალები უფრო მეტად მონაწილეობენ მიგრაციაში იმ ქვეყნის შიგნით, სადაც დაიბადნენ, ვიდრე მამაკაცები; მაგრამ თავისი ქვეყნის გარე მიგრაციაში ქალებზე უფრო მეტად მამაკაცები მონაწილეობენ;
- მიგრანტების უმრავლესობა სრულწლოვანია;
- მიგრაციის სიდიდე მატულობს, როდესაც ვითარდება მრეწველობა, კომერცია და უმჯობესდება ტრანსპორტი;
- მიგრაციის ძირითადი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო რეგიონებიდან სამრეწველო და კომერციულ ცენტრებში გადაადგილება;
- მიგრაციის ძირითადი მიზეზი ეკონომიკურია.

ჩვენს რეალობასთან შესაბამისობის გამო საჭიროდ მივიჩნით მათი მიმართება კახეთის რეგიონში გაბატონებულ ქალების მიგრაციულ ტენდენციებთან შეგვემოწმებინა.

წინამდებარე გამოკვლევას არა აქვს პრეტენზია ამომწურავად გააშუქოს ქალთა მიგრაციული პროცესები საქართველოში. მისი მიზანი უფრო ვიწროა: არსებული და უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ შეზღუდული ინფორმაციის ანალიზის ფონზე გამოგვეთოდ ქართველ ქალთა ემიგრაციის ძირითადი მახასიათებლები. ცნობილია, რომ არსებობს გარკვეული განწყობა, მხოლოდ ნეგატიურად შეფასდეს მოსახლეობის მიგრაცია, განსაკუთრებით გარე, აგრეთვე სოფლიდან ქალაქად მიგრაცია; არსებობს ალარმისტული განწყობებიც- ემიგრაციის შედეგად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დრამატული კლების

შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ განწყობებს გააჩნიათ რეალური საფუძველი. მის შესახებ დამაჯერებელი ინფორმაცია საკმაოდ მწირია, ამიტომ ჩვენ შევეცადეთ ჩაგვეტარებინა სოციოლოგიური გამოკვლევა, რათა, შესაძლებელი გამხდარიყო ქალთა მიგრაციის პროცესის გარკვეული ტენდენციების განსაზღვრა.

ანალიზი გავაკეთეთ სტატისტიკური, დოკუმენტური მასალების მიხედვით და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით. გვანტერესებდა დაგვედგინა ახალგაზრდა ქალთა მიგრაციული ტენდენციების მასშტაბები და მათი განმაპირობებელი მიზეზები, პოტენციური მიგრანტების ძირითადი პარამეტრები და კულტურულ და სულიერ ღირებულებათა ზემოქმედება მიგრაციულ ტენდენციებზე.

ამ კვლევითი მიზნის მისაღწევად საჭირო იყო შემდეგი კვლევითი ამოცანების ამოხსნა:

1. შეგვესწავლა ამ რეგიონიდან ქალთა ემიგრაციის დონე, ემიგრაციის მიმართულებები (მიმღები ქვეყნები), დაბრუნებული და პოტენციური ემიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები.
2. დაგვედგინა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა ემიგრაციის ზრდას.
3. გაგვეჩვენა ქალთა შრომითი ემიგრაციის მასშტაბების ზრდით გამოწვეული ის უარყოფითი შედეგები, რაც გავლენას ახდენს დღევანდელი საქართველოს დემოგრაფიულ სურათზე.

კვლევის ჰიპოთეზა შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: კახეთის რეგიონის მაგალითი ცხადყოფს, რომ საქართველოში მიმდინარე რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობები გადამწყვეტ როლს თამაშობენ პოტენციური ემიგრანტების საზღვარგარეთ გამგზავრებაში. სავარაუდოა, რომ ემიგრაციის დონე საქართველოდან უფრო გაიზრდება, რადგან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველოში მიმდინარე რთული პოლიტიკური ვითარება უფრო ამწვავებს მდგომარეობას. ფერტილური ასაკის ქალების ქვეყნიდან მასშტაბური გასვლა იწვევს, როგორც თავად ქალის სტატუსის ცვლილებას, ასევე ერის დემოგრაფიული მდგომარეობის დამძიმებას. წინამდებარე ჰიპოთეზები შემოწმდა კახეთის რეგიონში ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

13. კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში არსებული ემიგრაციის ამსახველი მონაცემები ნაკლებ სანდოობით გამოიყენება. ეს გარკვეულწილად გამოწვეულია სტატისტიკური აღრიცხვიანობის დაბალი ხარისხით და გარე მიგრაციის ხასიათით, რაც უაღრესად რთულ, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელსაც კი ხდის მიგრაციული პროცესების ზუსტ აღრიცხვას. ამასთან ერთად, როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს მოქალაქეთა გარე მიგრაციის აღრიცხვიანობის შესახებ, თავს იჩენს სხვა პრობლემაც: მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდობლობით ეკიდება ინტერვიუერთა კითხვებს, რომელიც მიგრაციას ეხება. როგორც 2002 წლის საყოველთაო აღრიცხვამ ცხადყო, სპეციალურად ამ აღწერისათვის მომზადებულმა მომზადებულმა კითხვარმა არ „იმუშავა“. აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოდან მხოლოდ 113726 ადამიანია წასული საზღვარგარეთ (ვადაჭკორია 2004:46). როგორც ცნობილია ამავე აღწერის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1989-2002 წლებში 5400. ათასიდან 4371.5 ათასამდე შემცირდა, ანუ 1029.3 ათასი ადამიანით. ეს სხვაობა მხოლოდ მოკვდავობით არ აიხსნება. შესაბამისად, აღწერის შედეგად მიღებული ემიგრანტების რაოდენობა ნაკლებად სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ, როდესაც საქართველოში მიგრაციის სტატისტიკაზე საუბრობენ, თითქმის ყოველთვის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად იშველიებენ საექსპერტო გაანგარშებებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში საგრძნობლად განსხვავდება ოფიციალური მონაცემებისაგან.

1989-2001 წლებში საქართველოდან გარე მიგრაციის სალდოს დასადგენად ა. ვადაჭკორია ირიბ მეთოდს იყენებს და ადგენს, რომ „გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ აღწერათშორის პერიოდში (1989-2001) სულ 928.6 ათასი შეადგინა“ (ვადაჭკორია 2004:52). გ. წულაძისა და გ. მგელაძის შეფასებით, 1990-1996 წლებში გარე მიგრაციის სალდომ 1006 ათასს მიაღწია (ვადაჭკორია 2004:52). რ. გაჩეჩილაძის აზრით, ამავე პერიოდისათვის საქართველოდან 620 ათასი ადამიანი გავიდა, ხოლო თ. გუგუშვილის შეფასებით, 1990-1997 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 829 ათასს უტოლდება (ვადაჭკორია 2004:42). როგორც ვხედავთ, განსხვავებები საექსპერტო შეფასებებს შორის საკმაოდ დიდია, მაგრამ ყველა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოდან გაცილებით მეტი ადამიანია გასული, ვიდრე ეს აღწერის შედეგად დადგინდა. ცხადია, რომ იმის გაგება, თუ

რეალურად რამდენი ადამიანმა დატოვა საქართველო ამ წლების მანძილზე, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება. ამავდროულად ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება გარე მიგრაციული პროცესების შესწავლის მიზნით რეპრეზენტატული შერჩევის აგება, რადგან არ არსებობს მონაცემები გენერალური ერთობლიობის შესახებ, რაც გარკვეულწილად, ეჭვქვეშ აყენებს საქართველოში ჩატარებული გარე მიგრაციის რაოდენობრივი კვლევების შედეგების სანდოობას.

ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცადეთ კვლევა ჩაგვეტარებინა საქართველოს ყველაზე დიდ რეგიონში, სადაც, ისე როგორც მთელ საქართველოში, ემიგრაციის მაღალი დონეა.

კვლევის მეთოდოლოგიური შემუშავებისას გამოყენებულია კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები, რამაც საშუალება მომცა გადამემოწმებინა და შემედარებინა შედეგები, რაც უფრო დამაჯერებელი დასკვნების გამოტანის საშუალებას მომცემდა.

თვისებრივი კვლევა—სიღრმისეული ინტერვიუს ძირითადი ნაწილი ჩატარდა 2008 წელის 20 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით.*

უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად გადავწყვიტე ინტერვიუ ჩამეტარებინა როგორც პოტენციურ, ასევე დაბრუნებულ ემიგრანტ ქალებთან. სიღრმისეულ ინტერვიუ ჩატარდა 20 რესპონდენტთან. აქედან 10 იყო პოტენციური ემიგრანტი, ხოლო 10-დაბრუნებული ემიგრანტი.

პირველივე ინტერვიუებიდან ცხადი გახდა, რომ ემიგრანტები თავს იკავებდნენ იმ საკითხებში, რომლებიც ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენდა. თუმცა დაბრუნებული ემიგრანტები დეტალურად პასუხობდნენ იმ კითხვებს, რომლებიც მათ საემიგრაციო გამოცდილებას ეხებოდა. ამასთან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი დაბრუნებული ემიგრანტი მოკლე ხანში ისევ აპირებდა საზღვარგარეთ წასვლას. მათთან ჩატარებული ინტერვიუს საშუალებით მე შევძელი მიმედო ინფორმაცია ემიგრაციის მოსამზადებელი ეტაპების შესახებ.

რესპონდენტების მოძიება შესაძლებელი გახდა კახეთის მაცხოვრებლების დახმარებით.* მას შემდეგ, რაც კვლევის ობიექტი საბოლოოდ განისაზღვრა, მე არ შემიზღუდავს რესპონდენტების შერჩევის კრიტერიუმები—რესპონდენტი შეიძლება ყოფილიყო ყველა სრულწლოვანი პოტენციური ემიგრანტი და საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი.

რაოდენობრივი კვლევა—კახეთის შინამეურნეობების აღწერისას ჩვენ

ძირითადად ვეყრდნობით 2004 წლის კახეთის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებს. რადგან ჩვენ არ გვქონდა ინფორმაცია არც კახეთიდან ქალთა ემიგრაციის დონის, არც შრომითი ემიგრანტების და არც დაბრუნებული, თუ პოტენციური ემიგრანტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, შინამეურნეობების შერჩევითი კვლევის ჩატარება არ იქნებოდა გამართლებული. აღწერის შედეგებით კი ჩვენ არ ვვლევით რეპრეზენტატიული პრობლემების წინაშე, რადგან გროვდება ინფორმაცია მთელი გენერალური ერთობლიობის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2004 წლის კვლევით კახეთის რეგიონში შინამეურნეობების რიცხვი 126,2 ათასს შეადგენდა, ჩვენი გამოკვლევა კი მოიცავს რეგიონის ყველა რაიონს, ეს გვაძლევს საფუძველს ჩავთვალოთ, რომ მიღებული მონაცემები სრულად ასახავს კახეთში შექმნილ ვითარებას. კვლევისათვის შემუშავებულ იქნა ანკეტა.** ინტერვიუს ატარებდნენ ნებისმიერ ქალთან.

კვლევისას ჩვენ ვეყრდნობით გენდერულ სტატისტიკას, როგორც უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რამაც საშუალება მოგვცა გავგვეთვალისწინებინა ქალის, როგორც სპეციფიკური სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის თავისებურებანი.

გამოკვლევის პროცესში არ მიგვიმართავს კვლევის ე.წ. ანამნესტიკური მეთოდისთვის, რაც გულისხმობს შრომით მიგრანტთა აქ დარჩენილი ოჯახის წევრებისა და სხვა ახლობლების გამოკითხვას. ამ მეთოდს თავისი ნაკლი გააჩნია, რადგან ახლობელთა დიდი ნაწილი არ ფლობს იმ ინფორმაციას საკმაო სიზუსტით, რომელიც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გვინტერესებდა, ასეთ შემთხვევაში ინტერვიუ პრაქტიკულად გაუქმდებოდა და საჭირო გახდებოდა ახალი რესპონდენტების მოძებნა. ცხადია, შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრის ინფორმაციულობა ხარისხით ვერ გაუტოლდება უშუალოდ შრომითი მიგრანტისაგან აღებულ ინტერვიუს, სწორედ ამიტომ, ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკითხა უშუალოდ პოტენციური, თუ უკვე დაბრუნებული მიგრანტი ქალები. ჩავთვალეთ, რომ ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის და პასუხების გულწრფელობის ხარისხი უფრო მაღალი იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია ერთი კვლევის შედეგების განზოგადება მთელ გენერალურ ერთობლიობაზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ კახეთი საქართველოს ყველაზე დიდი რეგიონია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქალთა შრომითი ემიგრაციის პროცესის გამოკვეთილი მახასიათებლები, ემიგრაციის

გამომწვევი მიზეზები, ემიგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორები, დამახასიათებელი იქნება საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც.

14. კახეთის რეგიონი როგორც კვლევის ადგილი

კახეთის რეგიონი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ტერიტორიის ფართობის მიხედვით უდიდესია ქვეყნის რეგიონებს შორის. კახეთის რეგიონში აბსოლუტურ უმრავლესობაში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველია. მოსახლეობის 1989 წლის აღწერის შედეგებით კახეთის რეგიონში სულ აღირიცხებოდა 441045 ათასი ადამიანი, მათ შორის ქართველი მოსახლეობა შეადგენდა 360245 ათასს. ხოლო მოსახლეობის 2002 წლისთვის რიცხოვნობამ 407182 ათასამდე იკლო, ქართველი მოსახლეობის რიცხვი კი, 341503 ათასამდე შემცირდა (საქართველოს... 2002:).

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით, ქართველები რეგიონის მაცხოვრებელთა საერთო რაოდენობის 84% შეადგენდნენ. (საქართველოს... 2002:). ხოლო, 2004 წლის მაისში, კახეთის რეგიონში ჩატარებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოკვლევით, ქართველთა რაოდენობა—91,5%. (მოსახლეობის...2004:10) განსხვავებული მონაცემების მიუხედავად ნათელია, რომ რეგიონის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის ეროვნულობის მიხედვით ასეთი მდგომარეობა გვაქვს: აზერბაიჯანელი—7%, სომეხი—6%, რუსი—2%, ოსი—1,7%, ქისტი—1,7% (საქართველოს... 2002:). ამავე აღწერის მონაცემებით, შინამეურნეობების რიცხვი 126,2 ათასს შეადგენდა. რეგიონის მოსახლეობის 20,8 პროცენტი ქალაქში ცხოვრობდა, ხოლო დანარჩენი 79,2 პროცენტი სოფლად. ქალები მოსახლეობის 52 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო მამაკაცები 48 პროცენტს.

რაც შეეხება კახეთის რეგიონში ქართველი ეროვნების მოსახლეობის განაწილებას რაიონების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერით ასეთნაირად გამოიყურება:

(ცხრილი 1)*

ქართველი ეროვნების მოსახლეობის განაწილება რაიონების მიხედვით

		ქართველი	
		კაცი	%
საქართველო	4371535	3661173	84
კახეთი	407182	341503	84
ახმეტა	41641	31237	75
გურჯაანი	72618	71148	98
დედოფლისწყარო	30811	27441	89
თელავი	70589	60370	86
ლაგოდეხი	51066	35376	69
საგარეჯო	59212	39409	67
სიღნაღი	43587	42226	97
ყვარელი	37658	34296	91

იმისათვის, რომ გამოკვლევის შედეგების განზოგადებისათვის მეტი საშუალება და საფუძველი გვქონოდა, კვლევა მთელი რეგიონის მასშტაბით განხორციელდა და მოიცვა როგორც ქალაქები ასევე სოფლებიც.

კახეთის რეგიონის თოთოეული რაიონული ცენტრის მოსახლეობის სოციალური სტრატეგია მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მთლიანობაში კი იქმნება კახეთისათვის ზოგადი ვითარება. თითოეულ რაიონში იგივე პრინციპით შეირჩა 4-5 სოფელი, სადაც შეძლებისამებრ სრულად გამოიკითხა შრომითი მიგრანტი ქალები. კვლევის პროცესში ინფორმაციის ხარისხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გამოკვლევისას შერჩევის რეპრეზენტატულობის განსაზღვრას, კერძოდ იმას, თუ რამდენად შევძლებდით შერჩეული ერთობლიობით აგვესახა გენერალური ერთობლიობა. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევისათვის საკმარისად იქნა მიჩნეული 802 ინტერვიუ, რეალურად გამოიკითხა 1202 რესპონდენტი, მაგრამ კითხვაზე: „გაქვთ თუ არა ემიგრაციაში წასვლის

სურვილი?”, 400 ქალმა კითხვას უარყოფითად უპასუხა, რაც ანალიზისთვის მნიშვნელოვანი მონაცემია.

საკვლევი რესპონდენტების რაოდენობა გადანაწილდა თითოეული რაიონის ცენტრებსა და სოფლებზე: გურჯაანის რაიონი–ქ. გურჯაანი და 5 სოფელი: ველისციხე, კარდანახი, გურჯაანი, ჩუმლაყი, კაჭრეთი; თელავის რაიონი–ქ. თელავი და 5 სოფელი: კურდღელაური, ნაფარეული, აკურა, ვარდისუბანი, იყალთო; საგარეჯოს რაიონი–ქ. საგარეჯო და 5 სოფელი: ლამბალო, თულარი, იორმულანლო, კაკაბეთი, მანავი; ლაგოდეხის რაიონი–ქ. ლაგოდეხი და 5 სოფელი: კაბალი, აფენი, კართუბანი, ცოდნისკარი, ბაისუბანი; სიღნაღის რაიონი–ქ. სიღნაღი და 4 სოფელი: საქობო, ბოდბე, ბოდბისხევი, ანაგა; ახმეტის რაიონი–ქ. ახმეტა და 4 სოფელი: მატანი, ზემო ალვანი, დუისი, ქვემო ალვანი; ყვარლის რაიონი–ქ. ყვარელი და 4 სოფელი ახალსოფელი, შილდა, ჭიკაანი, გავაზი; დედოფლისწყაროს რაიონი–ქ. დედოფლისწყარო და 3 სოფელი ზემო მახსაანი, ზემო ქედი, წითელი წყარო.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენს მიერ შერჩეულ სოფლებში ქართული მოსახლეობა უმეტეს მათგანში აბსოლუტურ უმრავლესობაშია. მხოლოდ რამდენიმე სოფელია, სადაც ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. დედოფლისწყაროს რაიონში, ზემო ქედის მოსახლეობიდან ქართველია–64%, რუსი–23%; წითელი წყაროს მოსახლეობიდან ქართველია–35%, რუსი–31%, სომეხი–23%; ყვარლის რაიონში, ახალსოფლის მოსახლეობიდან ქართველია–69%, ავარიელი–27%; ახევე სოფელ ჭიკაანში ქართველია–65%, ხოლო ავარიელი–30%.

ანკეტირებისთვის შერჩეული სოფლებიდან მხოლოდ რამდენიმეა ისეთი, სადაც უმცირესობაშია ქართველი მოსახლეობა. ასეთია, ლაგოდეხის რაიონში სოფელი კაბალი, საგარეჯოს რაიონში სოფლები – იორმულანლო, ლამბალო და თულარი, სადაც მოსახლეობაში რიცხოვნობით ჭარბობენ აზერბაიჯანელი ეროვნების წარმომადგენლები. რაც შეეხება ახმეტის რაიონში სოფელ დუისს, აქ მოსახლეობის 35% ქართველია, ხოლო 74%–ქისტი.

ამრიგად უფრო ღრმა და მრავალმხრივი ინფორმაციის მიღების მიზნით შევეცადეთ ჩვენს მიერ შერჩეული გამოკითხვის პუნქტებით მთლიანად მოგვეცვა კახეთის რეგიონი.

(ცხრილი 2)*

შერჩეულ რესპონდენტთა რაოდენობა რაიონების მიხედვით

რაიონი	მაცხოვრებელი სულ	მათ შორის კაცი	მათ შორის ქალი 18-60წ	მათ შორის ქალი %	გამოთხულ რესპონდენტთა რაოდენობა
გურჯაანი	72,618	34,482	21,508	18.0%	147
თელავი	70,589	33,307	21,026	17,6%	140
საგარეჯო	59,212	29,253	16,896	14,1%	115
ლაგოდეხი	51,066	24,962	14,722	12,3%	100
სიღნაღი	43,587	20,349	13,106	11,0%	90
ახმეტა	41,641	20,091	12,154	10,0%	80
ყვარელი	37,658	18,015	11,078	9,3%	70
დედოფლისწყარო	30,811	14,582	9,153	7,7%	60
სულ	407,182	213,056	119,643	100,0%	802

ასაკობრივი შერჩევა შეეხო 18-34, 35-54 და 55-60 წლის ქალებს. (მესამე ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე ცოტაა გამოკითხული, რადგან აქ ასაკობრივი სხვაობაც შემცირებულია.)

(ცხრილი 3)

გამოკითხული რესპონდენტები პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	18-34	35-54	55-60
პროცენტული განაწილება	43,6%	48,4%	8%

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერით, კახეთის რეგიონში სულ აღირიცხებოდა 407182 ათასი კაცი, მათ შორის, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად მაცხოვრებელი ქალების რაოდენობა შეადგენდა 212141 ათასს. ხოლო ჩვენთვის საინტერესო ასაკის ქალთა რიცხვი (18-60წ.) 11964 ათასი იყო. ზოგადად, კახეთის რეგიონში (როგორც ქალაქად ასევე სოფლად), 18-60 წლის ქალთა პროცენტული მიმართება მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შემდეგნაირად ნაწილდება:

(ცხრილი 4)*

**კახეთის რეგიონში 18-60 წლის ქალთა რაოდენობა
(პროცენტობით ჯამთან)**

კახეთის რეგიონი	მოსახლეობა	პროცენტული რაოდენობა (ჯამთან)
სულ	407,182	100%
ქალაქის მოსახლეობა	84,827	20,8%
სოფლის მოსახლეობა	322,355	79,2%
ქალი	212,14	52,1%
ქალი 18-60წ.	119,64	56,4%

კვლევის დროს ინფორმაციის ხარისხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოკვლევისას შერჩევის რეპრეზენტატულობის განსაზღვრას, კერძოდ იმას, თუ რამდენად ასახავს შერჩეული ერთობლიობა გენერალურ ერთობლიობას. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისათვის საკმარისად იქნა მიჩნეული 802 ინტერვიუ. შეზღუდული რესურსების პირობებში, როცა გენერალურ ერთობლიობაში ერთგვაროვნობის ხარისხი მაღალია იგი შეიძლება დამაკმაყოფილებელ რაოდენობად ჩაითვალოს, მითუმეტეს, რომ წინამდებარე კვლევაში აქცენტი გადატანილია ქალთა მიგრაციული ნაკადების თვისობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების შესწავლაზე და ნაკლებად – მიგრანტთა რაოდენობრივი ინდიკატორების დადგენაზე. ვფიქრობთ, რომ ასეთ დროს დისპერსია დაბალია, რაც ასეთი დიდი რეგიონისთვის 802 რესპონდენტის შესწავლას მისაღებ რაოდენობად ხდის.

გამოკვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შეირჩა გამოსაკითხ ქალთა რაოდენობა ადგილისა და ასაკობრივი სტრუქტურის შესაბამისად, მოხდა დაბრუნებული ემიგრანტი ქალების დადგენა, მეორე ეტაპზე კი განხორციელდა მათი ინტერვიუება.

გამოკითხვის დროს შედარებით ჭირდა დაბრუნებული შრომითი მიგრანტებიდან ინტერვიუების აღება, რადგან ზოგიერთ მათგანს უცხო ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის მძიმე პერიოდის გახსენებაც კი არ უნდოდა. ძნელი იყო შემოსავლებისა და საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობის დადგენა. რესპონდენტები ყოველთვის ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ და შემცირებულად დაესახელებინათ როგორც ემიგრაციის დროს იქაური შემოსავალი, ისე საქართველოში გამოგზავნილი თანხის ოდენობაც.

II ქალთა შრომითი მიგრაციის თავისებურებანი კახეთის რეგიონში

2.1 კახეთის რეგიონიდან ქალთა შრომითი ემიგრაციის ეკონომიკური მიზეზები და მოტივები

2.1.1. სიღარიბე

სიღარიბის სუბიექტური აღქმა კახეთში მაცხოვრებელ ქალებს შორის პირდაპირ უკავშირდება დასაქმების პრობლემას. იმას, რომ კახეთის რეგიონში მოსახლეობა ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაშია, ამტკიცებს 2004 წელს ამ რეგიონში ჩატარებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევა. ამ გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კახეთის რეგიონში შინამეურნეობების რიცხვი 126,2 ათასია. კახეთის შინამეურნეობების გამოკვლევის მიხედვით, რეგიონში ოჯახის საშუალო ზომა 3,6 შეადგენდა. ქალაქებში ეს მაჩვენებელი 3,34-ია, ხოლო სოფლად 3,7-ის ტოლია.

ამ შინამეურნეობების შესწავლის მონაცემებით, მედიანური შემოსავლის მიხედვით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ შინამეურნეობების ნახევარი ცხოვრობს. უკიდურესი სიღარიბის ზღვრის (მედიანური შემოსავლის 60%) მიღმა ოჯახები 28,9 პროცენტია. ამ ზღვრის მიხედვით სიღარიბის სიღრმის კოეფიციენტი 23,4 უტოლდება, სიმწვავის კო-14,2-ს (მოსახლეობის... 2004:14).

ქალაქ-სოფლის მიხედვით სიღარიბის მონაცემები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ფულადი შემოსავლების შედარებით თანაბრობის პირობებში, სოფლად არაფულადი შემოსავალი ბევრად აღემატება ქალაქში ანალოგიურ მაჩვენებელს. ქალაქში უკიდურესად ღარიბების რიცხვი 2-ჯერ აღემატება სოფლად შესაბამის მაჩვენებელს. ქალაქის სიღარიბის სიღრმისა და სიმწვავის მონაცემებიც ბევრად მაღალია სოფლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. (მოსახლეობის... 2004:25).

რაიონების მიხედვით სიღარიბის ყველაზე მაღალი დონით, სიღრმითა და სიმწვავეთ საგარეჯოს რაიონი ხასიათდება (61%), სიღარიბე ყველაზე ნაკლებად სიღნაღის რაიონშია გავრცელებული (37%), უკიდურესად ღარიბთა წილი კი, ყველაზე დაბალი ლაგოდეხის რაიონშია (11%) (მოსახლეობის... 2004:25).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ გამოკვლევის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა, ყველა საფუძველი

გვაქვს იმისთვის, რომ კახეთის რეგიონი მივიჩნიოთ ერთ-ერთ ღარიბ მხარედ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში საკმაოდ მაღალია ეკონომიკური მაჩვენებლები, სამწუხაროდ ეს არ აისახება სიღარიბის დონის შემცირებაზე. 2004 წელთან შედარებით, 2005 წელს სიღარიბის დონე ქალაქად 34,3%-დან 37,1%-მდე, ხოლო სოფლად 37,1%-დან 41,7%-მდე გაიზარდა. ასევე მაღალია შემოსავლებისა (0,44) და მოხმარების (0,39) უთანასწორობის კოეფიციენტი. (Gini coefficient) (ქეყენის... 2006:4).

კახეთის 2004 წლის ეკონომიკური გამოკვლევაში მიღებული შეფასებით საშუალოდ ერთ ოჯახზე წლიური მთლიანი შემოსავლის ოდენობა 3102 ლარს შეადგენს. ქალაქებში ოჯახის საშუალო შემოსავალი უფრო დაბალია—1942 ლარი, ხოლო სოფლებში მაღალი—3387 ლარი. ეს გამოწვეულია სოფლად არაფულადი (ნატურით) შემოსავლების შედარებით დიდი მოცულობით. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახის ფულადი შემოსავალი რეგიონში 1424 ლარი შეადგენს წელიწადში. ეს სიდიდე ქალაქში 1414, ხოლო სოფლად 1427 ლარის ტოლია.

მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების განაწილება საკმაოდ არათანაბარია: ოჯახების ყველაზე შეძლებული 20% რეგიონის შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლის 44%-ზე მოდის, ხოლო ყველაზე დაბალშემოსავლიან 20%-ზე მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 5%. (მოსახლეობის... 2004:14).

კახეთის რეგიონში სიღარიბე საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. შემოსავლების საერთო დაბალი დონიდან გამომდინარე, ყველა ის ოჯახი, რომლის შემოსავალიც მედიანურზე დაბალია, მართებულია ჩაითვალოს ღარიბად. ამ მიდგომის გამოყენებით კახეთის შინამეურნეობების ნახევარზე მეტი ღარიბია. სიღარიბე ქალაქებში უფრო გავრცელებულია, ვიდრე სოფლებში. (მოსახლეობის... 2004:25).

რეგიონის ასეთი სოციალურ-ეკონომიკური შეფასება ჩვენი გამოკვლევითაც დასტურდება. ჩვენს მიერ გამოკისხული რესპონდენტების უმრავლესობა თავიანთი ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს როგორც „დაბალს“.

(ცხრილი 5)

საკუთარი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის შეფასება
რესპონდენტი ქალების მიერ
(პროცენტობით ჯამთან)

მატერიალური მდგომარეობა	ქალაქი	სოფელი	სულ
ძალიან დაბალი, შემოსავალი კვებაზეც არ გეყოფნის	34,13	22,20	24,69
დაბალი, შემოსავალი კვებაზე და ჩასაცმელზე ძლივს გეყოფნის	37,72	49,45	47,01
საშუალო, ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ	28,14	27,24	27,43
მაღალი, შეგვიძლია გართობისა და დასვენების ხარჯებსაც გავწვდეთ	—	1,10	0,87

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღესდღეობით რეგიონში შრომითი შემოსავლები არასაკმარის საფუძველს ქმნის ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული პროდუქცია კახეთის რეგიონის ოჯახების კეთილდღეობის განმსაზღვრელია. ის, რომ რეგიონის მოსახლეობის შემოსავლებში სასოფლო სამეურნეო წარმოებიდან ნატურალური სახით მიღებულ შემოსავლს მაღალი წილი უჭირავს, კახეთის რეგიონში ოჯახების ცხოვრების საერთო დაბალ დონეზე მიუთითებს.

2.1.2 დასაქმების პრობლემა

დასაქმება სიდარობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით ქალთა დასაქმების მასშტაბები მაღალი იყო, როგორც მატერიალური წარმოების, ისე არასაწარმოო სფეროს დარგებში. იმავე მონაცემების მიხედვით ქალები მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა 46,1%-ს, ხოლო არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა 61,7%-ს შეადგენდნენ. ქალები არა მარტო

დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ, არამედ ქართველი ქალები ლიდერობდნენ განათლების პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის საერთო დონით (შიოშვილი 1998:4). 80-იან წლებში საქართველოში ქალთა შრომითი აქტივობის არნახულმა ზრდამ ღიდად განაპირობა მათი პროფესიულ-კვალიფიკაციური პოტენციალის ამაღლება. მაგრამ შემდეგ ათწლეულში ქვეყანაში განხორციელებული სისტემური ცვლილებების, ეკონომიკური კრიზისისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო, მკვეთრად შემცირდა ქალთა დასაქმების სფერო, რამაც მათი სოციალური ცხოვრების არნახული გამწვავება გამოიწვია. ქვეყანაში ქალის სახით არსებული უადრესად მრავალრიცხოვანი და მაღალკვალიფიციური კონტიგენტი, ეფექტური გამოყენების გარეშე დარჩა.

ეკონომიკური კრიზისი თითქმის ყველა დარგსა და სფეროს შეეხო, მაგრამ განსაკუთრებით დაზარალდა ე. წ. „ქალური პროფილის“ დარგები-მსუბუქი და კვების მრეწველობა. გარდა ამისა ქვეყანაში გაჩენილი ბიზნესიც „მამაკაცური“ პროფილით გამოირჩევა, ხოლო მომსახურების ზოგიერთ ისეთ სფეროში, სადაც ადრე მხოლოდ ქალები იყვნენ დასაქმებულნი აშკარად შეიმჩნევა მამაკაცთა დასაქმების ზრდა (შიოშვილი 1998:4). ამგვარად, ქალთა დასაქმების არეალი შემცირდა როგორც ობიექტური ისე სუბიექტური ფაქტორებისა და მიზეზების გამო.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წლისათვის ქვეყანაში უმუშევრობის დონე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმით შეადგენდა 10,3%, ხოლო ე.წ. „შერბილებული“ კრიტერიუმით-15,2%-ს. 2001 წლისათვის უმუშევრობის დონე შესაბამისად 11,1 და 15,8%-მდე გაიზარდა. სპეციალისტთა შეფასებით კი უმუშევრობის რეალური დონე საქართველოში 30-35%-ს შეადგენს

მთლიანად რეგიონში დროებით უმოქმედო ეკონომიკური სუბიექტის რაოდენობა შეადგენს 1124 ერთეულს, მუდმივად უმოქმედო 5304 ერთეულს. მთლიანად რეგიონში დროებით უმოქმედო ეკონომიკური სუბიექტი-17,5%-ია, მუდმივად უმოქმედო-82,5% (რეგიონის... 2004:14).

შინამეურნეობაში უმუშევარი წევრების რაოდენობის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება შინამეურნეობის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოხვედრის რისკი. აქედან გამომდინარე დასაქმება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სიღარიბიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება.

იმ საწარმოებიდან, რომლებიც კახეთის რეგიონში საბჭოთა პერიოდში ფუნქციონირებდა, სადაც კახეთის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი, მათ შორის ქალთა საკმაოდ დიდი ნაწილი იყო დასაქმებული, დღეს მათი უმრავლესობა გაუქმებულია. ზოგადად, მოსახლეობის დასაქმება რეგიონის ყველა რაიონში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს.

(ცხრილი 6)

მოსახლეობის განაწილება დასაქმების მიხედვით რაიონულ ჭრილში*

პროცენტი

	სულ კახეთი	ახმეტა	გურჯაანი	დედოფლის წყარო	თელავი	ლაგოდეხი	საგარეჯო	სიღნაღი	ყვარელი
ღიახ	60,3	72,4	58,3	56,9	47,1	67,4	67,4	57,5	63,7
არა	39,7	27,6	41,7	43,1	52,9	32,6	32,6	42,5	36,3
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100

უნდა აღინიშნოს, რომ თელავის რაიონში დადებითი პასუხების შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია სხვა რაიონებთან შედარებით ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის უფრო მაღალი წილით.

რეგიონში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის თითქმის 40% არ არის დასაქმებული. უნდა აღინიშნოს, რომ შინამეურნეობის თითქმის ნახევარში ერთ მომუშავეს საშუალოდ 2 ან მეტი სული ჰყავს სარჩენი (საკუთარი თავის ჩათვლით).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მომუშავე მოსახლეობის თითქმის 80% თვითდასაქმებულია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა სასოფლო სამეურნეო სექტორშია დასაქმებული, ხოლო მათგან უდიდესი ნაწილის დასაქმების სფერო საკუთარი გლეხური მეურნეობაა.

2004 წლის მაისში კახეთის რეგიონში ჩატარებული მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოკვლევებით რეგიონში უმუშევრობის დონე 6,3 პროცენტის ტოლია, ქალაქებში 18,5 პროცენტი, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი 5 პროცენტი. ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის 71 პროცენტი. ქალაქებსა და სოფლებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 62 და 73 პროცენტია. რეგიონში

დასაქმებულია 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 66 პროცენტი. ქალაქებში აღნიშნული მაჩვენებელი 50 პროცენტია, სოფლად კი—70 პროცენტი. მთლიანად რეგიონში სახელმწიფო სექტორში დასაქმებულია მომუშავე მოსახლეობის 13 პროცენტი. ქალაქად ეს მაჩვენებელი 34 პროცენტია, ხოლო სოფლად გაცილებით დაბალი—9 პროცენტი. რეგიონში გადაქმებულთა 80 პროცენტი თვითდასაქმებულია. ქალაქის მომუშავეთა 50 პროცენტია თვითდასაქმებული, ხოლო სოფლად აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია—84 პროცენტი (რეგიონის... 2004:30).

საქმიანობის სექტორების მიხედვით რეგიონში დასაქმებულთა განაწილება შემდეგია: სასოფლო სამეურნეო სექტორი—74%; სამეწარმეო სექტორი—11%, განათლება და ჯანდაცვის მომსახურება—7%, საქმიანობის სხვა სექტორები—5 %

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სექტორების მიხედვით, სოფლად და ქალაქად მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

(ცხრილი 7)

დასაქმებულთა პროცენტული განაწილება მათი საქმიანობის სახეების მიხედვით*

	სულ კახეთში	ქალაქად	სოფლად	ქალი	კაცი
სოფლის მეურნეობა	76,9	38,0	83,2	71,1	77,7
სამეწარმეო საქმე	11,4	30,7	8,1	7,2	14,9
განათლება/ჯანდაცვა	6,9	16,2	5,5	12,4	1,9
სხვა	4,8	15,1	3,2	4,3	5,5
სულ	100	100	100	100	100

ამ შეფასებებიდან ჩანს, რომ კახეთის ყველა რაიონში მომუშავეთა და მათ შორის ქალთა აბსოლუტური უმრავლესობის დასაქმების სფერო სოფლის მეურნეობაა. ოჯახების კეთილდღეობა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული მცირე შემოსავლებით განისაზღვრება.

ბოლო წლებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა გარკვეულწილად შეცვალა მოსახლეობის შრომითი აქტივობის მიმართულებები. მცირდება დასაქმების მოცულობა სახელმწიფო სექტორში. რეგიონში მომუშავეთა აბსოლუტური უმრავლესობა (87,3%) დასაქმებულია არასახელმწიფო სექტორში. ხოლო მომუშავეთა უმრავლესობა (თითქმის 80%) თვითდასაქმებულია. აბსოლუტური უმრავლესობის დასაქმების სფერო კი, ყველა რაიონში, სოფლის მეურნეობაა.

(ცხრილი 8)

დასაქმებულთა განაწილება მათი საქმიანობის სფეროების მიხედვით*

პროცენტი

	სულ კახეთი	ქალაქი	სოფელი	ასმეტა	გურჯაანი	დედოფლისწყარო	თელავი	ლაგოდეხი	საგარეჯო	სიღნაღი	ყვარელი
სახელმწიფო	12,7	33,9	9,3	12,2	11,0	16,0	17,1	11,6	11,0	13,3	10,0
არასახელმწიფო	87,3	66,1	90,7	87,8	89,0	84,0	82,9	88,4	89,0	86,7	90,0
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

მოყვანილი მონაცემები ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან ქალთა მიგრაციული პროცესების მდგომარეობის ანალიზისათვის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია უმუშევრობის დონე. ეს მაჩვენებელი მთლიანად რეგიონში 6,3 პროცენტია. ქალაქებში უმუშევრობის დონე 18,5 პროცენტია, რაც მკვეთრად სჭარბობს სასოფლო დასახლებების ანალოგიურ მაჩვენებელს.

კახეთის რეგიონში უმუშევრობის დონე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად სულ 6,3 პროცენტია, აქედან ქალაქად—18,5%, სოფლად 4,0%, უმუშევარი ქალების უმუშევრობის დონე 6,4 პროცენტია, კაცების 4 პროცენტის ნაკლები (მოსახლეობის...2004:19).

ქალაქებში უმუშევრობის მაღალი დონე (18,5 %) და სოფლად სასოფლო-

სამეურნეო საქმიანობის ნაკლები ეფექტურობა, ბუნებრივია, არახელსაყრელ სოციალურ ფონს ქმნის რეგიონის განვითარებისათვის და ემიგრაციის დიდ სტიმულატორად გვევლინება.

კახეთის რეგიონში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლე ქალთა განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით წლების განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის.

(ცხრილი 10)

კახეთის რეგიონში 15 წლის და უფროსი ასაკის ქალთა განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით (2000-2005წ.წ.)*

(ათასი კაცი)

	2000	2001	2002	2003	2004	2005
სულ 15 წელზე უფროსი ასაკის ქალთა რაოდენობა	170,18	167,92	172,97	161,76	156,53	153,70
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	89,71	92,83	108,87	100,83	156,53	153,70
მომუშავე	83,37	89,15	104,28	95,23	99,19	101,40
დაქირავებული	21,29	23,08	24,08	20,83	23,46	23,84
თვითდასაქმებული	45,32	52,94	80,12	74,34	75,73	77,56
გაურკვეველი	16,77	13,13	0,08	0,07	0,00	0,00
უმუშევარი	6,34	3,68	4,59	5,60	4,54	4,24
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	7,06	3,97	4,22	5,56	4,38	4,01
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	52,72	55,29	62,94	62,34	66,27	68,73
დასაქმების დონე (პროცენტებში)	48,99	53,09	60,29	58,87	63,37	65,97

სტატისტიკური მონაცემებს თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ქალთა უმუშევრობის დონე პროცენტულად იცვლება, ის 2000 წლიდან 2005 წლამდე შესამჩნევად მცირდება. დასაქმების დონე კი იზრდება.

თუ 2000 წელს კახეთში უმუშევრობის დონე ქალებში შეადგენდა 7,06%, (მამაკაცებში – 6,32%), დასაქმების დონე–48,99%, 2005 წლისთვის უმუშევრობის მაჩვენებელი 4,01% ეცემა. (მამაკაცებში–4,93%), ხოლო დასაქმების დონე იზრდება

65,97%-მდე.

2006-2007 წლებში ორივე სქესისთვის უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა შესაბამისად 2006 წელს–6,46% და 2007 წელს–6.9%, ხოლო დასაქმების დონე 2006 წელს–65,8%, 2007 წელს–68,7% (სამწუხაროდ ამ წლებში საკუთრივ ქალთა უმუშევრობის დონე სტატისტიკური მონაცემებით ვერ მოვიძიეთ).

2000 წელს კახეთის რეგიონში სამუშაო ძალის მქონე ქალთა რიცხვი შეადგენდა 170,18 ათასს, 2005 წლისთვის ეს რიცხვი მცირდება 153,70 ათასამდე, 2007 წლისთვის კი, ორივე სქესის სამუშაო ძალა 286,7 ათასია, ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებლების კლება გამოწვეულია, არა იმდენად დასაქმების დონის, ან სამუშაო ადგილების ზრდით, (რადგან ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ თვითდასაქმებულ ქალთა რიცხვიც), არამედ სამუშაო ძალი შემცირებით, რაც გამოიწვია რეგიონიდან საზღვარგარეთ ქალების ინტენსიურმა მიგრაციამ.

ამკარაა, რომ დასაქმებულთა რიცხვი ხელოვნურად იზრდება სოფლად მომუშავე თვითდასაქმებულთა ხარჯზე. სოფლად უმუშევრობა ფაქტობრივად არ აღირიცხება, ვინაიდან სოფლად მცხოვრებნი, რომლებიც საკუთარ, ან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, აღირიცხებიან თვითდასაქმებულებად, თუმცა ეს საქმიანობა უმეტესწილად არის იძულებითი ხასიათის (სხვა სამუშაო უბრალოდ არ არსებობს), დაბალმწარმოებლური, არაეფექტიანი და არასრული. სოფლად დასაქმება უმთავრესად ორიენტირებულია ნატურალურ შემოსავალზე და, შესაბამისად, საკუთარ მოხმარებაზე. ამრიგად, დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა კახეთის რეგიონის, როგორც ზოგადად საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი ხელის შემშლელი ფაქტორია.

ჩვენს მიერ გამოკითხული ქალების უმრავლესობა უმუშევარია. დასაქმებულთა მეტი წილი ქალაქად მცხოვრებ ქალებზე მოდის, ხოლო სოფლად მცხოვრები ქალების უმრავლესობა თვითდასაქმებულია. ძირითადი საქმიანობების მიხედვით რესპონდენტ ქალთა პროცენტული გადანაწილება ასეთია:

(ცხრილი 11)

საქმიანობა	ქალაქი %	სოფელი %	სულ
დაქირავებული პირი ხანგრძლივი ვადით	19,16	11,81	13,34
მოკლევდანი კონტრაქტით პერიოდულად მომუშავე	18,56	15, 59	16,21
მეწარმე, რომელსაც ჰყავს დაქირავებული მუშები	—	0,31	0,25
ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებული	2,99	2,83	2,87
საოჯახო სასოფლო მეურნეობაში მომუშავე	5,99	12,91	11,47
კოლეჯის სტუდენტი	—	0,94	0,75
უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი	8,38	5,83	6,36
ასაკობრივი/ ინვალიდობის პენსიონერი	1,80	0,47	0,75
საოჯახო მეურნეობაში დაკავებული	5,99	5,51	5,61
უმუშევარი	35,93	42,83	41,40
პასუხის გაცემა გაუჭირდა	1,20	0,79	0,87

ქალაქად მცხოვრები ქალების დასაქმების უპირატესი სფეროა განათლება—16,77% და ჯანდაცვა—10,78%, სოფლად ანალოგიურ სფეროში დასაქმებულია: განათლება—14,02%, ჯანდაცვა—10,7%.

მოცემული მონაცემებით და რესპონდენტებთან უშუალო საუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოკლევადიანი კონტრაქტებით, პერიოდულად მომუშავე ქალთა დასაქმების სფერო უპირატესად სოფლის მეურნეობაა, სადაც სეზონური საქმეების (საგაზაფხულო-საშემოდგომო) საჭიროებისამებრ ხდება მათი დაქირავება. ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა უმრავლესობა თვითდასაქმებულია და დაკავებულია სასოფლო სამეურნეო საქმიანობით.

2.1.3. შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების სტრუქტურის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული პროდუქცია კახეთის რეგიონის ოჯახების კეთილდღეობის განმსაზღვრელია. ეს დასკვნა მეტ დამაჯერებლობას იძენს იმ ფონზე, რომ კახეთის მოსახლეობის დაახლოებით 80% სოფლის ტიპის დასახლებაზე მოდის.

შემოსავლების სტრუქტურა ქალაქ-სოფლის მიხედვით ასეთია. სოფლად შემოსავლის ძირითად წყაროს შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან და არაფულადი შემოსავლები, ანუ საკუთარი წარმოების კვების პროდუქტების მოხმარება წარმოადგენს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ძირითადად მოსავალზეა დამოკიდებული და მთლიანობაში ის ფაქტი, რომ კახეთის მოსახლეობის შემოსავლებში არაფულადი, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებულ შემოსავალს მაღალი წილი უჭირავს, კახეთის რეგიონში ოჯახების ცხოვრების საერთო დაბალ დონეზე მიუთითებს.

ქალთა ოჯახების ხარჯების 98% მოდის პირველადი მოხმარების საგნების (პროდუქტები, ტანსაცმელი, პირადი ჰიგიენური საგნები) შეძენაზე. სიხშირის მიხედვით მეორე კატეგორიას შეადგენენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯები (50%), რასაც მოსდევს სოფლის მეურნეობასთან და ოჯახის ვალების დაფარვასთან დაკავშირებული ხარჯები (20% -18%) (მოსახლეობის...2004:108).

დაბალი შემოსავლები აიძულებს ქალებს აიღონ ვალები, რომ დაეხმარონ ოჯახებს, გამოკვებონ შვილები, გადაიხადონ მათი განათლების ხარჯები. მაგრამ ვალების დაფარვის რესურსების არარსებობა, ხშირ შემთხვევაში მათ უბიძგებთ ემიგრაციისაკენ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კახეთიდან ქალთა ემიგრაციის მაღალი დონე

არ აიხსნება მხოლოდ კახეთში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კახეთის ემიგრაციული ქსელების მიერ შემოთავაზებული რესურსები, რომლებიც ისეთ ვითარებაში, როდესაც მოსახლეობას ნაკლებად მიუწვდება ხელი ფორმალურ საბანკო მომსახურებაზე და ემიგრაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, საშუალებას აძლევენ კახეთის მაცხოვრებელ ქალებს შეამცირონ ემიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უფრო უსაფრთხო და მიმზიდველი გახადონ ემიგრაციის პროცესი.

ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტების 84% პოტენციური ემიგრანტია, რომელთაგან 13,3% უკვე იყო ემიგრაციაში და ისევ აპირებდა წასვლას. ემიგრაციის ქვეყნების უმრავლესობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებია. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საბერძნეთი და იტალია, რაც აიხსნება ემიგრაციასთან დაკავშირებული შედარებით დაბალი ხარჯებით, საბერძნეთში ლეგალური სტატუსის მიღების შესაძლებლობებით და ემიგრაციული ქსელების განვითარებით.

კახეთში მაცხოვრებელ ქალებთან და სხვადასხვა არაფორმალური შეხვედრებიდან შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ქალების უმრავლესობას სურს წასვლა საზღვარგარეთ, მაგრამ ზოგს ამის საშუალება არ გააჩნია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ემიგრანტების საშუალო ასაკი 38 წელია, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი საზღვარგარეთ გამგზავრება შესაძლოა აღვიქვათ როგორც ქალთა გარკვეული „გაქცევა“.

როგორც წესი, ყველა ქალისთვის საერთო ეკონომიკური გაჭირვებას, რაც მათი ინტენსიური მიგრაციის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ემატება სპეციფიკური დეტალები. ეს შეიძლება იყოს იმ ფინანსური რესურსების არარსებობა, რომელიც საჭიროა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის, შვილებისთვის კარგი განათლების მისაცემა, და სხვა.

დაბრუნებულ ემიგრანტთა უმრავლესობა, რომლებიც გამოვკითხეთ, აღნიშნავდა, რომ საზღვარგარეთ გამგზავრება გამოწვეული იყო მათი ოჯახების უმძიმესი ეკონომიკური გაჭირვებით, რომლის დაძლევაც უმუშევრობის, ან დაბალი ანაზღაურების გამო არ შეეძლოთ.

თუმცა ზოგ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ემიგრაცია გამოწვეული იყო შეფარდებითი დეპრივაციით*, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი

ქალი სხეებისგან განსხვავებით მუშაობდა, სოფელში ჰქონდა პატარა მეურნეობაც, ეს საკმარისი არ იყო ოჯახის მოთხოვნილების დასამყოფილებლად.

კახეთის რეგიონის ზოგიერთ ქალზე ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ის ფაქტი, რომ მათი მეგობრები, ნათესავები წავიდნენ საზღვარგარეთ და იქიდან გაწეული დახმარების საშუალებით მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაშიც ემიგრაცია გამოწვეულია შეფარდებითი დეპრივაციით. იმ ქალებმა, რომლებიც არ ყოფილან ემიგრაციაში, თავი დეპრივირებულებად იგრძნეს იმ ქალებთან შედარებით, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან და მატერიალურად ეხმარებიან თავიანთი ოჯახის წევრებს, თანაც ისე, რომ წლების მანძილზე საგრძნობლად გაიუმჯობესეს მდგომარეობა.

როგორც ვხედავთ, ძირითადად, ქალები საზღვარგარეთ კახეთში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და მისი გაუმჯობესების უპერსპექტივობის გამო მიდიან. თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება შეფარდებითი დეპრივაციის გავლენაც ემიგრაციაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

2.2. ქალთა შრომითი მიგრაციის საერთო დახასიათება

2.2.1. ემიგრაციის მიზნები

ქალების უმრავლესობა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის გადაწყვეტილებას იღებს უმთავრეს იმ მიზეზით, რომ ოჯახს დაეხმაროს და ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნას ოჯახის წევრებს. მაგრამ როგორც კი ხდება პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, უმრავლესობა იწყებს ფიქრს, დააგროვოს განსაზღვრული თანხა, რათა უკან დაბრუნებისას შეძლოს შეიძინოს ბინა, ან თავისივე რაიონში, ან თბილისში, გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები, წამოიწყოს საკუთარი ბიზნესი, იყიდოს მანქანა და ა. შ.

თუმცა კვლევის პროცესში გამოიკვეთა ემიგრაციის სხვა მიზეზებიც, რომლებიც ქალების სუბიექტურ მოტივებთანაა დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ასეთ მოტივებზე გახსნილად არ საუბრობენ.

შრომითი მიგრაციის მიზეზთა განხილვისას აღინიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის საზღვარგარეთ საშოვარზე ყოფნის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური ხასიათისაა და უმეტესად აქ დარჩენილი ოჯახის საარსებო უზრუნველყოფას ემსახურება.

როგორც ჩვენი გამოკვლევის დროს დაბრუნებულ ემიგრანტებთან საუბრებმა გვიჩვენა, მათი უმრავლესობა სხვადასხვა რეგულარობით და სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მაინც, ეხმარებოდა თავის ოჯახს. მათ მიერ გამოგზავნილი დახმარებები ოჯახების შემოსავლებისა და მცირე კეთილდღეობის მნიშვნელოვანი წყარო იყო.

რა თქმა უნდა ემიგრანტები ყოველთვის ვერ ახერხებენ განახორციელონ ყველა ჩანაფიქრი, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ემიგრანტი ქალების დახმარებით მისი ოჯახის წევრები ყიდულობენ მანქანას და არა ერთ, არამედ ორ ბინასაც, ერთ-ერთს აუცილებლად დედაქალაქში. ცხადია, რომ ის მატერიალური წარმატებები, რასაც ზოგიერთი ემიგრანტი ქალი აღწევს საზღვარგარეთ, გარკვეულ სტიმულს აძლევს დარჩენილებს, რომ ისინიც წავიდნენ ემიგრაციაში. ამისთვის ქალები უკავშირდებიან ემიგრანტ ახლობლებს, ნაცნობებს და მათი დახმარებით (ფინანსური, ინფორმაციული) ცდილობენ საზღვარგარეთ გამგზავრებას. ამისთვის კი, ქალები არაღელვალურ და ზოგ შემთხვევაში საშიშ გზებსაც არ ერიდებიან.

2.2.2. შრომითი მიგრაციის ორგანიზების თავისებურებანი

2.2.2.1) ემიგრაციის ფორმები

შრომით მიგრანტთა ადაპტაციის პროცესი და მათი სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მიგრაციის ხასიათზე და მის ორგანიზაციულ ფორმებზე.

ჩვენ გამოკვლევაში ყურადღება გავამახვილეთ იმ სიტუაციაზე, თუ როგორია მიგრაციის სურვილსა და ამ სურვილის რეალიზაციას შორის კორელაცია. ეს კორელაცია აჩვენებს, რომ წასვლის მსურველთა უმრავლესობა ემიგრაციაში ვერ წავიდა. ქვეყნის შიგნით მიგრაცია ვერ შეძლო ქალთა 75,6% -მა, ხოლო ქვეყნის გარეთ—84%-მა. ქვეყნის შიგნით მიგრაცია მოახერხა მხოლოდ 15,9%-მა, ხოლო ქვეყნის გარეთ—13,3%-მა.

ჩვენი კვლევით გათვალისწინებული იყო კახეთის რეგიონიდან ქალთა შრომითი მიგრაციის ფორმების დადგენა და ცალკეული ფორმის ეფექტიანობის შეფასება. კვლევის შედეგებით მივიღეთ, რომ უმეტეს შემთხვევაში შრომით მიგრანტებს საზღვარგარეთ წასვლაში ეხმარებიან ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები. ასევე დიდია წილი შუამავლების დახმარებისა, ხოლო ყველაზე მცირეა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით მიგრაცია.

მიგრაციისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ისეთი ორგანიზაციული ფორმები, როგორებიცაა ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარება და „ბედის ანაბარად“ წასვლა. ჩვენს მიერ გამოკითხული პოტენციური ემიგრანტებიდან ემიგრაციაში წასვლის მსურველებიდან 34,7%-ს მიმღებ ქვეყანაში არავინ ჰყავს, 22,2%-ს ჰყავს ნათესავი, 16,2%–ნაცნობი.

უცხოეთში ყოფნის ხანგრძლივობისა და მიგრაციის ორგანიზაციულ ფორმებთან კორელაციით დადგინდა, რომ უცხოეთში ხანგრძლივად (5 წელზე მეტი ვადით) მყოფთაგან უმრავლესობა საქართველოდან გავიდა ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარებით (57,1%), ხოლო დასაქმების სამსახურებისა და ტურისტული ფირმების მეშვეობით მათი მხოლოდ 6,0% გაყვანილი.

უცხოეთში ხანგრძლივად მყოფთა შორის საკმაოდ მაღალია „ბედის ანაბარად“ წასულ შრომით მიგრანტთა წილი (25,5%). ცალკეული ორგანიზაციული ფორმის გამოყენებით უცხოეთში წასულთა განაწილება მიგრაციის ხანგრძლივობის მიხედვით გვიჩვენებს, რომ „ბედის ანაბარად“ წასულები ყველაზე ხშირად რჩებიან საზღვარგარეთ 5 წელზე მეტი ვადით. მათ შორის მაღალია ასევე 1-დან 5 წლამდე ვადით მყოფთა წილი (44,8%). ეს განპირობებულია მიმღებ ქვეყანაში არალეგალურად ყოფნითა და მუშაობით, რაც სამშობლოში დაბრუნებასა და რე-ემიგრაციას აძნელებს (შრომითი... 2003:26).

უცხოეთში მცხოვრები ახლობლებისა და იქაური დიასპორის ან დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ხელშეწყობით წასულთა დანახარჯები გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე დასაქმების კერძო სააგენტოებისა თუ შუამავლების მიერ ორგანიზებული მიგრაციისას. ჩვენი გამოკითხვით, უცხოეთში ვიზის მისაღებად ქალების 39,3% მზად არის გადაიხადოს არაოფიციალური გადასახადი, ხოლო 45,4% აცხადებს, რომ ასეთ საფასურს არ გადაიხდის. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ საჭიროების შემთხვევაში ამ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეეცდება მოიძიოს სახსრები და მაინც გადაიხადოს არაოფიციალური გადასახადი, ოღონ

შექლონ საქართველოდან წასვლა.

მიგრაციის ფორმების ეფექტურობა გარკვეულწილად შეიძლება შეფასდეს ამა თუ იმ ფორმით წასულთა დასაქმებისა და შრომით ურთიერთობების ლეგალიზაციის დონით. ჩვენი მონაცემი კი აჩვენებს, რომ ქალებში მიგრაციისათვის საჭირო პროცედურების ლეგალურობა უფრო მისაღებია, ვიდრე არალეგალური გზები.

მიგრაციასთან დაკავშირებული პროცედურების საკითხში ქალების ლეგალურობის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს ემატება ისიც, რომ მათი 40% კატეგორიულად არ ეთანხმება უცხო ქვეყანაში არალეგალურ ცხოვრებას და 26,8%—უფრო არაა თანახმა, ვიდრე კი. საზღვარგარეთ დასაქმების ლეგალიზაციას, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომით მიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობისა და სოციალური დაცვისათვის. თუმცა პაუხების მიუხედავად ქალთა უმრავლესობა მხოლოდ არალეგალური გზებით ახერხებს საზღვარგარეთ გამგზავრებას.

როგორც ჩატარებული კვლევიდან ჩანს, საქართველოში წარმატებით ფუნქციონირებს ნახევრადლეგალური და ზოგ შემთხვევაში კი, არალეგალური ბიზნესი, რომელიც დაკავებულია ადამიანების იმ ქვეყნებში გადაყვანით, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ემიგრანტებს შორის.

საქართველოში ემიგრაციის რამდენიმე სქემა არსებობს. ის, თუ რომელი სქემის გამოყენებით მიგრირებს ქალი, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია როგორც მიმღებ ქვეყანაზე, ასევე პოტენციური ემიგრანტის ფინანსურ შესაძლებლობაზე. ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტებიდან დავადგინეთ, თუ რომელი სახის სამემიგრაციო მარშრუტებია კახეთის რეგიონის ქალთა მიგრაციაში გავრცელებული. რეგიონიდან მიგრირებული ქალები ყველაზე მეტად სარგებლობენ ტურისტული ვიზით, არალეგალური გადასვლის ე. წ. „გადაპარვის“ სქემით, AU-Pair-ის პროგრამით და იშვიათად ტრანზიტით.

„გადაპარვა“ ყველაზე სახიფათო და გარკვეულწილად ხელაღებული ვარიანტია, რომელსაც მიმართავენ, როდესაც ემიგრაციის არცერთმა ვარიანტმა არ გაამართლა. ყველაზე ხშირად საზღვრის არალეგალურ და სახიფათო გადაკვეთას საბერძნეთის შემთხვევაში მიმართავენ. იმისათვის, რომ პოტენციური ემიგრანტები მოხვდნენ საბერძნეთში, უმეტესად ათენში, ისინი მიემგზავრებიან ბულგარეთში, ან რუმინეთში, იქიდან ფეხით კვეთენ საზღვარს მთებისა და ტყეების გავლით. მეორე

გზა საბერძნეთისკენ თურქეთზე გადის. ამ შემთხვევაში ემიგრანტები გადაყავთ სპეციალური ავტობუსებით, სპეციალურ სამალავში დამალულები გადაკვეთენ საზღვარს. ზოგჯერ ემიგრანტებს ვიზაც კი არა აქვთ, რომლითაც მიმღებ ქვეყანაში ლეგალური შესვლის უფლებას მოიპოვებდნენ, ხშირად კი ისინი ყალბი პასპორტებით გადადიან.

ყველაზე მეტად გავრცელებული მიგრაციული სქემაა ტურისტული ვიზა. ქალები იღებენ მოკლევადიან ტურისტულ ვიზას. სატრანსპორტო საშუალებად ასეთ შემთხვევაში იყენებენ ან თვითმფრინავს, ან ავტობუსს. ისინი უმეტეს შემთხვევაში მართლაც გადიან იმ ტურისტულ მარშრუტს და საზღვრის გადაკვეთისას ლეგალურად შედიან სხვა ქვეყანაში, თუმცა ზოგჯერ ემიგრანტები მიემგზავრებიან არა საკუთარი, არამედ სხვისი, გაყალბებული პასპორტებით. ასეთ შემთხვევაში ემიგრაციისთვის საჭიროა დამატებითი ხარჯები ყალბი პასპორტის დასამზადებლად.

ახალგაზრდა გოგონებს შორის მეტად გავრცელებულია Au-pair-ის პროგრამა. ამ პროგრამით როგორც წესი სარგებლობენ გერმანიაში წასვლის მსურველები. გერმანიაში ჩასვლის შემდეგ გოგონები ცხოვრობენ ოჯახებში, უვლიან ბავშვებს და სწავლობენ ენის კურსებზე. მათი ხელფასი საშუალოდ 300 ევროა და ამიტომ ისინი ფაქტობრივად ვერ ეხმარებიან ოჯახებს. ზოგ შემთხვევაში ისინი აბარებენ უნივერსიტეტებში, შოულობენ დამატებით სამუშაოს, მაგრამ როგორც წესი მათი სტატუსი ლეგალური რჩება. ამ პროგრამის ფარგლებში წასული ქალები განსხვავდებიან სხვა ემიგრანტებისაგან, რადგან მათი მიზანი ალბათ უფრო სწავლა და ენის შესწავლაა, ვიდრე მუშაობა და ოჯახის დახმარება. თუმცა, არც თუ იშვიათად ემიგრაციის დამთავრების შემდეგ, ან ზოგჯერ დამთავრებამდეც ემიგრანტები სამუშაოდ გადადიან სხვა ქვეყნებში, მაგალითად იტალიაში, საბერძნეთში და იქ არალეგალურად რჩებიან.

არის შემთხვევები, როცა ემიგრანტები დანიშნულების ქვეყანაში ტრანზიტით ხვდებიან. მაგალითად, ამერიკის რომელიმე ქვეყნის ვიზის მქონე პოტენციური ემიგრანტი შეიძლება დარჩეს ამერიკის შეერთებულ შტატებში თვითმფრინავის გამოცვლისას და მოითხოვოს პოლიტიკური თავშესაფარი. ეს გზა აქტიურად მოქმედებს ევროპის ქვეყნებში მოსახვედრად. თუმცა ასეთი მარშრუტები მალევე ხდება ცნობილი მიმღები ქვეყნების საემიგრაციო სამსახურებისთვის და მალევე ხდება მათი აღკვეთა.

როგორც კვლევამ აჩვენა, კახეთის რეგიონში ქალების უმრავლესობა საზღვარგარეთ გამგზავრების არარალეგალურ საშუალებებს მიმართავს, რაც აიხსნება სამუშაო ვიზის მიღებასთან დაკავშირებული სიძნელეებით და საქართველოსა და მიმღებ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის ექსპორტის შესახებ ხელშეკრულების არარსებობით. სწორედ ამიტომ, პოტენციური ემიგრანტები იძულებული არიან რომ დიდი თანხები გადაუხადონ „შუამავლებს“, რომლებიც მათ ხშირად არანაირ გარანტიებსაც არ აძლევენ, რომ ისინი ნამდვილად შეძლებენ საზღვრის გადაკვეთას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება. უფრო მეტიც, უცხო ქვეყანაში არალეგალური ყოფნა სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს უქმნით ემიგრანტებს, რადგან მათ მუდმივად ეშინიათ დაკავებისა და დეპორტაციის.

2.2.2.2. ემიგრაციის ხარჯები

გამოკვლევის პროცესში დავინტერესდით თუ რა ჯდება საზღვარგარეთ ემიგრაცია და როგორ ახერხებენ ქალები გამგზავრებისთვის საჭირო თანხების მოძიებას. კახეთის მაცხოვრებელი ქალებისთვის ყველაზე ძვირ ქვეყანას ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს. აშშ-ს ვიზის გაკეთება ყველაზე ძვირი ჯდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ აშშ-ში ემიგრანტების შემოსავლები გაცილებით მაღალია, ვიდრე საბერძნეთსა და თურქეთში. ამასთანავე, აშშ-ს მიმზიდველობა ემიგრანტებისათვის იმით აიხსნება, რომ სხვა მიმღებ ქვეყნებთან შედარებით ბოლო დრომდე აშშ-ში ემიგრანტებისადმი დამოკიდებულება საკმაოდ ლოიალური იყო.

იმისათვის რომ საზღვარგარეთ წავიდნენ, ქალები იძულებული არიან აიღონ ვალები, გაყიდონ ან დააგირავონ ბინა.

პროფესიით ფილოლოგი ვარ, სკოლაში ვასწავლიდი, მაგრამ იმის გამო რომ ჩემი მეუღლე დარჩა უმუშევარი და მეც 4-5 თვე ხელფასს ვერ ვიღებდი, გადავწყვიტე წავსულიყავი საზღვარგარეთ სამუშაოდ. ჩემი ახლობლები იყვნენ იტალიაში და მეც იქ წავიდი. ავიღე პროცენტებიანი ვალი 4000\$, გადავუხადე ქალს, რომელმაც გამიკეთა საბუთები და 2004 წელს წავიდი იტალიაში...

*დ. 49 წლის იტალია**

ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტებიდან, რომლებიც უკვე ნამყოფები იყვნენ ემიგრაციაში, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ გამგზავრებისთვის მათ

პროცენტიანი ვალი აიღეს. სევე, ბევრი პოტენციური ემიგრანტიც იძულებულია აიღოს ვალი, ხშირად საკმაოდ მაღალი პროცენტით 10-20%-თვეში, რის გამოც ისინი ვალების გადახდას რამოდენიმე თვეს და ზოგჯერ წელსაც კი ანდომებენ, რადგან ვალის გადახდასთან ერთად მათ ოჯახების რჩენაც უწევთ.

ბევრი წვალებით და ტანჯვით გადავიხადე ეს პროცენტიანი ვალი, წელიწადნახევარი ან ორი წელია საჭირო რომ ეს ვალები იხადო, ...კიდევ კარგი რომ ხელფასი ცოტა ნორმალური მქონდა იმდენს ვახერხებდი, რომ პროცენტსაც ვგზავნიდი და ბაღლებსაც ხან ას დოლარს ხან ორმოცდაათს ვუგზავნიდი ხოლმე ყოველთვე.

მ. 43 წლის იტალია

<...> გამბობდი ერთი ორი წელი დავრჩები და ჩამოვალ-მეთი. არ მიფიქრია და ვერც წარმოვიდგენდი, რომ ბავშვების დატოვება 5 წლით მომიხდებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ვალი, რომლითაც წავედი, პროცენტიანი იყო და ფაქტიურად ორ წელზე მეტი ვიმუშავე მარტო ამ ვალის გასასტუმრებლად, მერე დავიწეე ოჯახში ფულის გამოგზავნა

მ. 37წ. საბერძნეთი

იმ რესპონდენტების გამოცდილებით, რომლებიც დაბრუნდნენ სამშობლოში და რომლებიც წასულები იყვნენ ვალით, მათ საუკეთესო შემთხვევაში ერთი წელი დასჭირდათ იმისათვის, რომ ვალები დაეფარათ და ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მალევე მოახერხებდნენ სამსახურის შოვნას.

წელიწადნახევარი კი არა ორი სამი წელიც არაფერია, როცა ვალით მიდიხარ, მეც ასე წავედი, მაგრამ საქმე არ ამეწყო, ისევ პროცენტით ვალის ძირი გადავიხადე, მაგრამ პროცენტი არ მიმიცია, ვეღარ მთხოვს, იმიტომ რომ დეპორტაცია გამიკეთეს და სახლში დამაბრუნეს. შეგნებულად არ მთხოვს, <...> გული მწყდება, რომ ვერაფერი გავაკეთე, ალბათ გამართლებაცაა. ზოგმა სახლი, კარი, ქონება იშოვა, ღმერთმა მეტი მისცეთ, საზღვარგარეთ ორ წელიწადში ფულს ვერ იშოვი. იღხანს ვინც ცხოვრობს და მუშობს, იმან შეიძლება დააგროვოს რაიმე.

ა. 38 წ. საბერძნეთი

იმ შემთხვევაში თუ ახლად ჩასულ ემიგრანტებს „პირველი ტალღის“ ემიგრანტები ფინანსურ დახმარებას უწევენ და ესმარებიან საქართველოში

აღებული ვალების დაფარვაში, მათი საზღვარგარეთ ყოფნა გაცილებით უფრო წარმატებული ხდება, ისინი ვალებს გაცილებით სწრაფად იხდიან და საშუალება ეძლევათ, რომ ოჯახსაც უფრო მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება აღმოუჩინონ და თან დანახოვაც გააკეთონ. მაგრამ ხშირია ისიც, რომ საზღვარგარეთ წასულ ქალებს საქმე სხვაგვარად ეწყობათ. ვერ შოულობენ სამუშაოს, ან შოულობენ ძალიან დაბალი ანაზღაურებით, ისე, რომ თავადაც არ ყოფნით.

საბერძნეთში არალეგალური გზით მოვხვდი. თურქეთის ტურისტული ქალაქიდან პატარა გემით საბერძნეთის კუნძულ როდოსზე, ნსაათი ვიმგზავრეთ. იქიდან გემით წავედით ათენში. გზაში მაინც ბევრს ვნერვიულობდი. უცხო ქვეყნის შიში არ მაძლევდა მოსვენებას. ღვთის წყალობით მშვიდობით ვიმგზავრე და ახლობელი დამხვდა, მაგრამ განცდა და შინაგანი ტკივილი დიდია, რადგან 2 არასრულწლოვანი შვილი დავტოვე. ეკონომიკური და გაუსაძლისი მდგომარეობის გამო გადავდგი ეს ნაბიჯი. როცა მხოლოდ ვალს იღებ და ამის ხარჯზე ცხოვრობ, ძნელია ასე ცხოვრება. ვაღდებული ვარ შვილების წინაშე რომ საარსებო პირობები შევუქმნა. ჩემთვის ყველაზე დამთრგუნველი ის იყო, როდესაც მეუღლე გამოსავალს ვერ პოულობდა და თავის მოკვლაზე ფიქრობდა. ყოველივე ამან და სხვა მრავალმა მიზეზმა მაფიქრებინა ბინა გამეყიდა და წავსულიყავი. ეს ერთადერთი გადასარჩენი გზა იყო ჩემთვის და ჩემი შვილებისთვის... მთელ ჩემს ხელფასს, რომელიც 600-700 ევროს არ აღემატებოდა, ოჯახს ვუგზავნიდი. ჩემთვის მცირე თანხას ვიტოვებდი. საქართველოში ეს დიდი თანხა ჩანს, მაგრამ სამწუხაროდ არაფერია, როცა ვალები უნდა გაისტუმრო, ბინის ქირა, კომუნალური გადასახადები, სასკოლო ნივთები... ძნელია მარტომ ოჯახი შეინახო. ბინის ყიდვას როგორ მოვახერხებ არ ვიცი. 6000 დოლარად გავყიდე ჩემი ბინა და ახლა 20000 არ მეყოფა რომ რამე ვიყიდო. ყველაზე მტკივნეული ხელახლა ოჯახთან განშორებაა, მაგრამ მე სხვა გზა არ მაქვს. ისევ ინდა დავტოვო ჩემი შვილები, ცხოვრების კვლევაზე მნიშვნელოვან პერიოდში. ამ წლებს ვინ დაგვიბრუნებს უკან?.....

ქ. 36 წ. საბერძნეთი

ემიგრანტების წარუმატებლობა ართულებს მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ისინი ვეღარ უძლებენ უცხო გარემოს, ნოსტალგიას და ბრუნდებიან სამშობლოში ყოველგვარი ფინანსური დანახოვის გარეშე, ისე, რომ ვეღარ ახერხებენ გაყიდული ბინის სამაგიერო ახალი ბინის ყიდვა, ან ვალების გასტუმრებას. დაბრუნებული

ემიგრანტები ვარდებიან რა უფრო მძიმე მდგომარეობაში ხელახლა „ბედის საცდელად“ კვლავ ფიქრობენ გამგზავრებაზე.

2.2.2.3. ემიგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება განსაკუთრებით მწვედ აისახა ქალის სტატუსზე, რომელიც უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმების რადიკალური მოშლით, უმუშევრობით, ქალთა არასათანადო მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების სფეროში და სხვა მრავალი ფაქტორებით.

ქალის, როგორც ინდივიდის საქმიანობა დაკავშირებულია მის სამ ფუნქციასთან: რეპროდუქციული ფუნქცია – ბავშვების აღზრდა და ოჯახური საქმის გაძღოლა, მწარმოებლური ანუ ეკონომიკური ფუნქცია და საზოგადოებრივი ფუნქცია. რეპროდუქციული ფუნქცია ითვლება ქალის ძირითად საქმიანობად, რომლის ეკონომიკური ღირებულების ასახვა არ ხდება საზოგადოებაში. ამ საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი „უჩინარი“ რჩება. საოჯახო სამუშაოს შემსრულებელი ქალები არ იღებენ შესაბამის ეკონომიკურ ანაზღაურებას. ხოლო ქალის მწარმოებლური ანუ პროდუქტიული შრომა, რომელიც მიჩნეულია ქალის დამატებით საქმიანობად, ეკონომიკური ღირებულების მატარებელია. ქალის წვლილის არასათანადო შეფასება აირეკლება მის სტატუსზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცნობილია, რომ ინდივიდის საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ეკონომიკურად შეფასებული, თუ მას აქვს საბაზრო ღირებულება. ამიტომაც, ქალის რეპროდუქციული საქმიანობის არასათანადო შეფასებამ და ქალის შრომის არახელსაყრელმა პირობებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი მწარმოებლური შრომის ეფექტიანობა საზოგადოებაში. ეკონომიკური პროცესების რეალიზაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ კატეგორიებს, როგორცაა: საკუთრების ფლობა და განკარგვა, ქვეყანაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა და მასზე კონტროლი, რაც ხშირად უთანაბრდება ინდივიდის უნარს ფულის გამომუშავებაში. ამ თვალსაზრისით ქალები აშკარად იჩაგრებიან თავიანთი ეკონომიკური სტატუსის შეუფასებლობის გამო.

ქალის სტატუსი საზოგადოებაში, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა,

ძირითადად მისი მწარმოებლური, ეკონომიკური საქმიანობით განისაზღვრება. საზოგადოებრივი მენტალიტეტის ხელშეწყობით, არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის შედეგად საზოგადოების დიდ ნაწილს შემოქმედებითი, ინტელექტუალური, პროდუქტიული პოტენციალი არარეალიზებული და შეუფასებელი რჩება, რაც აფერხებს მთელი საზოგადოების განვითარებას.

ტრადიციულად, მამაკაცი ოჯახის მარჩენალად და ოჯახში გადაწყვეტილების მიმღებად იყო მიჩნეული, თუმცა, ქალის როლი მნიშვნელოვანწილად იზრდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნდა მას. ამის დამადასტურებელია საქართველოში მზითვის ინსტიტუტის არსებობა, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენდა ქალის სტატუსზე საზოგადოებაში და ოჯახში.

გლობალიზაციის პროცესმა და საბაზრო ეკონომიკამ რეალური კორექტივები შეიტანა ფუნქციათა ასეთ გადანაწილებაში, რაც, ძირითადად, ადაპტირების იმ უნარის შედეგია, რომელიც ქალებს მამაკაცებზე მეტად გააჩნიათ. ქალები უფრო მობილურნი აღმოჩნდნენ, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან შეგუების უფრო მეტი შესაძლებლობები გამოავლინეს, თუმცა, ამ პროცესში შესაფერისი, ღირსეული ადგილი ვერ დაიკავეს. ბოლო წლების სოციალურ-ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მოსახლეობის სოციალურ სტატუსზე, განსაკუთრებით ქალებზე.

ქალთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გაუარესებასა და სიღარიბის არსებულ დონეს ხელს უწყობს ეკონომიკური გენდერული დისბალანსი, რომელიც დამკვიდრებულია საზოგადოებაში. ქალის რეპროდუქციული, მწარმოებლური და ეკონომიკური ფუნქციის შერწყმა განსაკუთრებით გართულდა ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში. სოციალური დაცვის გარანტიების გაუქმებამ, მეურნეობის იმ დარგების ლიკვიდაციამ, სადაც ქალთა უდიდესი ნაწილი იყო დასაქმებული, გამოიწვია მათი უმუშევრობის მასობრივი ხასიათი.

ბოლო წლებში ბიუჯეტის სფეროში დასაქმებულ ქალთა საერთო რაოდენობა შემცირდა 40%-ით, როცა ანალოგიური მონაცემები მამაკაცებისათვის 29%-ია. (ჯაში 2001:2). რესურსებისა და შემოსავლების განაწილების გენდერული არათანაბრობა განპირობებულია არა არსებული საკანონმდებლო ბაზით, არამედ საზოგადოებაში არსებული მიდგომებით და ტრადიციებით. ქალის ეკონომიკური აქტიურობა სათანადოდ არ არის აღქმული საზოგადოების მიერ. შემოსავლების მხრივ, არსებული განსხვავების საფუძველის განმსაზღვრელია ის იერარქიული

მდგომარეობა, რომელიც მამაკაცს უჭირავს საზოგადოებაში.

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა ღრმა კვალი დაამჩნია ჩვენი ცხოვრების წესს—მოხდა გარკვეული პიროვნებებისა და სოციალური ჯგუფების მარგინალიზაცია, მნიშვნელოვან წილად მოიშალა აქამდე ოფიციალურად აღიარებული ნორმატიული მოდელები და ღირებულებათა სისტემები, მკვეთრად გაიზარდა ქალების სოციალური და ეკონომიკური აქტივობა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა უცხოეთში სავაჭროდ თუ ხანგრძლივად სამუშაოდ წასვლა და შესაბამისად ამ ქვეყნების კულტურის გაცნობა.

ქართული ოჯახის ტრადიციულ კულტურულ-ღირებულებით იერარქიაში ქალისა და მამაკაცის ფუნქციების რეალური მნიშვნელობა გაცილებით ახლოს იდგა ერთმანეთთან, ვიდრე მათივე სოციალური სტატუსები. სტატუს როლური თვალსაზრისით მამაკაცის უპირატესობა მკვეთრად იყო გამოხატული, მაგრამ საქართველოში ქალი სოციალურად პასიური არასოდეს ყოფილა. მათ ხშირად უწევდათ მამაკაცის ფუნქციების შესრულება— დაქვრივების შემთხვევაში ოჯახის უფროსის მოვალეობის შესრულება. ამასთან „ერისათვის, რომლის წინაშეც ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში ყოველთვის იდგა ბიოლოგიური არსებობისა და კულტურული თავისთავადობის შენარჩუნების ამოცანა, შესაბამისად ქალის-დედის და აღმზრდელის, კულტურის ძირითადი გადამცემის მოვალეობები არანაკლებ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ოჯახის უფროსისა. მამაკაცის, როგორც ოჯახის უფროსის ავტორიტეტის გვერდით არსებობდა ქალის, როგორც ოჯახის ბურჯის, ავტორიტეტი. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურად ქალისა და მამაკაცის ფუნქციების ღირებულება თანაბარმნიშვნელოვანი იყო, მაგრამ საზოგადოების აღქმაში მამაკაცს მაინც უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდა. ამასთან ეს წინააღმდეგობა არასოდეს გამხდარა ქართულ ოჯახში სტატუს-როლური განაწილების გადასინჯვის საფუძველი.” (დურგლიშვილი 1997:11)

ტრადიციულად მიღებული სოციალურ-კულტურული ნორმების თანახმად დღესაც მიჩნეულია, რომ ოჯახში მამაკაცი უნდა დომინირებდეს, იგი უნდა იყოს ოჯახის ხელმძღვანელი და სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მექანიზმების განმკარგულებელი. ქალის უმთავრეს ფუნქციად კვლავ შვილების აღზრდა და საოჯახო მეურნეობის წარმართვა ითვლება. აქედან გამომდინარე ფაქტობრივად შენარჩუნებულ იქნა ოჯახური ურთიერთობების ტრადიციული წესებით

რეგულირება. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე არ არსებობს ემპირიული კვლევებით მოპოვებული ინფორმაცია ქალების წილზე ოჯახის ბიუჯეტში. მიუხედავად ამისა, ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს უშუალო დაკვირვება და გარკვეული ზოგადი მოსაზრებები. საბჭოთა წყობისათვის დამახასიათებელი ხისტი სტრუქტურა, რომელიც სოციალურ მობილობას აფერხებდა, განაპირობებდა იმას, რომ პიროვნების თვითრეალიზაცია საზოგადოდ გვიან ხდებოდა, მაშინ როდესაც, პოსტკომუნისტური ეპოქის სწრაფ ცვლილებებს ქალი უფრო ადვილად შეეგუა უფრო მეტად გამოიყენა ახალი შესაძლებლობები.

მეორე მხრივ, ძველი სოციალური სტრუქტურის დამსხვრევა, ბუნებრივია უფრო წვავედ მამაკაცებს შეეხო და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მათი საზოგადოებრივი სტატუსი მაშინ, როდესაც ქალებმა შედარებით იოლად გამოიყენეს ახალი შესაძლებლობები წვრილ ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში. ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო ისეთი ოჯახების არსებობა, რომელშიც ძირითად, ან ერთ-ერთ ძირითად ეკონომიკურ შემომტანს სწორედ ქალები წარმოადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ადრე ოჯახის ეკონომიკური უზღუნველყოფის საქმეში მამაკაცს მეტი მოთხოვნები წაყენებოდა და მამაკაცის, როგორც ოჯახში გადაწყვეტილებათა მთავარი მიმღებისა და ძირითადი შემომტანის ფუნქციები ფაქტობრივად ერთმანეთს ემთხვეოდა, ვფიქრობთ, რომ ახლა ეს თანაფარდობა დაირღვა.

ჩვენი გამოკვლევის პროცესში მართალია ეს მკვეთრად არ გამოვლენილა, რადგან გადაწყვეტილებას ემიგრაციის შესახებ ქალები იშვიათად იღებენ ინდივიდუალურად— როგორც წესი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთელი ოჯახი მონაწილეობს, თუმცა არის შემთხვევები, როცა ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად ემიგრანტი მაინც მიემგზავრება საზღვარგარეთ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ოჯახის წევრების ჩართულობა ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას. აღმოჩნდა, რომ ქვეყნის შიგნით ქალთა მიგრაციაში წასვლას ეთანხმება 31,8%, ქვეყნის გარეთ წასვლას—29,6%. ოჯახის წევრთა თანხმობის მაჩვენებელი ადასტურებს, რომ მიგრაციული განწყობების ძირითადი მოტივი გამომდინარეობს ოჯახის საერთო მიზნებიდან და წარმოადგენს ოჯახის ეკონომიკურ უზრუნველყოფას. თუმცა, საკმაოდ მაღალია მაჩვენებელი იმისა, როცა ოჯახის წევრები უფრო არ ეთანხმებიან, ვიდრე ეთანხმებიან შიდა მიგრაციას—19,9%, ხოლო გარე მიგრაციას—24,35%. გვაქვს

საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს მონაცემი განპირობებულია მიგრაციასთან დაკავშირებული რისკფაქტორების სიმრავლით და მიგრაციების (ძირითადად გარე მიგრაციის) უმეტესად არალეგალური ბუნებით. ამასთან, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქალების კულტურულად განპირობებული როლი (ოჯახის მოვლა და საოჯახო მეურნეობების გაძღვლა), რომელსაც მისი მიგრაციის შემთხვევაში „საფრთხე“ ემუქრება.

ჩვენს მიერ გამოკითხული ქალებიდან უფრო ქვეყნის გარეთ წასვლის მცდელობა ჰქონდათ (18,7%) ვიდრე ქვეყნის შიგნით (7,5%). მაგრამ წასვლის სურვილსა და მის რეალიზაციას შორის კორელაციამ გვიჩვენა, რომ წასვლის მსურველთაგან უმრავლესობა ემიგრაციაში ვერ წავიდა. ქვეყნის შიგნით მიგრაცია ვერ განახორციელა 75,6%-მა, ხოლო ქვეყნის გარეთ 84%-მა. ქვეყნის შიგნით მიგრაცია მოახერხა მხოლოდ 15,9%-მა, ხოლო ქვეყნის გარეთ-13,3%-მა.

ქალები მიგრაციის რეალიზაციის ხელისშემშლელ ფაქტორებად სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ. ქვეყნის შიგნით მიგრაციაში ხელისშემშლელ ფაქტორთაგან ისინი ძირითადად ოჯახურ პირობებს ასახელებენ, ხოლო საზღვარგარეთ მიგრაციის რეალიზაციისას გამოყოფენ შემდეგ ხელისშემშლელ ფაქტორებს:

(ცხრილი 12)

გარე მიგრაციაში ხელისშემშლელი ფაქტორები

მიგრაციაში ხელისშემშლელი ფაქტორები	%
ქვეყანაში შესასვლელი ვიზა არ მისცეს	34,7%
ოჯახური პირობები	28,7%
საჭირო დოკუმენტაცია ვერ შეაგროვა	22%

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ნათელყოფს, რომ ოჯახური პირობები, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი საკმაოდ აქტუალურია როგორც

შიდა, ასევე გარე მიგრაციის დროს, რაც ადასტურებს ქალის საოჯახო როლთან დაკავშირებული კულტურული ნორმების სიმყარეს რეგიონში.

2.2.3. ქალთა შრომითი მიგრაციის ძირითადი მიმართულებები

მიგრაციის მრავალ საკითხთა შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდ ინტერესს გარე მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები იწვევს. მისი ზემოქმედებით იცვლება რესპუბლიკის მოსახლეობის როცხოვნობა და დემოგრაფიული სტრუქტურა, შრომითი პოტენციალი.

ჩვენი გამოკვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს შრომითი მიგრაციის ძირითადი მიმართულებების, რეციპიენტი ქვეყნების განსაზღვრა წარმოადგენდა

როგორც ზემოთ იყო განხილული, შრომითი მიგრაციის უმთავრესი მიზეზი ღრმა ეკონომიკური კრიზისია, რომელიც საქართველოში 1990-იან წლებში განვითარდა. მიგრაციის ინტენსიურობაზე ზემოქმედება მოახდინეს, აგრეთვე, პოლიტიკურმა ფაქტორებმა, ეთნოკონფლიქტებმა, შინააშლილობამ და კრიმინოგენული სიტუაციის დამძიმებამ. შეიქმნა ვითარება, როცა მოსახლეობა სოციალურად სრულიად დაუცველი აღმოჩნდა და მოიცვა შიმშილით ფიზიკური განადგურების შიშმა. ბევრმა მათგანმა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში, შრომით მიგრაციაში დაინახა.

შიდა შრომის ბაზრის ტევადობის კატასტროფული შეკვეცისა და ცხოვრების პირობების რადიკალური გაუარესების ადექვატურია ის პასუხები, რომელიც რესპონდენტებმა მიგრაციის მიზეზებად დაასახელეს.

ზოგადად კითხვაზე: გაქვთ თუ არა ემიგრაციაში წასვლის სურვილი? გამოკითხულთა 74%-ზე მეტი პასუხობს, რომ არა აქვს ქვეყნის შიგნით მიგრირების სურვილი, მხოლოდ 25% გამოთქვამს წასვლის სურვილს. გარე მიგრაციის სურვილი კი 85%-მა გამოთქვა და მხოლოდ 14.7% არა აქვს უცხო ქვეყანაში წასვლის სურვილი.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა უცხოეთში სამუშაოდ წასვლის მიზეზად მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი დაასახელა. აქვე უნდა ითქვას, რომ კითხვები ნაწილობრივ ერთმანეთს ფარავს და მიგრაცია ერთდროულად რამდენიმე კონკრეტულ მიზეზთანაა დაკავშირებული. ძირითად მოტივად, ეკონომიკური გაჭირვებისაგან თავის დაღწევა და მატერიალური პირობების

გაუმჯობესება რჩება.

ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტებიდან ემიგრაციის მსურველთაგან 13,3% უკვე ნამყოფი იყო ქვეყნის გარეთ, ხოლო 1,9%—ქვეყნის შიგნით. ამ შემთხვევაში გავლენას ახდენს ის შემოსავალი, რომელიც ამ მიგრაციას მოჰყვა. ზოგადად კი, ეს მონაცემი აჩვენებს, რომ მიგრაციული განწყობების მთავარი მამოძრავებელი მოტივი ქალებისათვის არის ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა და არა დასაქმება ან პროფესიული განვითარება.

გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში მოხდა საგრძნობი ცვლილებები კახეთის რეგიონის მიგრანტების და მათ შორის ქალთა შრომითი მიგრაციის გეოგრაფიაში. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით კახეთიდან, ისე როგორც მთლიანად საქართველოდან, მიგრაციი მთავარი მიმართულება რუსეთის ფედერაცია იყო. ზოგადად, აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, კახეთის რეგიონიდან ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით ემიგრანტების ნაკადი შემდეგნაირად ნაწილდება:

(ცხრილი 13)

**ემიგრანტთა განაწილება ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით
(პროცენტობით ჯამთან)***

ემიგრანტები ქვეყანა	რუსეთის ფედერაცია	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	თურქეთი	საფრანგეთი	ესპანეთი	ბელგია	უკრაინა	სხვა ქვეყნები	სულ
კახეთის რეგიონიდან	69,1	16,0	1,6	2,3	1,2	0,4	1,0	0,4	1,4	3,6	100
საქართველოდან	64,1	16,2	4,3	3,8	1,3	0,6	0,8	0,5	1,8	6,6	100

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალთა შრომითი მიგრაციის საწყისს ეტაპზე, შრომითი მიგრაციული ნაკადები ძირითადად მიმართული იყო რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთისა და თურქეთისაკენ. კვლევის ეს მონაცემები ემთხვევა აღწერის მონაცემებს, სადაც ემიგრაციის უმთავრესი მიმართულებები ანალოგიური იყო.

(ცხრილი 14)

შრომითი ემიგრანტების განაწილება ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	პროცენტული განაწილება
რუსეთი	37%
საბერძნეთი	16,5%
თურქეთი	9,3%
გერმანია	7,2%
იტალია	5,2%

ამ ეტაპზე მიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობა მაქსიმუმ 2 წელი და მინიმუმ, ერთი თვეა. ეს ხანგრძლივობა აჩვენებს, თუ რამდენად წარმატებული იყო მიგრაცია, ანუ რამდენად ამართლებდა მიგრაციის მიზანს.

როგორც საბჭოთა პერიოდში ასევე პოსტსაბჭოთა საქართველოს საწყის ეტაპზე კახეთის რეგიონიდან ქალთა მიგრაციაში მიმღებ ქვეყნებს შორის რუსეთის ფედერაციის ლიდერობა რა თქმა უნდა განპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით. უპირველესად ამას განაპირობებდა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნის სპეციფიკა, ისტორიულად ფორმირებული შრომითი ურთიერთობანი, რუსული ენის შედარებით უკეთესი ცოდნა, შრომის ბაზრის შესახებ მეტი ინფორმირებულობა. ხოლო რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო დიდი განსხვავება სამუშაო ძალის ფასში, საქართველოს შრომის ბაზართან შედარებით.

საბერძნეთისაკენ მიმართული ნაკადის სიდიდე, ნაწილობრივ, ამ ქვეყანაში შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნის სპეციფიკამაც განაპირობა. აქ შრომის მეორადი ბაზარი დიდ მოთხოვნას გამოხატავს მომვლელ ქალებზე, საკმაოდ მაღალი ანაზღაურების პირობით.

საყოველთაო ეკონომიკური კრიზისის პირველ წლებში შრომითი მიგრაციის ინტენსიურობა აგრეთვე მაღალი იყო თურქეთისკენ, რადგან ამ პერიოდში არჩევანის ნაკლები საშუალება იყო და თურქეთთან მიმოსვლა შედარებით იაფი და ორგანიზაციულად ადვილად მოსახერხებელი გახლდათ. მაგრამ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, თურქეთის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე, შესაბამისად, შრომის დაბალი ანაზღაურება თურქეთის სწრაფი დემოგრაფიული

მატებისა და შრომის ბაზრის გაჯერების პირობებში, ჩვენი ქვეყნის შრომითი რესურსების ამ ქვეყნისაკენ შრომით მიგრანტთა ნაკადს მკვეთრად ასუსტებდა.

თუ საქართველოდან რუსეთში მომუშავე მიგრანტების წილი ზოგადად ყველაზე მაღალი იყო, შემდეგში მდგომარეობა იცვლება. ვფიქრობთ, რომ მიგრაციის პირველ ეტაპზე დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში შრომით მიგრაციას ხელს უშლიდა უცხო ენის სუსტი ცოდნა და ნაკლები ინფორმირებულობა.

ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა 40.3% გასული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ არა როგორც შრომითი ემიგრანტი, არამედ როგორც მოგზაური. ამ მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი მიმღები ქვეყნები:

(ცხრილი 15)

ტურისტული მიზნით ემიგრანტების მიმღები ქვეყნები:

მიმღები ქვეყანა	%
რუსეთი	45,3%
თურქეთი	7,7%
აზერბაიჯანი	7,5%
სომხეთი	7%
უკრაინა	6,6%
რუმინეთი	4%

ამ მონაცემების მიხედვით სავარაუდოა, რომ:

- ტურისტული მიზნით ემიგრაცია მოიცავს საბჭოთა პერიოდსაც;
 - პოსტსაბჭოთა პერიოდის მიგრაცია გარკვეულწილად პროვოცირებულია საბჭოთა ტურისტული გამოცდილებით. განსაკუთრებით რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაში;
 - ამ ქვეყნებში მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია რუსული ენის ხელმისაწვდომობითაც მიგრანტებს შორის;
 - პოსტსაბჭოთა მიგრაციის მიზანი ალბათ უმეტესად კომერციულია;
- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ 1990-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის პირველი წლებიდან განსაკუთრებით დიდი იყო რუსეთის მიმართულებით შრომითი მიგრაციის ინტენსიურობა. ბოლო წლებში რუსეთის წილი საქართველოს შრომით მიგრანტთა ნაკადში თანდათან მცირდება. ამას ადასტურებს გამოკვლევით

მიღებული შედეგიც.

თუ კრიზისის პირველ წლებში კახეთიდან რუსეთში წასულ შრომით მიგრანტთა დიდი ნაწილი წარმოადგენდა ე.წ. რუსულენოვან მოსახლეობას, რომლებიც მუდმივად დასახლდნენ იქ და შეერწყნენ რუსეთის მოსახლეობას, შემდეგში შრომითი მიგრაცია თანდათან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობით გაჯერდა, მკვეთრად მოიმატა ქართველ ქალთა წილმა ამ ქვეყნისაკენ გამავალ ნაკადში. თუმცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვისა და სავიზო რეჟიმის შემოღების შემდგომ გაიზარდა ბარიერები რუსეთში სამუშაო ძალის მიმოსვლის მხრივაც.*

ამჟამად ემიგრაციის ქვეყნების არეალი უფრო მეტად გაფართოვდა და დიდად გასცდა პოსტსაბჭოთა სივრცეს. დასაქმების უკეთესი პირობების გამო ქვეყნის გარეთ წასვლის სურვილი გამოთქვა რესპონდენტთა 85%-მა, მათთვის სასურველი მიმღები ქვეყნების რეიტინგში უპირველესად სახელდება აშშ და ევროპის ქვეყნები.

(ცხრილი 16)

პოტენციურ ემიგრანტთა განაწილება ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით

ემიგრაციისათვის სასურველი ქვეყანა	%
აშშ	24,9%
იტალია	16,9%
საბერძნეთი	11,6%
რუსეთი	8,4%
გერმანია	7,2%
ესპანეთი	6,6%

საინტერესოა, რომ ემიგრაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პოტენციური ემიგრანტები თავისებურად „სწავლობენ ბაზარს“, ცდილობენ მოაგროვონ რაც შეიძლება დაწვრილებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის სამუშაოზეა მოთხოვნა ამა თუ იმ ქვეყანაში, რა ჯდება გამგზავრება, ვიზის „გაკეთება“, რამდენი დრო დასჭირდება ამას. ცდილობენ იპოვონ ნაცნობები,

მეგობრები და ნათესაეები ამ ქვეყანაში და უზრუნველყონ მათგან დახმარების მიღება. ზოგ შემთხვევაში ემიგრანტები მიდიან იმ ქვეყნებში, სადაც მოხერხდება ვიზის „გაკეთება“, ან სადაც მას ე. წ. „შუამავლები“ ურჩევენ წასვლას.

ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უცხო ქვეყანაში ნაცნობის, ან მეგობრის, ან ნათესავის ყოლა ემიგრაციის ქვეყნის შერჩევისას, ჩანს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული პოტენციური ემიგრანტების კვლევებიდანაც, რომლის შედეგების მიხედვითაც პოტენციური ემიგრანტები ემიგრაციის შერჩევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, არიან თუ არა მიმღებ ქვეყნებში მათი მეგობრები, ოჯახის წევრები, და ნაცნობები, რომლებიც მათ დახმარებას გაუწევენ. 2006 წლის ივლისიდან 2007 წლის მარტის ჩათვლით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიგრაციის სარესურსო ცენტრებში გამოკითხული 770 რესპონდენტიდან 46%-მა ქვეყნის შერჩევის მთავარ კრიტერიუმად სწორედ ეს მიზეზი დაასახელა. (პროფილი 2006:6)

(ცხრილი 17)

რატომ აირჩიეთ ეს ქვეყანა?

	სიხშირე	%
იმიტომ, რომ მყავს იქ მეგობრები, ვინც დამეხმარებიან	354	45,97%
იმიტომ, რომ მეუბნებიან, რომ იქ ადვილია სამუშაოს შოვნა	221	28,70%
იმიტომ, რომ მინდა საქართველოდან წასვლა	167	21,69%
იმიტომ, რომ ვიცი ენა	165	21,69%
იმიტომ, რომ საზღვარგარეთ მაღალია საცხოვრებელი პირობები	111	14,42%
იმიტომ, რომ ენახე განცხადება და მინდა მასზე რეაგირება	109	14,16%
იმიტომ, რომ უკვე მაქვს იქ კავშირები დამსაქმებელთან	68	8,83%
იმიტომ, რომ ვარ იქ ნამყოფი და ვიცნობ სიტუაციას	33	4,29%

როგორც ვხედავთ, ემიგრაციის ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორია ფართოდ განვითარებული ემიგრაციული ქსელები, რომელსაც ქმნიან საქართველოს ყველა კუთხიდან, მათ შორის კახეთის რეგიონიდან წასული ემიგრანტები, რომლებიც დახმარებას უწევენ პოტენციურ ემიგრანტებს. როგორც ემიგრაციის ქვეყნის შერჩევისას იქ ნაცნობების და ახლობლების ყოლასთან ერთად ზოგიერთი

ემიგრანტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მიმღებ ქვეყანაში ანაზღაურების ოდენობას და იქ არსებულ მოთხოვნას მუშახელის გარკვეულ ტიპზე.

ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტი ლ. (49 წლის) იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ისევ აპირებს წასვლას, რადგან იქ ანაზღაურება მაღალია, თან უკვე იტალიელი ნაცნობების დახმარების იმედიც აქვს.

ხელფასი მქონდა 1300 ევრო. ვცხოვრობდი იმავე ოჯახში, როგორც იმათი ოჯახის წევრი. 800 ევროს ოჯახს ეუბნავნდი საქართველოში. 100 ევროს მე ვხარჯავდი და დანარჩენს ვინახავდი... იძულებული ვარ ისევ წავიდე, რადგან 4 თვეა აქ ვარ და იქ მოგროვილი ფულით ვცხოვრობ, აქ რომ ვიყო სად ვიმუშაო.

ლ. 49 წლის, იტალია

ხშირ შემთხვევაში, ემიგრაციის ქვეყნის შერჩევა განპირობებულია არა მარტო იმით, რომ იქ ემიგრანტის ახლობლები არიან, არამედ იმითაც, რომ მათი დახმარებით სამუშაოს მაღე იშოვის და უფრო მეტ შემოსავალს აიღებს. დაბრუნებული ემიგრანტების მონაცემებით საკმაოდ დიდი ანაზღაურებაა აშშ-ში. ერთ-ერთი ჩვენი რესპონდენტი ქალი, რომელიც იმყოფებოდა ამ ქვეყანაში სამუშაოდ და კიდევ აპირებდა წასვლას, ოჯახს ყოველთვიურად უგზავნიდა 1000 დოლარს. შედარებით დაბალი ანაზღაურებაა საბერძნეთში –600-700 ევრო.

ამასთან ერთად ის, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში უკვე წასულია ნათესავი ან მეგობარი, რესპონდენტების აზრით, არცთუ იშვიათად გადაწყვეტს როლს თამაშობს ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უცხო ქვეყანაში ახლობლებისა და მეგობრების ყოლა, ვისი დახმარების იმედიც აქვს პოტენციურ ემიგრანტებს, მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს მათ, რომ ემიგრაციაში სწორედ იმ ქვეყანაში წავიდნენ, რადგან გაჭირვების შემთხვევაში ყურადღების მიმქცევი ეყოლებათ.

2.2.4. პოტენციური ემიგრანტები

ის, რომ საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველთა რაოდენობა არ მცირდება, ჩანს იქიდან, რომ ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი აპირებს საზღვარგარეთ წასვლას, პოტენციური ემიგრანტების საშუალო ასაკი 38 წელია. საინტერესოა, რომ მათგან 13,3% უკვე ნამყოფია საზღვარგარეთ,

აქვს ემიგრაციის გამოცდილება და მათ შემთხვევაში საუბარია განმეორებით ემიგრაციაზე. ირკვევა, რომ პოტენციური ემიგრანტების მქონე შინამეურნეობების თითქმის ნახევარი უკვე აქტიურადაა ჩართული ემიგრაციულ ქსელებში. ჩვენთვის საკმაოდ ძნელი იყო პოტენციური ემიგრანტების ოჯახების შემოსავლების განსაზღვრა, რადგან ხშირ შემთხვევაში თვითდასაქმებული, ან შინამეურნეობაში დაკავებული ქალები არ გავძლევენ ზუსტ მონაცემებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არ მიეკუთვნებიან ყველაზე ღარიბ ოჯახებს. მათი საარსებო მინიმუმი თითქმის უტოლდება საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმს:

(ცხრილი 18)

იმ ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი, სადაც არიან პოტენციური ემიგრანტები

	შემოსავალი ერთ სულზე (ლარი)	შინამეურნეობის შემოსავალი (ლარი)
შინამეურნეობები პოტენციური ემიგრანტებით	90	400

კვლევის შედეგები გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ პოტენციური ემიგრანტების საზღვარგარეთ წასვლის სურვილი ერთი მხრივ გამოწვეულია ამ ოჯახების შეფარდებითი დეპრივაციით, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოში და კერძოდ რეგიონში კარგად განვითარებული ემიგრაციული ქსელების გავლენით.*

ასევე ნათელია, რომ ემიგრაციული გამოცდილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემდგომი ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. დაბრუნებულმა ემიგრანტმა, რომელიც კიდევ ერთხელ აპირებს საზღვარგარეთ გამგზავრებას, იცის, თუ რა ელოდება იქ, როგორ უნდა მოიქცეს და ამიტომ ნაკლებად დგას ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე. ამასთანავე, დაბრუნებული ემიგრანტი გავლენას ახდენს როგორც ოჯახის წევრების, ასევე ახლობლების, მეგობრებისა თუ მეზობლების სურვილზე, რომ ისინიც წავიდნენ საზღვარგარეთ.

პოტენციურ ემიგრანტებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ საზღვარგარეთ მყოფი ახლობლები, მეგობრები, ნაცნობები.

ჩემი ბიძაშვილი საბერძნეთშია უკვე კარგა ხანია, ისე აწყო იქ ცხოვრება, რომ

ჩამოსვლაზე არც ფიქრობს. როცა მირეკავდა სულ მეუბნებოდა წამოდი, სამუშაოს გაშოვნინებ და ცოტა ფულს იშოვნისო. იცოდა ჩემი ოჯახის მდგომარეობა, სახლი არა გვაქვს, ჩემი ქმარი უფროსი ბიჭია ოჯახში, ჩემი მამა დასაქორწინებელია, ხომ იცი ასეთ დროს რამდენი პრობლემაა ხოლმე ოჯახში, ცალკე გვინდა ცხოვრება, მაგრამ მეც და ჩემი ქმარიც უმუშევრები ვართ, სად ვიმუშაოთ, ამიტომ ქირითაც ვერ გავდივართ, რითი ვიხადოთ. ამიტომ ვრისკავ, ბავშვს დედამთილთან ვტოვებ და მივდივარ საბერძნეთში ჩემ ქმართან ერთად, რომ იქნება ბინის საყიდელი ფული დავაგროვოთ.... მადლობა ღმერთს, ჩემი ბიძაშვილი ორივეს გვიგზავნის ვიზას, საბერძნეთში რომ, ჩავალთ ავტობუსს დახვდება და იქამდე ჩასვლის ფულს ის გადაიხდის. აბა ჩვენ სად უნდა ვიშოვოთ ამდენი, ორივეს 4000 დოლარი გვჭირდება. იქ რომ ჩავალთ სამუშაოს მალე გვიშოვიან და ვალსაც იქ გავისტუმრებთ.

ლ. 33 წლის

ჩვენი ინტერვიუდან ორ კვირაში ლ. თავის ქმართან ერთად გაემგზავრა საბერძნეთში ბიძაშვილის დახმარებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პოტენციური ემიგრანტების საუბრებიდან საკმაოდ რთულია იმის ინტერპრეტაცია, თუ რას გულისხმობენ ისინი „ვიზაში“, რადგან ეს შეიძლება იყოს როგორც მოწვევა, რის საფუძველზეც პოტენციური ემიგრანტი იღებს ვიზას, ასევე ფული ვიზის „შესაძენად“.

ზოგჯერ ემიგრაციის ქვეყნის შერჩევა განპირობებულია არა მარტო იმით, რომ იქ პოტენციური ემიგრანტის ახლობლები არიან, არამედ იმითაც, რომ იმ ქვეყანაში გამგზავრება გაცილებით გაცილებით იაფი „ჯდება“, ვიდრე სხვა ქვეყანაში.

პოტენციური ემიგრანტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფინანსური და ინსტრუმენტული დახმარება, რომელსაც ისინი ემიგრანტი ახლობლებისა და მეგობრებისგან იღებენ.

პოტენციური ემიგრანტი ქალების გამოკითხვისას გამოვარჩიეთ რამდენიმე ტიპის დახმარება, რომელსაც საზღვარგარეთ მყოფი ემიგრანტები დარჩენილ პოტენციურ ემიგრანტებს სთავაზობენ. ესენია: ფინანსური, საინფორმაციო, ინსტრუმენტული და ფსიქოლოგიური დახმარება.

ფინანსური დახმარება ერთ-ერთი ყველაზე ნიშნელოვან როლს ასრულებს ემიგრაციის სტიმულირებაში. ფინანსური დახმარება შეიძლება გაწეული იყოს, როგორც საზღვარგარეთ გამგზავრებამდე, ასევე მიმდებ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ.

გამგზავრებამდე გაწეული დახმარება როგორც წესი, გამოიხატება ემიგრაციასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯების ან სრულ, ან ნაწილობრივ დაფარვაში. ამგვარი დახმარება უაღრესად მნიშვნელოვანია ქალებისათვის, რადგან პოტენციურ ემიგრანტთა უმრავლესობას ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ოფიციალურ საკრედიტო საშუალებებზე და მისი საშუალებით ისინი აღარ არიან იძულებულნი, რომ აიღონ მაღალპროცენტიანი ვალები, დააგირავონ ან გაყიდონ სახლები.

ფინანსური დახმარება ემიგრაციის შემდეგ, როგორც წესი, გამოიხატება იმაში, რომ ახლად ჩასულ ემიგრანტებს ეხმარებიან ვალების გადახდაში. უკვე დაფუძნებული ემიგრანტები აძლევენ მათ ან უპროცენტო, ან დაბალპროცენტო სესხებს.

ემიგრანტების დახმარებით პოტენციური ემიგრანტები იღებენ ინფორმაციას მიმდებ ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის პირობების შესახებ, „სამუშაო ბაზრის“ მდგომარეობას. ქ. ლ-ს ბიძაშვილი საბერძნეთშია, სწორედ მისი დაუნიებული თხოვნითა და დახმარებით აპირებს ქ.-ლ. სამუშაოდ წასვლას. წორედ უცხოეთში მყოფმა ბიძაშვილმა აღმოუჩინა მას როგორც მატერიალური, ასევე საინფორმაციო დახმარება, რათა ის საბერძნეთში წავიდეს, უფრო მეტიც, ლ.-ს ქმრის ემიგრაციასაც ის აფინანსებს.

მგვარად, კარგად განვითარებული ემიგრაციული ქსელების დახმარებით სწავლად ვრცელდება ინფორმაცია, რითაც სარგებლობენ პოტენციური ემიგრანტები. საზღვარგარეთ წასული ემიგრანტები ცდილობენ, რომ როგორც კი გამოჩნდება რაიმე სამუშაო თავიანთი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები წაიყვანონ და დაასაქმონ, ეს კი ხელს უწყობს ემიგრაციის სტიმულირებას. (ვოლდინგერი... 2003:12)

ემიგრანტების ინსტრუმენტული დახმარება გამოიხატება შემდეგში: ისინი ეხმარებიან საზღვარგარეთ წასვლის მსურველებს ვიზის აღებაში, უგზავნიან ოფიციალური მიწვევებს, რეკომენდაციას უწევენ სანდო შუამავლებთან, ასწავლიან, რა და როგორ უნდა უთხრან საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებს პოლიტიკური თუ სხვა თავშესაფრის მოთხოვნისას და სხვა.

ემიგრანტები ეხმარებიან ახლადჩასულ ემიგრანტებს მიმდებ ქვეყანაშიც. ხვდებიან სადგურზე თუ აეროპორტში და თავისთან აცხოვრებენ მანამ, სანამ სამუშაოს არ იშოვიან. ამასთან ერთად სამუშაოს შოვნაშიც ეხმარებიან.

საბერძნეთში ყველა ახლობელს ვეხმარებით, რომ ჩამოვიდნენ, იმიტომ, რომ იქ თუ არავინ დაეხმარა, ვალების გასტუმრებას ვერ მოახერხებს, ერთმანეთს შეღავათი თუ არ გავუწიეთ, არაფერი გამოდის...

ქ. 41წ. საბერძნეთი

ამგვარად, პოტენციური ემიგრანტი, რომელსაც საზღვარგარეთ ჰყავს ახლობელი ან მეგობარი, დარწმუნებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში გარანტირებულად მიიღებს მათგან სხვადასხვა სახის დახმარებას.

ახლად ჩასულ ემიგრანტებს ბევრი ყოფითი პრობლემების მოგვარების გარდა, რაც დაკავშირებულია სამსახურის შოვნასთან, ახალ გარემოსთან შეგუებასთან, ემატება ოჯახისა და ჩვეული გარემოსადმი ნოსტალგიით გამოწვეული პრობლემებიც. ამიტომ ახლად ჩასულ ემიგრანტებს იქ მყოფი ქართველები ფსიქოლოგიურ დახმარებასაც უწევენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია უცხო გარემოში ადვილად ადაპტაციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ქალები ერთმანეთთან არ წყვეტენ კავშირებს, ერთმანეთს ხვდებიან დასვენების დღეებში, ახერხებენ ერთმანეთთან ურთიერთობას და პრობლემების ერთობლივად მოგვარებას, ფსიქოლოგიურად ამხნევენ ერთმანეთს და ერთად ყოფნით უმკლავდებიან ნოსტალიას. მგვარად უცხოეთში მყოფი ქალები შეძლებისდაგვარად მათთვის ჩვეული კულტურული პრაქტიკების რეპროდუცირებას ახდენენ.

2.2.5. ფულადი გზავნილები და გზავნილების სიხშირე

შრომით მიგრაციაში წასული ქალების დახმარება აქაური ოჯახებისადმი მეტად მნიშვნელოვანია. საერთოდ ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილები საქართველოს მთელი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და აუმჯობესებს ემიგრანტების ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას.

საქართველოში საბანკო სისტემის გავლით ფულადი გზავნილების ოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. 2000 წელს ფულადი გზავნილების ოფიციალურად რეგისტრირებული ოდენობა 53 მილიონ აშშ დოლარს აღარბედა (საქართველოს ეროვნული... 2006:132), ანუ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 7%. (თუმცა ოფიციალური არხებით გამოგზავნილი ფულადი გზავნილების ოდენობის ზრდა

ნაწილობრივ აიხსნება იმითაც, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოში საკმაოდ განვითარდა საბანკო სისტემა და ამავდროულად, შემცირდა ფულადი გზავნილების ოპერატორების მიერ დაწესებული ტარიფები). ეს როგორც აღვნიშნეთ ოფიციალური მონაცემებია, ხოლო რეალურად რამდენს შეადგენს ფულადი გზავნილების ოდენობა არაოფიციალური არხების ჩათვლით, სპეკულაციების სფეროს მიეკუთვნება და როგორც წესი, სხვადასხვა სახის შეფასებებთან გვაქვს საქმე. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2006 წელს საქართველოში გამოგზავნილმა ფულადმა გზავნილებმა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-მდე შეადგინა. (მსოფლიო ბანკის... 2006:5-6). ბუნებრივია, რომ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულადი გზავნილების წილში საკმაოდ მაღალი იქნება ემიგრანტი ქალების მიერ გამოგზავნილი ფულადი დახმარებები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალების უმრავლესობა საზღვარგარეთ იმისათვის მიდის, რომ იმუშაოს და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს თავიანთ ოჯახებს, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ისინი სხვადასხვა პერიოდულობით, სხვადასხვა ოდენობით და სხვადასხვა მიზნებისათვის მაინც უგზავნიან მატერიალურ დახმარებას თავის ოჯახის წევრებს.

შეუძლებელია იმ აზრის უარყოფა, რომ ფულადი გზავნილები საგრძნობლად აუმჯობესებენ ემიგრანტების ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას, რის შედეგადაც ოჯახებს საშუალება ეძლევათ გაზარდონ ხარჯები და არა მარტო კვების პროდუქტებზე, არამედ განათლებაზე და ჯანდაცვაზე. შესაბამისად ფულადი გზავნილები წარმოადგენენ სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ფაქტორებს.

ამერიკაში წავედი 1998 წელს, ტურისტული ვიზით ფინანსური პრობლემების გამო. საოცრად გამიჭირდა, ჩვენ საქართველოში სხვა მენტალიტეტით ვიზრდებით, აქედან გამომდინარე, ამერიკული და ქართული ცხოვრების ტემპი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩემი პირველი სამსახური ოჯახში ძიძის ფუნქცია იყო, წარმოუდგენელ სირცხვილს ვგრძნობდი როცა ვიღაცის მოახლეობა მიწევდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, ამის მერე ვმუშაობდი მომაკვდავ მოხუცებთან, მოწვევტილი გარე სამყაროს, თანატოლებს, ამას ერთვოდა ნოსტალგია, შიში მომაკვდავი ადამიანების მიმართ, საკუთარი თავის სიბრაღული, მაგრამ როგორც იტყვიან, რაც არ მოგკლავს ის გაგაძლიერებსო, დროთა განმავლობაში გადავლახე ფინანსური და ფსიქოლოგიური პრობლემები, დღესდღეობით არანაირი შრომა აღარ

მეთაკილება, განსხვავებით პირველი წლებისაგან, პატიოსნად მოპოვებული ხელფასი ერგვარად მაკმაყოფილებს, ფინანსური სიძლიერე ბევრ პრობლემას ჭრის, თუმცა საქართველოშიც ვინატრებდი, რომ ხალხს ჰკონდეს დამაკმაყოფილებელი შემოსავალი. 1000\$ ვაგზავნიდი ყოველ თვე და ბედნიერი ვიყავი ჩემი ოჯახის წევრებს რომ ვეხმარებოდი და არა მხოლოდ მათ, ნათესავებსაც გავუმართე ხელი ელემენტარული ყოფითი პრობლემების გადასაჭრელად.

თ. 36 წ. აშშ

ქალები ფულადი გზავნილებით ოჯახის დახმარებას საკმაოდ რეგულარულად აკეთებდნენ—თვეში ერთხელ ან ორ თვეში ერთხელ.

ხელფასი მქონდა 1300 ევრო. ცხხოვრობდი იმავე ოჯახში როგორც იმათი ოჯახის წევრი. ყოველ თვე 800 ევროს ოჯახს ვუგზავნიდი საქართველოში. 100 ევროს მე ვხარჯავდი და დანარჩენს ვინახავდი.

ლ. 49 წ. იტალია

რეგულარული გზავნილების გარდა, ემიგრანტები ახერხებენ საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხების დაგროვებას, რომ სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ შეიძინონ ბინა ან მანქანა, ან დაფარონ შვილების სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები.

დახმარების გამოგზავნას ემიგრანტები სხვადასხვა გზით ახერხებდნენ. საბერძნეთის შემთხვევაში, სადაც იმყოფება ემიგრანტების უმრავლესობა დამყარებულია რეგულარული და საკმაოდ ეფექტური სატრანსპორტო კავშირი საქართველოსთან. თბილისიდან ათენში არის პირდაპირი რეისი სალონიკის გავლით. არის აგრეთვე ავტობუსით ყოველდღიური მომსახურება თბილისსა და საბერძნეთს შორის. ამიტომ ქალებს შეეძლოთ ყოველკვირეულად გამოეგზავნათ ოჯახისთვის წერლები, ამანათები და ფულადი გზავნილები.

<...> ძალიან ბევრია ოფისები იქ [ათენში], საიდანაც მანქანა მოდის საქართველოში. იქ იმდენი ქართველია, თავი საქართველოში გეკონება. ავტობუსი ყოველ 3-4 დღეში მიდი-მოდის, თანაც რამდენიმე.

ც. 48 წ. საბერძნეთი

<...> მე სამჯერ გამოვეგზავნე ამანათი, იმ ოჯახში სადაც ვიყავი რაღაც-რაღაცეებს მხუქნიდნენ, ზოგსაც მე თვითონ ვყიდულობდი, უფრო ისეთ რამეს რაც

შვილებს უნდოდათ და სჭირდებოდათ. მაგალითად ვიდეო, დივიდი, თეთრეული...

ნ. 33 წ. საბერძნეთი

სხვა ქვეყნების შემთხვევაში (აშშ, იტალია, გერმანია) რომლებთანაც არ არის დამყარებული ასეთი კავშირი, უფრო ხშირად ოფიციალური არხებით ხდება ფულადი დახმარების გამოგზავნა.

გერმანიაში წასული ემიგრანტები, ყველაზე ნაკლებად ეხმარებიან თავიანთ ოჯახებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათი უმრავლესობა გერმანიაში Au-Pair პროგრამით სასწავლებლადაა წასული. ამ პროგრამით გათვალისწინებული ანაზღაურება თვეში დაახლოებით 300 ევროს შეადგენს, რაც მიუხედავად იმისა, რომ კვებაზე და საცხოვრებელზე არ ეხარჯებათ, მაინც არ ყოფნით, ეს მათი მხოლოდ „ჯიბის ფულია“ და არაფერი რჩებათ, რომ ოჯახებს დაეხმარონ.

ჩვენი გამოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ემიგრანტი ქალების მიერ ოჯახებისთვის ყოველ თვეს გამოგზავნილი დახმარების მაქსიმალური ოდენობა იყო 1000 დოლარი, მინიმალური 50-100 დოლარი. ყველაზე დიდ ფულად დახმარებას უწევდნენ აშშ-ში მყოფი ემიგრანტები, დახმარების ყველაზე დაბალი წილი კი მოდიოდა საბერძნეთზე.

ქალების მიერ გამოგზავნილი დახმარებები ძირითადად ე. წ. „არაპროდუქტიულ“ მოხმარებაზე იხარჯებოდა: პირადი მოხმარების საქონელზე, ტანსაცმელზე, პროდუქტების შეძენაზე, მკურნალობაზე, ვალების გასტუმრებაზე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. უძრავი ქონების შეძენა ემიგრანტების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინვესტიციაა. წარმატებული ემიგრაციის შემთხვევაში ისინი როგორც წესი ყიდულობენ ბინას, შემდეგ აქირავებენ და იყენებენ როგორც დამატებითი შემოსავლის წყაროს.

ქ. ლ. (46 წლის) რუსეთში (მოსკოვში) წავიდა 15 წლის წინ, მისი ახლობლები იქ ცხოვრობდნენ და ამიტომ მას არაფერი გაჭირვებია. თავდაპირველად მათთან ცხოვრობდა. მალე სამუშაოც უშოვეს ერთ-ერთ ქართულ რესტორანში, რომელიც მათ ქართველ ნაცნობს ეკუთვნოდა. მუშაობის დაწყების შემდეგ სხვა ქართველ ემიგრანტ ქალთან ერთად ბინით სხვაგან გადავიდა. იქ მრავალი წლის ცხოვრებისა და მუშაობის შედეგად ქ. ლ-მ შეძლო მნიშვნელოვანი თანხის დაგროვება. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ თბილისში იყიდა ბინა და პატარა ბიზნესიც წამოიწყო. ბინა გააქირავა და ამით ყოველთვიური გარანტირებული შემოსავლის წყაროც გაიჩინა. ქ. ლ.-ს საკუთარი ოჯახი არა აქვს. იგი მზრუნველობს მოხუც

დედ-მამაზე და ამასთან ერთად მნიშვნელოვნად ეხმარება ძმის ოჯახს. თუმცა ეკონომიურად არ უჭირს, მას კვლავ სურს გამგზავრება, და ისევ რუსეთში, რადგან მას იქ მყოფი ახლობლების გვერდში დგომის იმედი აქვს, თან ფიქრობს, რომ ის დიდ გამოცდილება რაც მან რუსეთში ადრინდელი ემიგრაციის დროს დააგროვა, უფრო გაუადვილებს ამ ქვეყანაში ხელახალ ემიგრაციას.

ქ. თ. (43 წლი) ოჯახთან ერთად წლების განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში. ქმარსაც ჰქონდა სამუშაო და თვითონაც მუშაობდა. წამოსვლას ჯერ არ აპირებდნენ, მაგრამ რუსეთში ქართველების მიმართ აგრესიის გაზრდის შემდეგ მის ერთ-ერთ შვილს, ბიჭს ქუჩაში ინციდენტი შეემთხვა, შვილების გამო შეეშინდათ და საქართველოში დაბრუნდნენ. დაგროვილი ფული ოჯახის მეურნეობაში დააბანდეს, მაგრამ მნიშვნელოვანი მოგება ვერ ნახეს. ახლა ქ. თ. ისევ ფიქრობს საზღვარგარეთ წასვლაზე, ოღონდ არა რუსეთში. ამ ქვეყანასთან გართულებული მდგომარეობის გამო იქ ემიგრაცია არასაიმედოდ მიაჩნია. გადაწყვეტილი აქვს წავიდეს იტალიაში, სადაც მისი ორი მეგობარი ქალია წასული. პრობლემა ისაა, რომ ამჯერად ის ქმართა ერთად ვერ წავა, რადგან როგორც მეგობრებმა უთხრეს მამაკაცისათვის სამუშაოს შოვნა ძალიან ჭირს, მამაკაცის მუშახრელზე მოთხოვნა არაა, მომვლელი და დამლაგებელი ქალები კი სჭირდებათ. ამიტომ ქალი უფრო იშვიათად სამუშაოს. შვილების დატოვება ძალიან კი უძნელდება, მაგრამ ფიქრობს რომ უკვე მოზრდილები არიან და თავსაც მიხედავენ, თანაც მათი სწავლისთვის იმდენი თანხაა საჭირო, რომ ჯობია უცხო ქვეყანაში იმუშაოს და სწავლის ფული გამოუგზავნოს. ახლა მათთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ განათლების მისაღებად საშუალება ჰქონდეთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში, ფაქტიურად არ ხდება ქალების მიერ გამომუშავებული თანხის ინვესტირება წარმოებაში. ფულადი გზავნილების და დაზოგილი სახსრების უმეტესი ნაწილი იხარჯება მოხმარებაზე, რადგან ამ ეტაპზე ქალების ოჯახებისთვის პირველხარისხოვანია ელემენტარული საყოფაცხოვრებო ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მიუხედავად იმისა, რომ ქალის მიერ შექმნილი კაპიტალის მაკროეკონომიკური შედეგები არ არის მნიშვნელოვანი, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ არაპროდუქტიულ მოხმარებას თავისი დადებითი ეფექტი აქვს, უპირველესად ამაში შეიძლება ჩაითვალოს მოხმარების ოდენობის ზრდა, უძრავ ქონებაში ინვესტიციების დაბანდება, განათლებასთან და ჯანმრთელობასთან

დაკავშირებული ხარჯები და ა. შ.

ამგვარად კახეთის რეგიონიდან ემიგრირებული ქალების ფულადი დახმარებები უაღრესად მნიშვნელოვანია ბევრი ოჯახის ცხოვრებაში. დახმარების საკმაოდ დიდი ნაწილი იხარჯება პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ანუ „არაპროდუქტიულ მოხმარებაზე“, რაც გამოწვეულია მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონით. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ რეგიონში საინვესტიციო შესაძლებლობებიდან ყველაზე გავრცელებულია სამეურნეო საქმიანობაში ინვესტირება.

2.2.6. შრომით მიგრანტთა განათლების დონე, დასაქმების სპექტრი და ადაპტაციის ხარისხი

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხანგრძლივი დროის მანძილზე შრომითი მიგრაცია მიმდები ქვეყნების შრომის ბაზრებზე მოთხოვნის სპეციფიკურ ფორმირებას ახდენდა. თანდათან გამოიკვეთა სეგმენტები, სადაც იმიგრანტები იყვნენ უპირატესად დასაქმებულნი. პირველ რიგში ეს ის სამუშაო ადგილები იყო, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა დაბალი კვალიფიკაციის, არახელსაყრელი სამუშაო პირობებისა და შრომის დაბალი ანაზღაურების გამო.

რეციპიენტი ქვეყნებისაკენ მიგრაციას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა დემოგრაფიული ზრდის სტაგნაციის გამო თითქმის არ იზრდებოდა და დამატებით მოთხოვნას სამუშაო ადგილების ზრდის თვალსაზრისით არ ქმნიდა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციი მონაცემებით, ევროგაერთიანების ქვეყნებში 2000წ-დან 2015წ-მდე მოსალოდნელია ადგილობრივი, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება. მაგალითად, იტალიაში იგი შეიკვეცება 10%-ით; ასევე მცირდება იგი გერმანიაში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში (შრომითი... 2003:46).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ქვეყანა აღარ წარმოადგენს სამუშაო ძალის მხოლოდ მიმღებ, ან მხოლოდ გამცემს. ისინი იღებენ შრომით მიგრანტებს და საკუთარ მოსახლეობას გზავნიან კიდევ უფრო მაღალი ანაზღაურების მქონე ქვეყნების შრომის ბაზრებზე. ამას იმიტომ ექცევა ყურადღება, რომ საქართველოს

მოსახლეობის შრომითი მიგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ასეთი ქვეყნებისკენაა მიმართული (რუსეთი, საბერძნეთი და ა.შ.).

ისიც გასათვალისწინებელია, რომ განვითარებულ ქვეყნებში უფრო ფართოვდება მომსახურების სფეროში დასაქმება. ევროგაერთიანებაში 2001 წლის მონაცემებით, მომსახურების სექტორში ჩაბმული იყო მთლიანად დასაქმებულთა 67,1%, მათ შორის, ნიდერლანდებში—77%, ლუქსემბურგში—75,3%, დიდ ბრიტანეთში—73,7%, შვეციაში—72,7%, ბელგიაში—73,1% და ა.შ. (შრომითი... 2003:46)

მიმდინარეობს მომსახურების სფეროს სეგმენტაცია პირველად და მეორად შრომის ბაზრებად. ადგილობრივ სამუშაო ძალას საშუალება ეძლევა, თავი აარიდოს დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე დასაქმებას და ჩაებას უფრო მაღალკვალიფიციურ, შრომის უკეთესი პირობების მქონე საქმიანობაში. დამჭირავებელთათვის მეტად ხელსაყრელი ხდება იაფი სამუშაო ძალის მიზიდვა, ხანდახან არალეგალურისაც, რადგან სამუშაო ძალის ფასი ბევრად უფრო მცირეა ადგილობრივ სამუშაო ძალის ფასთან შედარებით.

შრომითი და განსაკუთრებით არალეგალური მიგრანტები ყველა ქვეყანაში განიცდიან მეტ-ნაკლებ დისკრიმინაციას. ისინი კარგავენ თავიანთ ადრინდელ სოციალურ სტატუსს და თავისი უნარის და სპეციალობის მიხედვით დასაქმების შესაძლებლობას.

ამუამინდელი საქართველოს შრომითი მიგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და არსებითი ნიშანია შრომით მიგრანტთა ნაკადის განათლების მაღალი დონე და კვალიფიციური შედგენილობა. ამას თავისი ახსნა აქვს. პირველ რიგში შევნიშნავთ, რომ მოკლე დროში შრომითი მიგრაციის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული ინფორმირებულობა, უცხო ენის რაღაც დონეზე ცოდნა და მაღალი ტერიტორიული მობილურობა. ეს ახასიათებთ მეტი განათლების მქონე ფენას, რომელსაც უცხო გარემოში კონტაქტის და ადაპტაციის მეტი უნარი აქვს. მეორე მხრივ, საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალი მეტად მაღალია. შიდა შრომის ბაზარზე პირველ რიგში ასეთ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შეიკვეცა. უმუშევართა შორის განათლების მაღალი სტატუსის მქონე კონტინგენტი დომინირებს და ამიტომ მისი მიგრაციული პოტენციალი მაღალია.

ჩვენი გამოკვლევით დადგინდა, რომ პოტენციურ შრომით მიგრანტთა უმრავლესობას—41,6%-ს, უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, 27,2%— საშუალო

განათლება, 21,5% – საშუალო-ტექნიკური განათლება.

მიგრაციისას ქალები არ ფიქრობენ, რომ საზღვარგარეთ თავიანთი განათლებისა და კვალიფიკაციის სამსახურს გამოიხადებენ. მათთვის მთავარია იშოვონ მეტნაკლებად სასურველი სამუშაო, მაღალი ანაზრაურებით.

ჩვენი გამოკვლევით კახეთის რეგიონიდან შრომითი მიგრანტი ქალებისთვის ყველაზე ხელსაყრელი საქმიანობა ძიძობაა. ბუნებრივი, რომ ეს არა მხოლოდ დედობრივი გრძნობითაა გამოწვეული, არამედ იმიტაც, რომ ამ ტიპის სამუშაოსთვის მუსახელზე საზღვარგარეთ (განსაკუთრებით საბერძნეთში) დიდ მოთხოვნილებაა. ჩვენი რესპონდენტების გამოკითხვით, მათთვის ხელსაყრელი და არახელსაყრელი საქმიანობების ტიპები პროცენტულად ასე გადანაწილდა:

(ცხრილი 19)

სასურველი საქმიანობა	%
ბავშვის მოვლა	40,1%
დამლაგებელი (სახლის/ მაღაზიის)	28,4%
მომვლელი (ავადმყოფის/ მოხუცის)	14,7%

(ცხრილი 20)

არასასურველი საქმიანობა	%
მშენებლობა და რემონტი	60,2%
მიმტანი-მზარეული	24,8%
ფაბრიკა-ქარხნის მუშა	15,0%

საერთაშორისო მიგრაციის 2003 წლის მონაცემებით რუსეთში უფრო მეტად ხდებოდა პიროვნული შრომითი პოტენციალის რეალიზაცია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რადგან რუსეთის შრომის ბაზარს სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტად სჭირდებოდა ავტოსერვისში დასაქმებულნი, ექიმები და ექთნები, ვაჭრობის დარგის მუშაკები, უმაღლესი განათლების სპეციალისტები. გერმანიაში სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მეტი იმ შრომით მიგრანტთა წილი იყო, რომლებიც ერთდროულად სწავლობენ და მუშაობენ. აშშ-ში კი ქართველ შრომით მიგრანტთაგან ყოველი მეხუთე დამხმარე მუშაა. (შრომითი... 2003:47)

სავარაუდოა, რომ ამჟამად ემიგრანტი ქალების (და არა მხოლოდ ქალების)

პიროვნული პოტენციალის რეალიზების იმედი უცხო ქვეყანაში ძალიან მცირეა.

ჩვენი გამოკვლევით მიღებული მონაცემები ნათელყოფს, რომ ქალების უმრავლესობა დაბალკვალიფიცირებულ შრომას ირჩევს. მაგრამ ეს ხდება არა იმიტომ, რომ მათ ამ შრომაზე აქვთ მოთხოვნილება, არამედ მიმღები ქვეყნების შრომის ბაზრის ორგანიზების გამო. ამ ქვეყანათა უმრავლესობაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მიგრირებულებისათვის მხოლოდ მომსახურების სფეროში მოიძებნება სამუშაო. თან ეს შრომა ბევრად დაბალანაზღაურებადია ჩასულებისთვის, ვიდრე ადგილობრივებისთვის (ამ ქვეყნის მოქალაქეთათვის). ამის მიზეზი კი არის მიგრაციის არალეგალურობა, რაც სამუშაოს მიმცემს საშუალებას აძლევს გადაიხადოს არა შრომის რეალური (შრომის ბაზარზე ფიქსირებული) საფასური, არამედ ბევრად მცირე.

კითხვაზე: „კიდევ რა ტიპის შრომა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელი?“ რესპონდენტთა 79,9% გაუჭირდა პასუხის გაცემა, რაც ნიშნავს, რომ მიგრაციულ განწყობებს ძირითადად განაპირობებს სხვების მიერ მოწოდებული ინფორმაცია და გამოცდილება. ამიტომ სავარაუდოდ მიგრანტებში დასაქმების ალტერნატიული საშუალებების ცოდნა და ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია.

საინტერესოა, რომ მიგრაციის ფორმათაგან ქალები ყველაზე რეალურად შრომით მიგრაციას მიიჩნევენ, შემდეგ მოდის განათლების მიღების მიზნით ემიგრაცია—13,8%, ხოლო შემდეგ უცხოეთში ცხოვრების გამო ემიგრაცია—5,6%.

ემიგრაციის არარეალურ ფორმად ქალებს პოლიტიკური და ბიზნეს ემიგრაცია მიაჩნიათ—65-61%, ასევე მაღალია უცხოეთში საცხოვრებლად და განათლების მისაღებად ემიგრაციის არარეალურობის მაჩვენებელი—54-52%.

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქალებისათვის საქმიანი, კვალიფიკაციის ამადლებასთან დაკავშირებული ემიგრაცია ყველაზე ნაკლებ სავარაუდოა. მათი ასპარეზი ოჯახის, ან ოჯახის სხვა წევრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით ამოიწურება.

კვალიფიკაციური განსხვავება აქაურ და იქაურ საქმიანობას შორის იმდენად დიდია, რომ მოსალოდნელია საქართველოდან სამუშაოდ გასული კონტინგენტის მკვეთრი დისკვალიფიკაცია. მაშინ როცა, ბევრი ქვეყანა, პირიქით, შრომითი მიგრაციით ზრდიდა ადამიანურ კაპიტალს, ფორმირდებოდა მაღალკვალიფიციური მუშათა სოციალური ჯგუფები, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებისას დიდ

ზეგავლენას ახდენდნენ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. საქართველოდან წასულთა მხოლოდ ნაწილი თუ იმადლებს კვალიფიკაციას, ძირითადი მასის ადამიანური კაპიტალი უფასურდება.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ პროფესიულ-კვალიფიციური თვალსაზრისით საზღვარგარეთ საქართველოს შრომით მიგრანტთა დასაქმება უკიდურესად დისკრიმინაციულია. ხდება მათი შრომითი პოტენციალის დაქვეითება, ადამიანური კაპიტალის დევალვაცია. ამიტომ შრომითი მიგრაციის რეგულირების ერთ-ერთი ამოცანა უნდა გახდეს საზღვარგარეთ ჩვენი თანამემამულეების თავისი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების მიღწევა, საკუთარი შრომითი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია, პროფესიულ-შრომითი ადაპტაციის პროცესის მოწესრიგება და ადაპტაციის დროის დაჩქარება.

სხვა ფაქტორებთან ერთად პროფესიისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმება არ არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მიგრანტთა ახალ შრომით გარემოსადმი შეგუების წინააღმდეგობრივი ხასიათისა. შრომითი მიგრანტი ძნელად ეგუება მისთვის უცხო კულტურულ გარემოს.

მიგრაციის საწყის ეტაპზე რუსეთში მიგრირებული ქართველი მოსახლეობა ხასიათდებოდა ადაპტაციის მაღალი ხარისხით. ამის ძირითადი მიზეზი ალბათ იყო ის, რომ რუსეთი სოციალური გარემოს თანხვდომით ყველაზე ახლო დგას საქართველოსთან ისტორიულად ჩამოყალიბებული მენტალიტეტის, ერთიანი კულტურული სივრცის, სოციალური წყობის და თუნდაც, კონფესიური თვალსაზრისითაც. თუმცა საქართველოს პროვინციებიდან წასული მოსახლეობისათვის ენის ბარიერი აქაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა უმაღლესი განათლების შესაბამისი სამუშაო ადგილების დაკავებისათვის. ძალიან უჭირთ სამუშაო გარემოსთან შეგუება საბერძნეთში წასულ შრომით მიგრანტებს (ძირითადად მომვლელ ქალებს), ახალ შრომით გარემოსთან შეგუების უკეთესი მაჩვენებლები აქვთ გერმანიასა და აშშ-ში მიგრირებულებს, (ახალგაზრდობის წილი აქ მეტია)

შრომით მიგრანტებს საზღვარგარეთ ყოფნისას უხდებათ არა მარტო ახალ წარმოებით და შრომით გარემოსთან ადაპტაცია, არამედ განსხვავებული სოციალურ-საყოფაცხოვრებო გარემოსთან შეგუებაც.

კახეთის შრომით მიგრანტთა რეციპიენტი ოთხი მთავარი ქვეყნიდან საბერძნეთში მომუშავენი ყველაზე მეტად ამჟღავნებენ სოციალურ-

საყოფაცხოვრებო გარემოსადმი შეუგუებლობას.

ძნელია გაითავისო მოსამსახურის სტატუსი, ფიზიკური და სულიერი დატვირთვაც დიდია. ერთი, რამაც ცოტა შემიმსუბუქა პრობლემები, ახლობლების გვერდზე ყოფნა იყო. 5 დღის ჩასული ვიყავი მუშაობა რომ დავიწყე ბავშვებთან, ვერ შევძელი, დეპრესიაში ჩავვარდი, გადავწყვიტე ბავშვებთან არასდროს მემუშავა. ერთი მოხუცი ვნახე მოსავლელი, მაგრამ სასტიკ დღეში მაგდებდა. ცდილობდა ყველანაირად დავემცირებინე და ჭამის უფლებას არ მაძლევდა. 2 კვირაში დავანებე იქ მუშაობას თავი. იმის შემდეგ რამდენიმე სამსახური შევიცვალე. გამიჭირდა ახალ პირობებთან შეგუება. ენა რომ ვისწავლე ურთიერთობა ცოტა გამიადვილდა, მაგრამ არალეგალურად ცხოვრება ძნელია. ქუჩაში ყოველი ფორმიანის დანახვაზე შიში მიპყრობდა, რომ არ დავეკავებინე, ისევ უკაპიკოდ არ მიმატრიალონ-თქო, განვიცდიდი.

ქ. 36 წლის საბერძნეთი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს საყოველთაო ინტეგრაციული პროცესები, რაც სოციალურ-ყოფით გარემოთა დაახლოებას უწყობს ხელს. თუმცა, საერთო ფასეულობათა თანდათან ზრდის მიუხედავად, ძლიერია ეროვნული და ყოფითი ფასეულობანიც, ტრადიციები და სოციალური გარემოსადმი განსხვავებული მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება. ამითაა გამოწვეული ის სიძნელეები, რაც მიგრანტი ქალების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილებისას წარმოიშევა. იგი ხანდახან ისეთი სიძლიერისაა, რომ ვითარდება ფსიქიკური შეუთავსებლობა ახალ გარემოსთან, ნოსტალგიის მძაფრი გამოხატულებით. განსაკუთრებით მძიმე და გაუსაძლისი ხდება საზღვარგარეთ ცხოვრება იმ ემიგრანტებისთვის, რომლებისთვისაც უცხო ქვეყანა უკავშირდება მათ ოცნებას—ოდესმე ენახათ და ეცხოვრათ იქ. ამის გამო ისინი ხშირად მიდიან წინასწარი მომზადების გარეშე, რაც გულისხმობს იმ ქვეყნის სამუშაო ბაზრის „შესწავლას“. მათი ოცნებები და იმედები რა თქმა უნდა მაღევე ინგრევა და მათი ემიგრაცია ხშირ შემთხვევაში წარუმატებლად მთავრდება. ვფიქრობთ ასეთ შემთხვევაში ემიგრანტი ქალების ემიგრაციის მიზეზი არა იმდენად ეკონომიკური გაჭირვებაა, არამედ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შეფარდებითი დეპრივაცია. ზოგჯერ ემიგრაციაში წასვლის მსურველს ჰგონია, რომ უცხო ქვეყანაში ადვილად იშოვის სამუშაოს და საერთოდ ადვილად გამოუვა ყველაფერი. ემიგრაციისადმი ასეთი მიდგომა უკეთესად აიხსნება ერთი ქართული გამონათქვამით „სადაც ჩვენ

არ ვართ, იქ ყველაფერი კარგი გვგონია”. ჩვენი ერთ-ერთი ინტერვიუერი, ყოფილი ემიგრანტი საკმაოდ მძიმედ აღწერს უხცოვანობაში გატარებულ წლებს.

ძალიან გამიჭირდება ალბათ იმ ამბის გახსენება რაც, ორი წის წინ ჩემს იტალიაში უაზროთ წასვლას და ჩამოსვლას უკავშირდება. ალბათ ყველას ჰქონია ბავშვობის ოცნება რომელიც უცხოეთის რომელიმე ქალაქის ნახვას და იქ ცხოვრებას უკავშირდება. აქ ჩამოსულებმა რამოდენიმეჯერ ისეთ ლამაზ სამყაროდ დამიხატეს, ისეთ იოლ და ვარდისფრად იქ ცხოვრება, რომ მე ეჭვი არ გამჩენია რაიმე სიძნელეზე.

ერთ მშვენიერსო ვერ დავარქმევ, ერთ კომპარის დასაწყის დღეს ჩემი გამზადებული საბუთებით შევედი საელჩოში და თან ეს ყველაფერი ისე ხდებოდა ჩემს თავს, თითქოს სიზმარში ვიყავი და ამას ყველაფერს რეალურად ვერ აღვიქვამდი. დადებითი პასუხებით დავბრუნდი სახლში, სულ რაღაც ორ დღეში მივემგზავრებოდი კიდევ. არ ვიცი ვის იმედად ვტოვებდი ჩემს ოჯახს, შვილს, რომელიც ჩემს გარეშე დღემდე არსად უძინია და არ დარჩენილა პაპა-ბებიებთან. <...> იქ ჩემს მეზობელ ქალთან ერთად წავვედი, ასევე მეზობლებთან ერთად ვიყავი ბინაზე. დიდი და დამღლევი მგზავრობის შემდეგ ჩავედით ამ მონათა ქალაქში, სადაც, პირდაპირ ვხმარობ ამ სიტყვას, მონები არიან ჩვენი საცოდავი, ზოგიც თავზახელაღებული ქალები. იმ ქალაქში სამი თვე ვიყავი, ვერანაირი სამუშაო ვერ გამოიხნდა და არც მქონდა იმედი. რაც დრო გადიოდა მით უფრო კარგად ვერკვეოდი იქაურ სიტუაციაში. იმდენი უმუშევარი ქართველების ყურება, სახლში, სადაც მე ვიყავი, თუ ეკლესიებში სადაც კვირაში ორჯერ მივდიოდით, ვითომდა სამუშაოს საძიებლად, ძალიან მოქმედებდა ყველაზე და არა მარტო ჩემზე. იქ (ეკლესიებში) მისულებს კი ერთი და იგივე პასუხი გვხვდებოდა: არ არის სამუშაო. ამ დროს დავირაგებული მაქვს ბინა. გადის დრო და საქართველოში დარეკვისას ვერ ვუხსნიდი ოჯახს თუ რა სიტუაცია იყო. ბავშვი ძალიან განიცდიდა ჩემ წასვლას. მეუღლეს როგორც შეშლილი ისე მელაპარაკებოდა ტელეფონზე. აღარ ვიცოდი რა მექნა არც იმის გამოცდილება მქონდა ქალაქი დამოუკიდებლად გამომეცვალა, ან სად მივდიოდი ეგეც არ ვიცოდი, ან იქ ვინ დამხვდებოდა, ეს ყველაფერი მათთვის, ვინც ამას მირჩევდა ძალიან იოლი იყო, რადგან კაცი სხვის რჩევაში ბრძენიაო, როგორც იტყვიან. ვერ გადამეწყვიტა რომელი გზა ამერჩია, გამერისკა ჩემი თავი და სხვა ქალაქში გადავსულიყავი, მაგრამ არ ვიცი იქაც როგორ გამიმართლებდა, ვინმე საერთოდ თუ დამხვდებოდა ჩემთვის მთლად უცხო

ქალაქში, თუ ისევ ამხელა ვალით უკან დაებრუნებულყავი. ღმერთმა ისევ ჩემ შვილთან წამოსასვლელი გზა მარხევიანა და მეც დაებრუნდი. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო და სინანული მხოლოდ იმაზე მაქვს, რომ არასდროს არ მეფიქრა ნეტავ წასვლა. ხან ვფიქრობ, ალბათ, მე ის ადამიანი არ ვიყავი, რომელიც იქ გაძლებდა უშვილოდ, უოჯახოდ. <...> იქ წასულ ქალბატონებზე კი ვიტყვი: იშვიათნი არიან პატიოსნად მომუშავენი და ადამიანები. უმეტესობა ქმარგაცილებულია და იქ ბედის საძიებლად უფროა წასული, ან ყველაფერზე წამსვლელები. შურით და ბოღმით არიან ერთმანეთზე აღვსილები. უმეტესი მათგანი მეტად გულგრილია, მათთვის უკვე უცნობია ყველაფერი რაც გრძნობებთან და ემოციებთან ასოცირდება. მათ ერთ დღეს სისხლი შეეყინათ და ზომბებივით მარტო ფულის ყნოსვა ამოძრავებთ.

ე. 28 წ. იტალია

ვფიქრობთ, რომ მსგავსი ტიპის შემთხვევები ერთეული არ უნდა იყოს, რადგან, ემიგრაცია დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და ხშირად ქალები არ ითვალისწინებენ ამ რისკ-ფაქტორებს.

ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საზღვარგარეთ სადაც ადამიანები გარკვეულწილად ექსტრემალურ ვითარებაში ხვდებიან, ხშირად ვლინდება ადამიანის ის თვისებები, რომელიც ჩვეულებრივ არ ჩანს ხოლმე- შური, გაუტანლობა, დაბეზლება. სამწუხაროდ არის შემთხვევები, როცა ამ თვისებებს ავლენენ ქართველი ემიგრანტი ქალები საზღვარგარეთ თავის თანამემამულეების მიმართ.

მოხუცს ვუვლიდი, არც ისე ბევრი საქმე მქონდა, მაგრამ ჩემი ძალიან შურდათ, რაღა შენ გვხვდება ასეთი კარგი ხალხიო. მე არავისი არაფერი მშურდა, ყველას ვესმარებოდი რაც შემეძლო, ქართველები სახლშიც მომყავდა, ვაჭმევდი და ვესმარებოდი სანამ სამუშაოს იშოვიდნენ, მაგრამ უმადურები ვართ, იქ ღვარძლი ყველამ გამოამუღვნა. არავინ ისეთ ბოროტებას არ ვაგვიკეთებს, როგორც შენიანი.

ი. 52წ. საბერძნეთი

პირველად ქართველებში კარგი ურთიერთობა, ურთიერთგაგება და თანადგომა იყო, როგორც გჩვევია. თუ ვინმე უმუშევარი იყო მეც და სხვებიც ერთიმეორეს

ვემარებოდით და ანგარიშს ვუწევდით. ეხლა ეგ აღარ არსებობს, ყველა ცალ-ცალკეა, უკვე ძალიან გაჭირდა ცხოვრების პირობები. აქეთ თავისი ოჯახის სარჩენადაც აღარ ყოფნით ის შემოსავლები, ყველგან გაჭირდა. ახალი ჩამოსულები ამბობდნენ, რომ ის თანადგომა და ურთიერთგაგება აღარაა აქვთ ქართველებსო.

6. 55წ. საბერძნეთი

სიღრმისეულმა ინტერვიუებმა გვიჩვენა, რომ სოციალურ-საყოფაცხოვრებო გარემოსადმი ადაპტაციისას მიგრანტ ქალებს სერიოზული პრობლემები არ გასჩენიათ, მაგრამ მათ განსაკუთრებით უჭირდათ ოჯახთან, შვილებთან და ნათესავებთან დაშორება. დაბრუნებულ ემიგრანტებს შორის არის ის მცირე ნაწილიც რომლებიც ახალი გარემოსადმი სრულ შეუთავსებლობას აფიქსირებდა. მათ სხვა ფაქტორებთან ერთად ადაპტაციისას პრობლემებს უქმნიდნენ ის აღამიანებიც ვისაც უვლიდნენ, ან ვის სახლშიც მსახურობდნენ. საერთო შეფასებით, საქართველოდან წასულ შრომით მიგრანტებს აქაური ნათესაურ-მეგობრული გარემოს დატოვება უჭირთ.

2.2.7. შრომითი მიგრანტების კონტაქტები ოჯახთან და მათი უკან დაბრუნების პოტენციალი

შრომითი მიგრაცია დროებითი ხასიათისაა, მაგრამ ადგილობრივ გარემოსთან შეჩვევა, შრომის მეტი ანაზღაურება და ცხოვრების მაღალი დონე, ქორწინება, სამშობლოში შექმნილი მეტად არახელსაყრელი სოციალურ-შრომითი, პოლიტიკური, კრიმინოგენული და ა.შ. ვითარება, შრომით მიგრაციას სტაციონარულ ემიგრაციად აქცევს და, ნაწილობრივ ხდება დროებით წასულთა შერწყმა იმიგრაციული ქვეყნების მოსახლეობასთან. ეს პროცესი ჩქარდება იმ ქვეყნებში, სადაც საქართველოდან წასული შრომითი მიგრანტები ეროვნულ-კონფესიურად ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენენ. მაგალითად, სწრაფად მოხდა საქართველოდან წასული რუსი შრომითი მიგრანტების დამკვიდრება რუსეთში, ბერძნებისა–საბერძნეთში. ქართველი შრომითი მიგრანტების ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილირების პროცესიც მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს. მართალია, მას ჯერჯერობით დიდი მასშტაბი არ მიუღია,

მაგრამ შრომითი მიგრაციის შესწავლის პროცესში საყურადღებო მოვლენაა.

აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ეძლევა შრომით მიგრანტთა სამშობლოში უკან დაბრუნების პოტენციალის ზოგად შეფასებას, რომლის საშუალებასაც ნაწილობრივ ჩვენი გამოკვლევა იძლევა. ემიგრაციის მსურველი რესპონდენტებიდან (84%) 13,3% უკვე იყო ქვეყნის გარეთ, მიგრაციაში ყოფნის მაქსიმალური ხანგრძლივობა 10 წელია, მინიმალური—2. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიგრაციის წარუმატებლობა, ანუ მიგრაციის მიზნის გამართლება პირდაპირ კორელაციაში არ არის ემიგრაციის ხანგრძლივობასთან. მიგრაციის ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით, ემიგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება წარმატებულად, თუ ემიგრანტი სამუდამოდ დამკვიდრდება ემიგრაციის ქვეყანაში, ასეთი მიდგომით, სამშობლოში დაბრუნება ყოველთვის წარუმატებლად აღიქმება. თუმცა შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია საპირისპიროს ამტკიცებს, რომ დაბრუნება ემიგრაციის პროცესის ისეთივე ნაწილია, როგორც გამგზავრება და მისი გამომწვევი მიზეზებიც სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

ჩვენი გამოკვლევით ემიგრანტების დიდი ნაწილი არცთუ მოკლევადიან ემიგრაციაში იმყოფებოდა, ემიგრაციის ხანგრძლივობის საშუალო მნიშვნელობა ყველა დაბრუნებული ემიგრანტისთვის სამი წელია. დაბრუნებული ემიგრანტების თითქმის ნახევარი საზღვარგარეთ სამი და მეტი წელი მუშაობდა. რესპონდენტების აზრით, როგორც წესი მოკლე დროით გამგზავრება არაა საკმარისი იმისათვის, რომ გადაიხადო ემიგრაციისთვის დახარჯული ვალად აღებული ფული და ამავდროულად დაზოგო და მოაგროვო გარკვეული თანხა, რომ სამშობლოში დაბრუნებულმა შეძლო ბინის ან მანქანის ყიდვა, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ემიგრაციის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად ბინის შექმნა აღიქმება.

ისე როგორც საზღვარგარეთ წასვლის სხვადასხვა მიზეზი არსებობს, ასევე ემიგრაციიდან დაბრუნების მიზეზებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგ შემთხვევაში დაბრუნება წარუმატებელი ემიგრაციის შედეგია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში იმ გადაწყვეტილების შედეგი, რომელსაც ემიგრანტი გაცნობიერებულად იღებს და საკუთარი ნების თანახმად ბრუნდება სამშობლოში. ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების გამოკითხვიდან გამოიკვეთა დაბრუნებულთა ორი ძირითადი კატეგორია: ერთ კატეგორიას მიეკუთვნებიან იძულებით დაბრუნებული ემიგრანტები, ანუ ისინი, ვინც, ოჯახური პრობლემების,

ჯანმრთელობის გაუარესების, ან დეპორტაციის გამო გახდნენ იძულებული დაბრუნებულიყვნენ, თუმცა მათ დაგეგმილი ჰქონდათ საზღვარგარეთ კიდევ დარჩენილიყვნენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ნაბაყოფლობით დაბრუნებული ემიგრანტები, რომლებმაც მიაღწიეს „ემიგრაციის მიზანს“, რის გამოც წავიდნენ საზღვარგარეთ და თავიანთი სურვილით დაბრუნდნენ სამშობლოში.

ქ. ბ. 44 წლისაა, აქვს უმაღლესი განათლება. მან მასწავლებლობას თავი დაანება და 1998 წლის გაზაფხულზე მეგობრის რჩევით სალონიკში წავიდა მოსუცი, 78 წლის, ავადმყოფი ქალის მომვლელად. იგი ტურისტული ვიზით გაემგზავრა, რომელიც 500\$ დაუჯდა. იქ ახლობელმა სამსახური დაახვედრა. მას თვეში ჰქონდა 600\$-ის ფარგლებში ანაზღაურება. ასევე ხშირად საჩუქრები და დანამატები. ქ.-ბ. ოჯახს საქართველოში ყოველ თვე 400-500 აშშ დოლარს უგზავნიდა. ქ.-ბ-ს საბერძნეთში წასვლამდე ოჯახი (მეუღლე და სამი შვილი) ცხოვრობდა თელავში. გზავნილების საშუალებით მათ თბილისში შეიძინეს ბინა და ავტომანქანა ორივე ვაჟიშვილისთვის. სამივე შვილი სწავლობს უნივერსიტეტში, უმაღლესი განათლების მქონე მისი ქმარი მუშაობს პროფესიით. ქ.-ბ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში ერთხელ ჩამოვიდა. ჩვენი შეხვედრის დროს ქ.-ბ მეორედ იყო ჩამოსული, ისიც ძალიან მოკლე დროით. ძალიან მალე ისევ უკან გაბრუნებას აპირებდა, თან ისევ კანონის გვერდზე ავლით, ტურისტული ვიზის საშუალებით.

ოჯახი ძალიან განიცდის დედისა და მეუღლის მოშორებას, მაგრამ, ქ.-ბ-ს თქმით რასაც ოჯახმა ამ გადაწყვეტილებით დააღწია თავი, ამაღ ღირს.

ჩვენს მიერ გამოკითხული ქალების უმრავლესობა იძულებითაა დაბრუნებული და დაბრუნების უმთავრესი მიზეზი (თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში) ნოსტალგიაა, ქალები ვეღარ უძლებენ ოჯახთან და შვილებთან განშორებას. განსაკუთრებით მძიმეა იმ მარტოხელა, ქერივი ქალების მდგომარეობა, რომლებმაც სამშობლოში დატოვეს მცირეწლოვანი შვილები.

იტალიაში წასვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ აქაური ხელფასი არაფერში არ მყოფნიდა. ბავშვები სანახევროდ მშვირები მყავდნენ, ქმარი ავარიაში დამედუპა. იმის შემდეგ ვწვალობ, ხან საცხოობში ვმუშაობდი, ხან კაღბასის ცეხში, თან შაღებსაც ვქსოვდი და ვყიდდი, მაგრამ ძალიან მცირე შემოსავალი მქონდა, ორი შვილი მყავს, ორივე ცერებრალური დამბლით დაავადებული, ორივეს შეუძლია

გადაადგილება, ჭამა და თავისი თავის მიხედვა, დედა კი ასაკიანი მყავს, მაგრამ ბავშვების მიხედვა შეუძლია. ხოდა, დედაჩემი დავტოვე ბავშვების მისახედად. იტალიაში რომ ჩავედი ჩვენი წასული ქართველები დამეხმარნენ სამუშაოს შოვნაში. მადლობა დმერთს რომ სამუშაო მაღევე ვიშოვნე, ერთი მოხუცი სკლეროზიანი ქალის მოვლა დავიწყე, არ მეგონა თუ ასე გამიჭირდებოდა, ძალიან ძნელი ყოფილა აქაური ცხოვრება. ჩემ სკლეროზიან ბებერს აღარ ახსოვდა ქმარი რომ მოუკვდა, ჩამიყვანდა დაბლა და ველოდებოდით მის ქმარს სანამ სამუშაოდან დაბრუნდება, ლოდინით რომ დავიდლებოდით, მერე ძლივს ამყავს სახლში, ერთხელ გამასწრო, შევარდა სახლში და კარები დამიკეტა, აღარ მიშვებდა, ვიდრე კარებთან და ვტიროდი რამდენიმე საათი, სანამ თავისი ახლობლები არ მოვიდნენ და კარები არ გააღებინეს, ხან რა ოინს მიკეთებდა, ხან რას. გამისკდა ნერვები. ცალკე ჩემი ბავშვების დარდი არ მასვენებდა ცალკე ეს შერეკილი ქალი, ხან ისე გასულა მთელი ღამე ტირილში გამიტარებია. ყველაფერთან ერთად ვნერვიულობდი იმაზე, თუ როგორ მოვიშორო მეტეხი პროცენტიანი ვალი რითაც წავედი, რაც დრო გადიოდა მით უფრო მიჭირდა იქ გაჩერება ისე მენატრებოდნენ შვილები. ლამის გავგიუბულიყავი, ყოველდღე ველაპარაკებოდი ბავშვებს. იმათ ხმას რომ გავიგებდი, ცოტა დავწყნარდებოდი ხოლმე, იმდენი ხანი ჩემი შვილების უნახაობით და იქაური ყოფით ნევროზი ავიკიდე, რამდენიც ვინდა დავლაპარაკებოდი ბავშვებს მეგონა ცუდად არიან და მიმაღავენ მეტეხი. ისე ამივარდა თავში ეს ფიქრებ, რომ ველარ ვიცილებდი თავიდან. ყოველ ღამე ველაპარაკებოდი ბავშვებს და ვეუბნებოდი, რომ ნუ მიმაღავდნენ ცუდად რომ იყვნენ, როცა მეუბნებოდნენ კარგადა ვართო არ ვიჯერებდი, ისე გამიჯდა ძვალსა და რბილში ეს ჩემი შვილების ცუდად ყოფნა, რომ მთელი კვირა ნერვიულობისგან პირში აღარაფერს ვუშვებდი, ველარ გავუძელი ამდენ ნერვიულობას, დავკარი ფეხი და ჩამოვედი. ჩემი საცოდავი შვილები, რომ ვნახე დავწყნარდი, დაწყნარებით კი დავწყნარდი, მაგრამ ეს ხომ ვერ გვაჭმევს და გვაარსებებს? ბედი არა მქონია ქმარი, რომ არ მომკვდომოდა ვეგდებოდი ჩემს ქმარშვილთან ერთად და ავად თუ კარგად შევინახავდით ოჯახს. ჩამოვედი და დავინახე ისევ ჩემი ოჯახის გაჭირვება, შვილების შიმშილი. განა რამდენ ხანს მეყოფოდა წამოყოლილი ერთი-ორი კაპიკი. ძალიან ვნანობ უკან დაბრუნებას, უნდა მომეთმინა. მეტი გზა არ არის, ისევ დავიწყე წასვლაზე წვალემა. ისევ წავალ, როცა ჩემი შვილები ძალიან მომენატრებიან ისევ ჩამოვალ და ასე გავრძელდება მანამდე, სანამ უფალი მეც

ჩემს ქმართან არ წამიყვანს, ესეთი ყოფილა ჩემი ბედისწერა.

მ. 43 წლის, იტალია

ზოგიერთი ემიგრანტი ბრუნდება ჯანმრთელობის გაუარესების გამო. ჩვენი კვლევის პროცესში დაფიქსირდა შრომითი მიგრანტების ჯანმრთელობის გაუარესების ერთეული ფაქტები. რადგან მიგრანტები არალეგალურად მუშაობენ, მათ არა აქვთ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება დამქირავებელთან და არ გააჩნიათ სამედიცინო დაზღვევა, ამიტომ ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში საკუთარი დანაზოგით ცდილობენ ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო დანახარჯების ანაზღაურებას, მათ ეხმარებიან იქ მყოფი ნაცნობ-მეგობრებიც. უკიდურეს შემთხვევაში ისინი ბრუნდებიან სამშობლოში. სამედიცინო დაზღვევის არ ქონა მეტყველებს ქალების ჯანმრთელობის უკიდურესად დაბალ დაცულობაზე, რაც გასათვალისწინებელია შრომითი მიგრაციის უარყოფითი მხარეების შეფასების დროს.

ვმუშაობდი მოხუც ქალთან მოსამსახურედ. მეგონა გაჭირვება და ნერვიულობა უკან მოვიტოვე-მეთქი. დღესაც რომ მახსენდება რა სადისტურად მექცეოდა ის მოხუცი ვისაც ვუვლიდი, გული მიწუხდება. დღე არ გავიდოდა რომ არ ვეტირებინე, რა სიტყვებს აღარ მეძახდა, რომ იტყვიან, ჯოჯოხეთის ცეცხლში გამატარა. რამდენიმე ხნის მერე სხვაგან გადავედი. სამსახური ვიშოვე ისევ მოხუც ქალთან და თანაც მისი გოგოსთვისაც საქმე უნდა მეკეთებინა. აქაც გამიჭირდა, მოხუცი ხშირად ვარდებოდა, თანაც 100 კილომდე იყო და წამოყენება მიჭირდა. წელის ტკივილები დამეწყო, თირკმელებიც ამტკივდა და სანამ მოსავლელი მე თვითონ გავხდებოდი დავანებე თავი.

ლ. 40 წ. საბერძნეთი

ამავე ემიგრანტმა ქალმა, რომელიც ვერანაირად ვერ შეეგუა ჭირვეულ მოხუცებს, რომლებსაც უვლიდა, გადაწყვიტა ბავშვისთვის მოეწყო, რადგან ფიქრობდა, რომ თვითონაც დედა, შეძლებდა სხვისი ბავშვის გაზრდას. როგორც გამოკთხვამ აჩვენა, ქალთა უმრავლესობას (40,1%) სწორედ ბავშვის მოვლა ურჩევნია, რაც მათი დედობრივი ძალის გამოვლენით აიხსნება.

ერთი თვე სამსახური ვერ ვიშოვე, ძალიან ვნერვიულობდი <...> როგორც იქნა ვნახე ერთი სამსახური. ფეხმძიმე ქალი იყო, ერთ თვეში ბავშვს ელოდებოდა. ვიფიქრე ბავშვის მოვლა უკეთესი იყო ჩემთვის, რადგან 9 წლის ბავშვი მივატოვე და ის სიტბო, რაც მას მოვაკელი ისევ უცხო, მაგრამ უცოდველი ბავშვისთვის

მიმეცა. ერთ თვეში გაჩნდა ბავშვი. მის გაზრდაში ცოტა შეეხება ვნახე, თუმცა ძალიან ვიღლებოდი ფიზიკურად, სულიერად ცოტა დასვენებული ვიყავი. ჩემი შვილი კარებთან ცრემლმორეული და გაოგნებული დავტოვე, ეს რომ მახსენდებოდა ჩემ თავს დასვენების ნებას არ ვაძლევდი. უნდა მემუშავა. ამასობაში საბუთები გავაკეთე და დროებითი მოქალაქე გავხდი. როგორც კი რაღაც თანხა დავიჭირე ხელში ჩამოვედი თბილისში.

ლ. 40 წ. საბერძნეთი

როგორც ბევრი დაბრუნებული ემიგრანტი ქალი აღნიშნავს, საზღვარგარეთ ისინი საკმაოდ დიდ ეკონომიას ეწევიან, ყველანაირად ცდილობენ, დაზოგონ ხელფასი, თვითონ მოიკლონ ჩაცმა, ჭამა, დასვენების დღეებიც კი. მათ მიერ საქართველოში ჩამოტანილი დანახოვით ცოტა ხანს მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდა, თუმცა ამ დანახოვის დახარჯვის შემდეგ დაბრუნებულ ქალთაგან უმრავლესობას ისევ შეექმნათ პრობლემები: ქალთა უმრავლესობამ ვერ იშოვა სამუშაო, ვერ შეძლო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, ამიტომ ისინი საზღვარგარეთ ხელახლა წასვლაზე ფიქრობენ.

ნელ-ნელა, რაც დრო გადის, ისევ შიში მიპყრობს. არ გვეშველა არაფერი. ერთი სული მქონდა აქ ჩამოსვლის, მაგრამ ახლა წასვლას ვჩქარობ. არა სამსახურები, არა ხელფასი. ეს მდგომარეობა ჩემი და ჩემი ოჯახისთვის დაღუპვის ტოლფასია. 700 ევროთი ვერ ვარჩენ ჩემს ოჯახს და 60-100 ლარით რა უნდა ვქნათ. მითუმეტეს 40 წლის ადამიანისთვის სამსახურის შოვნა უფრო ძნელია. ამიტომ გადავწყვიტე რომ ისევ წასვლა ჯობია. იქ უფრო საჭირო და შედარებით უკვე ძლიერად ვგრძნობ თავს. მართალია ისევ უნდა დავტოვო ჩემი შვილი, მაგრამ მშიერ და გაუბედურებულ მდგომარეობას აღარ ავიტან. ფაქტი ის არის, რომ საქართველოში ცხოვრება და არსებობა ძალიან რთულია. პირადად ჩემთვის ასეა.

ლ. 40 წ. საბერძნეთი

დაბრუნებული ემიგრანტების უმრავლესობას აქვს სურვილი, რომ კიდევ ერთხელ წავიდნენ საზღვარგარეთ, რათა კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე დაეხმარონ თავიანთ ოჯახებს, შვილებს, რომლებიც სწავლობენ. მაგრამ ზოგიერ მათგანს აფერხებს ემიგრაციასთან დაკავშირებული ფინანსური რესურსების არქონა. ამასთანავე მათ უკვე აქვთ გამოცდილება და კარგად იციან რა მოვლით, რა პრობლემები შეექმნებათ უცხოეთში, ამიტომ ისინი უფრო კარგად მომზადებულები არიან ემიგრაციისთვის. თუმცა, ბევრს ისევ აფერხებს ვალის

აღებასთან და დეპორტაციასთან დაკავშირებული შიში. ბევრს უცხო ქვეყანაში შექმნილი მეგობრების იმედი აქვთ და უფრო გაბედულად იღებენ ასეთ გადაწყვეტილებას.

იძულებული ვარ ისევ წავიდე, რადგან 4 თვეა აქ ვარ და იქ მოგროვილი ფულით ვცხოვრობ ჩემი შეილებით. შეილს რომ გავაგზავნი ზაფხულში სასწავლებლად, მე ისევ უნდა წავიდე იტალიაში, აბა როგორ გადავუხდი სწავლის ფულს, ბინის ქირას, ჭამაც ხომ უნდა, ჩაცმაც.. ჩემს შეილებს სჭირდებათ ჩემი დახმარება. აქ რომ ვიყო სად ვიმუშაო, მე ვაჭრობა არ შემიძლია, ადრე მასწავლებელი ვიყავი, ახლა სკოლაში როგორღა დავიწყებ მუშაობას, მირჩევენია მოხუცებულს მოვუარო, ბინის ქირა არ მჭირდება და ჭამაზე ფიქრი. ერთადერთი რაც ძალიან ძნელია ტკივილამდე მონატრებაა. იქ საქართველოს ნაგავიც კი მენატრებოდ. აქ რომ 500 ლარი მქონდეს ხელფასი და ჩემს შეილებს ჩემი დახმარება არ სჭირდებოდეთ, არავითარ შემთხვევაში აღარ წავიდოდი, მაგრამ სამწუხაროდ სხვა გზა არ მაქვს.

ლ. 49 წ. იტალია

ზოგიერთი ემიგრანტი ისე ჩამოვიდა სამშობლოში, რომ მან ვერ შეძლო თანხის დაგროვება, ვალების დაფარვა, ზოგიერთი დეპორტაციის შედეგად ჩამოვიდა, მაგრამ მათი უმრავლესობა მაინც აპირებს ხელახლა გამგზავრებას.

ზოგიერთი დაბრუნებული ემიგრანტი ქალი კატეგორიულად გამორიცხავს საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობას, რაც ჩვენი აზრით გამოწვეულია ერთი მხრივ იმით, რომ მათ ემიგრაციის შედეგად შეძლეს საკმარისი რესურსების დაგროვება, დააბანდეს დანაზოგები უძრავ თუ მოძრავ ქონებაში და შეძლეს ოჯახისათვის შეექმნათ შემოსავლების დამატებითი წყარო. მაგრამ ჩვენი კვლევის პროცესში ასეთი მხოლოდ ერთეული შეგვხვდა. იმ დაბრუნებული ემიგრანტებიდან რომლებსაც არ სურთ ხელახლა ემიგრაცია, უმრავლესობა იმდენად ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმით დაბრუნდა, რომ არა თუ ხელახლა წასვლა, არამედ ემიგრაციის წლების გახსენებაც კი არ სურს.

დაბრუნებული ემიგრანტების დამოკიდებულება ემიგრაციისადმი მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, თუ რამდენად წარმატებული იყო მათი ემიგრაცია და რამდენად მოახერხეს მათ დასახული მიზნების მიღწევა. არიან ემიგრანტები, რომლებიც ნანობენ იმას, რომ საერთოდ წავიდნენ საზღვარგარეთ, რადგან არა თუ ვერ მოახერხეს თავიანთი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა,

არამედ ვალების გადახდაც ვერ შეძლეს. მეორეს მხრივ, მაშინაც როდესაც ემიგრანტი ახერხებს ოჯახის დახმარებას, გარკვეული თანხის მობილიზებას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, სახლში დაბრუნებულს შეიძლება სხვა სახის პრობლემები დახვდეს, მაგალითად ოჯახის წევრების გაუცხოება, რასაც შეიძლება ზოგჯერ ოჯახის დანგრევაც მოყვეს.

4 წელი და 6 თვე ვიყავი წახული და ჩამოვედი, რადგან გავიგე რომ ჩემი ქმარი სხვა ქალთან ცხოვრობდა, უმცროსი შვილი სასწავლებლად უნდა გავაგზავნო უკრაინაში და ამიტომ მინდოდა ჩემი ოჯახის პრობლემები მომეგვარებინა, მაგრამ საუბედუროდ ქმარი დაეკარგა.

ლ. 49 წ. იტალია

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ემიგრაციის მსგავსი შედეგები აუცილებლად უნდა გახდეს დამატებითი კვლევის საგანი.

მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ გამოკითხული თითქმის ყველა დაბრუნებული ემიგრანტი ქალი ერთ რამეში ერთსულოვანია—ემიგრაციამ მათ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა. ამიტომ ბევრ უარყოფით მოვლენებთან ერთად, რომელიც თან სდევს ემიგრაციას, ბევრი მას მაინც დადებით მოვლენად აფასებს და სითბოთი იხსენებს ემიგრაციის ქვეყნებში გატარებულ წლებს, იმ ადამიანებს რომლებიც იქ გაიცნეს.

საბედნიეროდ მოვხვდი ძალიან კარგ ოჯახში, ვუვლიდი ალცაიმერით დაავადებულ 68 წლის ქალს ლოვინად ჩავარდნილს, სახლში იყო ამ ქალის ქმარი და 27 წლის ქალიშვილი. პირველი 6 თვე ძალიან გამიჭირდა, მთელი ღამე ვერ ვიძინებდი სულ ქმარზე და შვილებზე ვფიქრობდი, მენატრებოდნენ, ყველაზე მეტად უმცროს შვილზე ვნერვიულობდი, 15 წლის იყო და მეშინოდა ცუდ გზას არ დასდგომოდა, <...> 6 თვის მერე ნელ-ნელა შევეჩვიე მდგომარეობას, შევიძინე იტალიელი მეგობრები, ორი ოჯახი, რომლებიც ძალიან მეხმარებოდნენ ყველა პრობლემის დაძლევაში, ენაც შევისწავლე. ამჟამად ძალიან კარგად ვლაპარაკობ იტალიურად. წელიწად ნახევრის მერე ის ქალი ვისაც ვუვლიდი გარდაიცვალა და გადავედი ფლორენციაში. იქ ვუვლიდი ორ მოხუც ცოლ-ქმარს, ხელფასი მქონდა 1300 ევრო. ვცხოვრობდი ოჯახში, როგორც იმათი ოჯახის წევრი.

ლ. 49 წ. იტალია

საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომ ოჯახის წევრის უცხოეთში ყოფნა, მისი ადაპტაციის ხარისხი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამშობლოში დარჩენილი

ოჯახის წევრების მიგრაციულ განწყობაზე.

დაბრუნებული ქალების უმრავლესობა თვლის, რომ მათი ოჯახების მდგომარეობა უაღრესად მძიმე იქნებოდა ისინი რომ სამუშაოდ არ წასულიყვნენ საზღვარგარეთ. როგორც აღვნიშნეთ ყველა ქალი ვერ ახერხებს დასახული მიზნების მიღწევას და ოჯახების დახმარებას. მიუხედავად ამისა ნათელია, რომ ემიგრანტების მიერ გაწეული დახმარება და ის ინვესტიციები რაც მათ დააბანდეს უძრავ/მოდრავ ქონებაში, განათლებაში და ა.შ. გარკვეულწილად უბიძგებთ სხვა ქალებს, რომ მათაც საზღვარგარეთ ეძიონ ბედი.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, შრომითი მიგრაცია საკმაოდ მყარია და შრომითი მიგრანტების სამშობლოში სამუშაოდ გადმოსვლა მხოლოდ გარკვეული წინაპირობების შესრულების შემდგომ მოხდება. დაბრუნებული ემიგრანტების რე-ემიგრაციული განწყობა საკმაოდ მაღალია.

როგორც უკან დაბრუნების პირობებიდან ჩანს, საკმაოდ ფართოა მისი სპექტრი. ყოველი მეხუთე მიგრანტი, სავარაუდოდ, მაღალი ანაზღაურების სამუშაოს შოვნის შემდეგ დაბრუნდება. ასევე დიდია საქართველოში ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მნიშვნელობა. შედარებით დიდი შემოსავლის მქონე მიგრანტები ცდილობენ, უცხოეთში დააგროვონ იმდენი თანხა, რომ დაბრუნების შემდგომ შეძლონ საქართველოში საკუთარი ბიზნესის განვითარება. ამიტომ მათი სამშობლოში დაბრუნების პირობაა ამისათვის თანხის დაგროვება. ამ მხრივ უფრო მეტად აშშ და საბერძნეთისკენ მიმართული შრომითი მიგრაცია გამოირჩევა, სადაც შემოსავალსა და ადგილობრივ დანახარჯებს შორის სხვაობა შედარებით დიდია.

საბოლოოდ, ჩვენი გამოკვლევებისას დაბრუნებული ემიგრანტების სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაბრუნების უმთავრესი პირობები ეკონომიკური ხასიათისაა. მისი პოტენციული საქართველოში ეკონომიკის დაბალი დონის გამო ჯერჯერობით სუსტია. შრომითი მიგრაცია მყარია და ახლო მომავალში მისი ინტენსიურობის კლების მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

ამრიგად, როგორც ფაქტობრივი, ისევე პოტენციური შრომითი მიგრაცია საქართველოდან ძირითადად იძულებითი ხასიათისაა და ეს იძულება დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ პირობებთან, დასაქმების პრობლემებთან და ცხოვრების დონის გაუარესებასთან. სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია,

მოსახლეობის დიდ ნაწილს განაწილებს ქვეყნიდან დროებით წასვლაზე, მაგრამ ასეთი ვითარების ხანგრძლივად შენარჩუნების პირობებში სულ უფრო გაიზრდება საქართველოდან სამუდამოდ წასვლის მსურველთა რიცხვი.

ამასთან, მათი უმრავლესობისათვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ შეიცვლება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება, განვითარების დაჩქარება და სწორი სოციალური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაცია გადაუდებელი ამოცანებია. ამის პარალელურად საჭიროა განისაზღვროს საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც უნდა ემყარებოდეს ქვეყნის განვითარებისა და მისი მოსახლეობის შრომითი პოტენციალის უკეთ გამოყენების მოთხოვნებს. სტრატეგიული ამოცანების გათვალისწინებით დროულად უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამები.

წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოდან არალეგალური შრომითი მიგრაციის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება და იგი სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის არა მარტო მიგრანტების თავისუფლებას, არამედ ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებს.

შრომითი მიგრაციისას ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალური მომენტი ოჯახთან და ახლობლებთან დაშორებაა. ჩვენ ამაზე მიუვითითეთ, როცა შრომით მიგრანტთა უცხო გარემოში ადაპტაციას ვეხებოდით. ვინც ქართულ ტრადიციულ ოჯახურ ყოფას იცნობს, მისთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რამდენად ძნელად გადასატანია ოჯახიდან ქალის ხანგრძლივად სხვაგან ყოფნა, როგორც მისთვის ასევე ოჯახის სხვა წევრებისათვისაც. ამას, ნაწილობრივ ამსუბუქებს ბოლო ხანს კავშირგაბმულობის სწრაფი განვითარება და საერთაშორისო სატელეფონო კავშირების მოწესრიგება. თუმცა, ოჯახების ფაქტობრივად იძულებითი ტერიტორიული გაყოფა ხშირად ტრაგიკულად აღიქმება. ეს დაფიქსირდა ემიგრაციიდან დაბრუნებულ ქალებთან კონტაქტების დროს.

სამწუხაროდ, შრომითი მიგრაციის ქვეყნებთან მიმოსვლა არც ისე იაფია, რომ შრომითი მიგრანტის მიმოსვლის სიხშირე მაღალი იყოს. მითუმეტეს, რომ შრომითი მიგრაცია არალეგალური ხასიათისაა და საზღვრის გადაკვეთა (ვიზის აღება, სამგზავრო ბილეთის ყიდვა და ა.შ.) ყოველთვის ხელშემშლელ ფაქტორებთანაა

დაკავშირებული. ამიტომ საშოვარზე წასული ქალების ორი მესამედი თავის სამშობლოში ვერ ჩამოდის რეგულარულად იმის გამო, რომ დიდია მგზავრობის ხარჯი და უფრო მეტად იმიტომაც, რომ მიგრაციის არალეგალური ხასიათის გამო მეტად მცირეა ალბათობა საზღვარგარეთ ხელმეორედ მოხვედრისა. საქართველოს მიგრანტთათვის შრომითი მიგრაციის ოთხი მთავარი ქვეყნიდან ყველაზე შეფერხებულია მიმოსვლა აშშ-სთან. აღმოჩნდა, რომ გერმანიაში მომუშავეთა ნაწილი ერთწლიანი პროგრამით (სავარაუდოდ სასწავლო პროგრამით) იყო წასული. ამიტომაც გერმანიასთან მიმოსვლა უფრო რეგულარული ჩანს.

ხშირ ჩამოსვლას ყველაზე მეტად მაინც რუსეთში მყოფი მიგრანტი ქალები ახერხებდნენ, მაგრამ სავიზო პოლიტიკის შემოღებამ რუსეთის მხრიდან და პოლიტიკური ვითარების გამწვავებამ გარკვეულწილად შეაფერხა ჩამოსვლის პროცესი.

მამაკაცებთან შედარებით ქალებს უფრო უჭირთ სამშობლოსა და ნათესავებთან დაშორება. უმეტეს შემთხვევაში შრომითი მიგრაციის დროს ხდება ოჯახის ფაქტობრივად გაყოფა, ხშირია შემთხვევა, როცა მიგრანტი ქალები სხვის შეიღებს ზრდიან, თავიანთი კი აქ ჰყავთ ახლო ნათესავების მზრუნველობის ქვეშ. ქალებს მამაკაცებთან შედარებით უფრო ხშირი კავშირი აქვთ აქ დარჩენილ ოჯახის წევრებთან.

ამრიგად, შრომითი მიგრაციის არალეგალური ხასიათი, და მგზავრობის მაღალი ხარჯები მნიშვნელოვნად აფერხებს საზღვარგარეთ მყოფთა კავშირებს საკუთარ ოჯახებთან.

2.2.8. ქალთა ემიგრაციის რისკ-ფაქტორები

ქალთა უკანონო მიგრაცია მრავალი რისკის შემცველია. დაბრუნებულ ემიგრანტებთან პირად საუბრებში გამოიკვეთა, რომ მათ კარგად ესმოდათ, თუ რა დიდი საშიშროების წინაშე აყენებდნენ საკუთარ თავს, როცა ისინი არალეგალურად და ზოგჯერ „ბედის ანაბარად“ მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ. რადგან არავინაა დაცული ტრეფიკინგისგან, ზოგჯერ უცხო ქვეყანაში ახლობლის ან მეგობრის ყოლის შემთხვევაშიც კი. უცნაური ის არის, რომ ტრეფიკინგის მახეში უმეტესად ებმებიან დიასახლისები, უმუშევრად დარჩენილები, ახალგაზრდა ქალები. მათ იციან, რომ არალეგალური მიგრანტი – ტრეფიკინგის პოტენციური

მსხვერპლია, მაგრამ სჯერათ, რომ მათ ვერაგინ მოატყუებს. „სინამდვილეში, ყოველი მსხვერპლი – მღუპარე, უფლებაწართმეული მოწმეა, ხოლო არცერთი სახელმწიფო დაზღვეული არ არის ამ პრობლემისგან. პირიქით, კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, ვითარდება ტრეფიკინგიც, იზრდება მისი მასშტაბები, სისასტიკე და მოთხოვნილებები” (მამიაშვილი 2005:1).

საქართველო უკანონო მიგრანტების არა მარტო სატრანზიტო, არამედ მიმღები და გამგზავნი ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მიღებულია შესაბამისი კანონმდებლობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ, მაინც არ არსებობს რეალობასთან მიახლოებული ინფორმაცია, ჩვენი ქვეყნის რამდენი მოქალაქეა ამერიკის, ევროპისა და აზიის სახელმწიფოებში მონურ მდგომარეობაში. შესაბამისად, არ არსებობს პერსპექტივა და იმედი, რომ შეიქმნება სამუშაო ადგილები და გაუმჯობესდება ეკონომიკური მდგომარეობა. არადა, თუნდაც ჩვენი სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ქართველი ქალების 84% გამოთქვამს სურვილს, სამუშაოდ წავიდეს უცხოეთში. მიზეზი-გაჭირვებაა, მიზანი კი-ფული გამოგზავნონ ოჯახისა და შვილების გამოსაკვებად.

ტრეფიკინგი გლობალური პრობლემა და ტრანსნაციონალური დანაშაულია. მარტივად – ეს არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, რეალურად – ადამიანისთვის ყველა უფლების ჩამორთმევა.

ტრეფიკინგთან ბრძოლა არაეფექტურია, რადგან მასზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: სიღარიბე და უკეთესი ცხოვრების სურვილი, ტრეფიკინგის შედეგების იგნორირება, საზოგადოებრივი ფასეულობების დევალვაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, იაფი მუშახელის მოთხოვნა, დიდი მოგება დაბალი რისკი.

თავად ტრეფიკინგის ფესვები კაცობრიობის წარსულიდან მოდის. ისტორიულად, საქართველო იყო ისლამური სახელმწიფოების "მკვებავი" მონებითა და იაფი მუშახელით. თანამედროვე მონათმოვაჭრე ქვეყნები სამ კატეგორიად იყოფა:

1. გამგზავნი, ანუ ღარიბი, განვითარებადი ქვეყნები (აზია, აფრიკა, ლათინური ამერიკა, აღმოსავლეთ ევროპა, პოსტსაბჭოური სივრცე);
2. მიმღები, ანუ ეკონომიკურად ძლიერი, განვითარებული ქვეყნები (აშშ, იაპონია, დასავლეთ ევროპა);
3. სატრანზიტო ქვეყნები, ანუ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელთა გავლით ხორციელდება უკანონო მიგრაცია.

საქართველო სამივე კატეგორიის ქვეყანაა. გაეროს კონვენციის "ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ შეფასების ხელსაწყო" 2003 წლის ანგარიშის თანახმად, საბერძნეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და თურქეთი ის ქვეყნებია, სადაც ხდება საქართველოდან ხალხის ტრეფიკირება. ადამიანები ტურისტული ფირმების საშუალებით ეძებენ საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობას, არღვევენ სავიზო რეჟიმს და იღებენ ყალბ დოკუმენტებს სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელთა დახმარებით.

საქართველო ასევე არის ტრანზიტული ქვეყანა რუსეთიდან და უკრაინიდან ტრეფიკირებული ხალხისთვის, რომლებიც სამხრეთ ოსეთის გავლით ხდებიან თურქეთში. აგრეთვე, ტრეფიკერები სომხეთიდან საქართველოს გავლით მიდიან თურქეთში. საქართველოში, როგორც მიმღებ ქვეყანაში, უკვე ფეხი მოიკიდა ტრეფიკინგმა არალეგალური პროსტიტუციის სახით. (მამიაშვილი 2005:2).

საქართველოში ტრეფიკინგისთვის ყველა წინაპირობა არსებობს. ეს არის, პირველ რიგში, მოსახლეობის მასობრივი გაღარიბება და ამ საფუძველზე გაჩენილი ეკონომიკური მიგრაცია. ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებულები, სოციალურად დაუცველი, სიღატაკის უკიდურეს ზღვარზე და ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები, რომელთა შორისაც უმრავლესობა ქალია.

ქალი ყველაზე ხშირად ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი. გაეროს 1980 წლის ანგარიშის მიხედვით, ქალები წარმოადგენენ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარს, მაგრამ ასრულებენ მთელი სამუშაოს ორ მესამედს, ხოლო ღებულობენ მსოფლიო შემოსავლის მეთედს და ფლობენ მსოფლიო ქონების ერთ მესამედს. (მამიაშვილი 2005:3).

ქალთა ტრეფიკინგი გულისხმობს მუშაობის ნებისმიერ ტიპს, რაც აქცევს ქალებს საკუთრების ობიექტად, დაქორწინებისა და სექს-ტურიზმის ჩათვლით. ასეთი განმარტება მოიცავს მიგრანტ ქალთა ყოველნაირ ექსპლუატაციას და არა მხოლოდ ექსპლუატაციას პროსტიტუციის გზით.

ქალთა ექსპლუატაცია დაუშრეტელი სექსუალური ფანტაზიების დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს ყველას, ვისაც საამისო მატერიალური საშუალება აქვს. კომერციული სექს-ინდუსტრია მომხმარებელს შეუზღუდავად სთავაზობს სხვადასხვა ასაკის, გარეგნობის, ეროვნების ქალებს. ექსპერტები ქალის სექსუალურ ობიექტად გადაქცევის ძირითად მიზეზად მიიჩნევენ უძველეს

სტერეოტიპს, რომლის თანახმად, ქალის სხეული მამაკაცის საკუთრებაა და აღიარებული. ფსიქოლოგები იმასაც ამბობენ, რომ ამ ტენდენციას თავად ქალიც უწყობს ხელს. გარდა ამისა, ქალი – დღეს ოჯახის მარჩენალია და მას დედის როლიც ავალდებულებს, იზრუნოს და ყველა გზა მოსინჯოს შვილების რჩენისთვის. ღარიბი ქვეყნების შემთხვევაში, "ყველა გზა" სწორედ საზღვარგარეთ მიდის. ამიტომაც, საქართველოს ტოვებს ყველა, ვისაც აქვს ფინანსური შესაძლებლობა. თურქეთსა და საბერძნეთში არალეგალური გამგზავრება (გარანტირებული სამსახურით) საშუალოდ, 2000–2500 აშშ დოლარი ჯდება, ისრაელში – 5000 ათასი აშშ დოლარი, აშშ-ში – 10 ათასი დოლარი და ა.შ. შესაბამისად, ყოველთვიური ანაზღაურება საშუალოდ 200–800 აშშ დოლარია (თურქეთი, საბერძნეთი) ან უფრო მეტი – 1000–2000 აშშ დოლარი (აშშ, ისრაელი). ყოველთვიურად ოჯახებისთვის გამოგზავნილი თანხები 1000 დან 500 ევროს ფარგლებში მერყეობს. მაგრამ ეს ფული მოპოვებულია არალეგალურად, უკანონოდ, 18–20 საათიანი შრომითი გრაფიკით, შერყეული ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური სტრესის ფასად.

ჩვენთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ ვერ დადგენდით დაბრუნებულ ემიგრანტებიდან იყო თუ არა რომელიმე ე.წ. სექს-მომსახურების სექტორში დასაქმებული, რადგან ამის თაობაზე რესპონდენტები არაფერს გაამხელდნენ საზოგადოებრივი აზრისათვის პროსტიტუციის მიუღებლობის გამო. თუმცა სხვა გამოკვლევებით ნათლად ჩანს, რომ ქართველი ქალი ხშირად ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი და მისდაუნებურად ებმება სექს-ბიზნესშიც. ამას ხელს უწყობს საქართველოდან დასავლეთის ქვეყნებში შრომითი მიგრაციის ქვეყანაში უმთავრესად არალეგალურად მუშაობა. ამიტომაცაა, რომ მიგრანტ ქალთა უმეტესობა რაც წავიდა, აღარ ჩამოსულა, რადგან ჩამოსვლის ხარჯი დიდია და ასევე მიგრაციის არალეგალურობის გამო, ჩამოსვლის შემთხვევაში უკან გაბრუნება გაუჭირდება.

საქართველოდან მიგრირებულ ქალთა უმრავლესობას შეადგენენ ახალგაზრდა, გაუთხოვარი ან ქმარს გაცილებული ქალები, რომელთაც არა აქვთ საზღვარგარეთ ცხოვრების გამოცდილება, არ იციან უცხო ენა. სქემა მარტივია: ისინი მიდიან დამლაგებლებად, ძიძვებად, მოდელებად, მომვლევად, შინამოსამსახურებად, მზარეულებად. ძალიან ხშირად, მათ ართმევენ პასპორტს, მოტყუებით მიჰყავთ ბორდლებსა და ბარებში, ფიზიკური ზეწოლის, შანტაჟითა და ნარკოტიკების

ზემოქმედებით, აიძულებენ იმუშაონ მეძავეებად. ამგვარი მდგომარეობიდან ქალთა განთავისუფლების შემთხვევები ძალიან მცირეა, ხოლო მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის არ არსებობს ყველაზე მთავარი – საზოგადოების მხარდაჭერა და თანადგომა. ამასთან, როგორც ცნობილია, ჩვენი სახელმწიფო ვერ ახერხებს თავისი მოქალაქეების დაცვას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოდან საზღვარგარეთ წამსვლელთა 90% შრომისუნარიანია, მათ შორის, ეთნიკურ ქართველთა წილი 57%-ია, მიგრირებულთა 53,2% უმაღლესი განათლებისაა (ძირითადი პროფესიები – ინჟინერი, პედაგოგი, ეკონომისტი, კომერსანტი, ხელოსანი). ამათგან, 22%-ს აქვს გარანტირებული ან წინასწარ შერჩეული სამსახური, 8% კი მიდის სამუშაოს შოვნის იმედად. მიგრირებულთა შორის სჭარბობენ ქორწინებაში მყოფი პირები (70, 4%).

ცნობილია, რომ ტრეფიკინგი განიხილება, როგორც საზოგადოებრივი, სოციალური პრობლემა, მაგრამ მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზი სიღარიბე და უმუშევრობაა, ანუ მთავარი რისკ-ფაქტორი ქვეყნის არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობაა. ჩ. ჯაში ტრეფიკინგს "სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას" უწოდებს. მისი ინფორმაციით, შრომითი მიგრაციისას ყოველი მეორე – ქალია. ქალები ტოვებენ თავიანთ შვილებს სხვების მოსაგვლედად, მიდიან უცხოეთში და ზრდიან სხვის შვილებს. ჯაშის აზრით, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმებით, ტრეფიკინგის ამოსავალი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაა. ადამიანს არა აქვს სამუშაოს შოვნის პერსპექტივა. ასეთი ადამიანი კი უუფლებოა. არ არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომელიც იტყვის, რომ სურს იყოს ძალადობის ობიექტი. საზღვარგარეთ ყველა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილით მიდის. მაგრამ მიდიან ისეთებიც, ვისაც გამომუშავებული არა აქვს სამუშაო უნარ-ჩვევები, არ აქვს გამოცდილება. ასეთები, ბუნებრივია, უფრო იოლად თანხმდებიან ნებისმიერ სამუშაოს.

საქართველოში შრომითი ბაზარი ისეა გააჯერებული, რომ ქალები დაკავებულნი არიან ყველაზე ნაკლებად მომგებიან სექტორებში – ეს არის ჯანდაცვა, მომსახურების სფერო, განათლება. მათი შემოსავლები იმდენად დაბალია, რომ იძულებულნი არიან, დამატებით, მეორადი საქმიანობით ირჩინონ თავი. მათ, ფაქტიურად, ოჯახისთვის დრო ნაკლებად რჩებათ. საქართველო ლეგალური და

არალეგალური შრომითი მიგრაციის შედეგად კარგავს ძალიან ბევრს. პირველ რიგში, გაედინება ჯანსაღი სამუშაო ძალა, ახალგაზრდობა. ქვეყანაში რჩებიან ხანდაზმულები. მეორეც, შრომითი მიგრაცია გავლენას ახდენს ქვეყნის გენერაციულ ფუნქციაზე.

სინამდვილეში, ის სამუშაო, რასაც იაფი მუშახელი, ანუ არალეგალური ემიგრანტები ასრულებენ, რა თქმა უნდა, გაცილებით ძვირია. დასავლეთ ევროპის მოქალაქე არ შეასრულებს იმ სამუშაოს იმ ანაზღაურებით, რასაც იაფ მუშა-ხელს სთავაზობენ. მაგალითად, გერმანიაში ენის კურსებზე სასწავლებლად იწვევენ 18-დან 27 წლამდე ასაკის გოგონებს, მათ სწავლასთან ერთად სთავაზობენ სამსახურს ოჯახებში, ძიებად, თვეში 350 მარკის სახელფასო ანაზღაურებით. რა თქმა უნდა, გერმანელი ძიძის დაქირავება უფრო ძვირია – ის ამ სამუშაოსთვის, დაახლოებით, 10-ჯერ მეტს მოითხოვს. ამდენად, იაფი მუშა-ხელზე მოთხოვნა ყოველთვის დიდია.

შამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს არა მარტო ზუსტი, არამედ მიახლოებითი სტატისტიკა, არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის შემთხვევათა შესახებ.

2.2.9. შიდა მიგრაციის მიზეზები და მოტივები

მართალია, ჩვენ უმთავრეს მიზანს გარემომგარაციული პროცესების კვლევა წარმოადგენდა, თუმცა გამოკვლევის პროცესში გამოიკვეთა ის ძირითადი თავისებურებანი, რომლითაც ხასითდება ქალთა შიდამიგრაციული პროცესები.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით კახეთის მხარეში მიგრირებულთა რიცხოვნობამ 105,9 ათასი კაცი შეადგინა, რაც მხარის მოსახლეობის 24%-ია. მათგან მხარის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადაადგილდა 35,3 ათასი კაცი ანუ 33%, დანარჩენი გავიდა ქვეყნის რეგიონებში. სტატისტიკით, კახეთის მხარიდან მოსახლეობის შიდა მიგრაციულ მოძრაობაში გამოიკვეთა ორი რეგიონი: ქ თბილისი და ქვემო ქართლი. კახეთის მხარიდან გასულია და ამჟამად ამ რეგიონებში ცხოვრობს შესაბამისად 48,6 და 16,0 ათასი კაცი, ანუ სულ გასულთა 45,9% და 15,1%. ხოლო ჩამოსულებიდან ქ. თბილისზე მოდის 27,9%, ქვემო ქართლზე – 6,4%. წასულთა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება ჩამოსულებს, რაც საბოლოოდ განაპირობებს უარყოფით მიგრაციულ

საღლოს. ქვეყნის დანარჩენ რეგიონებთან კი, კახეთის მხარეს დადებითი საღლო აქვს შენარჩუნებული. სულ შიდა მიგრაციით კახეთს აღნიშნულ პერიოდში 29,670 ათასი კაცი დააკლდა.

რეგიონში უმუშევრად დარჩენილი ქალთა ნაწილისთვის, რომელთაც არა აქვთ ისეთი ფინანსური საშუალებები, რომ შრომით ემიგრაციაში საზღვარგარეთ წავიდნენ, ერთადერთი გამოსავლად ქვეყნის დიდ ქალაქებში შრომითი მიგრაცია. მიგრაციის პირველი ცდა ბინებრივია, საქართველოს დიდ ქალაქში ხორციელდება. იქ შეიძლება მართლაც დასაქმების მეტი საშუალებაა, ვიდრე ვთქვათ კახეთის რომელიმე პატარა ქალაქში, მაგრამ ნაკლებკვალიფიციური შრომის ბაზარზე ყველა ნიშა უკვე დაკავებულია ადგილობრივი მუშა-ხელით, ან აფხაზეთიდან დევნილებით. მაგალითად, წვრილი საცალო ვაჭრობა მთელ რიგ ბაზრობაზე, მეტადრე თბილისში, ამ უკანასკნელთა მიერაა მონოპოლიზებული. მათ კი, თუნდაც არასაკმარისი ეფექტიანობითა და თანმიმდევრულობით, მაგრამ მაინც უწევს მფარველობას სახელმწიფო (გაჩეჩილაძე 1997:52).

მიგრანტ ქალებს თბილისშიც უჭირთ დასაქმების მონახვა, რჩება საზღვარგარეთ შრომითი ემიგრაციის შანსი, რომელიც დიდ რისკთანაა დაკავშირებული და ამავე დროს ბევრისთვის ფინანსურად შეუძლებელიცაა. მდგომარეობის ნორმალიზაციის შემდეგ, რაშიც უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ეკონომიკის გაძლიერება, შიდა მიგრაციული სურათი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ თბილისი მაინც შეინარჩუნებს მიგრანტების მთავარ მიმზიდველ როლს.

ჩვენს მიერ კახეთის მხარის მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციულ პროცესების კვლევისას გამოიკვეთა, რომ ქვეყნის შიგნით მიგრაციისას ქალები უპირატესობას დედაქალაქს ანიჭებენ 74,6%. სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის გადაადგილებას, რაც გამოიხატა კახეთის მხარიდან თბილისში ქალთა მიგრაციის ინტენსივობით ხშირად მთელი ოჯახების ფორმით, იწვევს სოფლად არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები: დასაქმების შეუძლებლობა, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, ცხოვრების დონის მკვეთრი სხვაობა ქალაქთან შეადარებით და ა.შ. ამ საკითხების გადაჭრა, მატერიალური და კულტურული დონის გათანაბრება სოფელსა და ქალაქს შორის, შეამცირებს ქალაქად მიგრაციას და ხელს შეუწყობს სოფელში მოსახლეობის დაბრუნებას.

შიდა მიგრაციის სურვილის შემთხვევაში ქალების უმრავლესობას—43,3% იმ ქალაქში/სოფელში ჰყავს ნათესავი ან მეგობარი—12,9%, ან ოჯახის წევრი—12,4%.

ნათელია, რომ შიდა მიგრაციული პროცესები და განწყობები ძირითადად ნათესაური ქსელებით იკვებება.

შიდა მიგრაციის სამიზნე ქალაქში/სოფელში სახლის, ნაკვეთის, სამსახურის ქონის ან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შენარჩუნების შანსების შეფასებაში რესპონდენტთა უმრავლესობა—50-56% ფიქრობს, რომ ქვეყნის შიგნით მიგრაციის შემთხვევაში მას სახლი და ნაკვეთი არ ექნება, ხოლო მათი 44,3% ფიქრობს, რომ სამსახური ექნება.

ქალების 23,4% რეალურად მიიხნევს შიდა მიგრაციის შემთხვევაში მათთვის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შიდა მიგრაციული პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალას (ისევე როგორც გარე მიგრაციის შემთხვევაში) დასაქმება და ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა წარმოადგენს და არა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

2.2.10. მიგრანტ ქალთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასება

საერთაშორისო მიგრანტების საერთო რიცხვში ქალების ხვედრითი წილი თანდათან იზრდება თუ 1960 წელს ის შეადგენდა 47%, 2005 წლისთვის გაიზარდა 50%-მდე. ქალი მიგრანტების რიცხი სწრაფად იზრდება საქართველოდანაც, რაც უმთავრესად გამოწვეულია ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით. ჩვენი გამოკვლევი შედეგებმაც გვიჩვენა რომ ქალების უმთავრესი ნაკადი სწორედ ამ მიზეზით ტოვებს საქართველოს. მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქალების გარე მიგრაციული განწყობები კორელაციაში არ არის მათ ფსიქო-ემოციური მდგომარეობასთან.

ცხოვრებისეული სიძნელეების მიუხედავად ქალების 31,3% ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია მათი გადალახვა. 28,7% კი თვლის, რომ ამგვარი მდგომარეობის მოთმენა უკვე შეუძლებელია. ხოლო 3% მიაჩნია, რომ ყველაფერი კარგად მიდის. აქედან გამომდინარე ქალების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა უფრო პესიმისტურია, ვიდრე ოპტიმისტური. მათი გარე მიგრაციული განწყობა კი არ შეესაბამება მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. უცხოეთში წასვლის სურვილი პესიმისტებსა და ოპტიმისტებში თანაბრად ძლიერია.

რაც შეეხება ქვეყნის შიგნით მიგრაციის სურვილის კორელაციას მათ

სამომავლო განწყობებთან, ქვეყნის შიგნით მიგრაციის მსურველ ქალთა 81,7% ქვეყნის მომავალს იმედინად უყურებს. მათგან, ვინც ქვეყნის შიგნით მიგრაციას არ გეგმავს, ქვეყნის მომავალს იმედინად უყურებს 42,4%, ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით, ქალების მხოლოდ 3-5%-ია პესიმისტურად განწყობილი. ოპტიმისტურად განწყობილ ქალთა შორის 89%-ს მაინც ქვეყნის გარეთ წასვლის სურვილი აქვს. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ სამომავლო ოპტიმიზმი ქალებში უკავშირდება არა მათ პირად კეთილდღეობას არამედ უფრო იდეოლოგიურ-პოლიტიკურ შეხედულებებს, ვიდრე რეალურ ყოფას.

როგორც ვთქვით, მიგრაციის მთავარი მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობაა. ქალთა უმრავლესობა მათთვის მნიშვნელოვან პირველ და მეორე რიგის პრობლემებად ფინანსურ გაჭირვებასა (35,7%) და უმუშევრობას (20,1%) ასახელებს. სხვა ტიპის სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული საკითხები მათთვის ნაკლებად აქტუალურია.

მეორე რიგის პრობლემებშიც ქალები ყველაზე ხშირად ფინანსურ გაჭირვებასა და უმუშევრობას ასახელებენ. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქალებისათვის ოჯახი და ოჯახის წევრების მატერიალური უზრუნველყოფა ყველაზე აქტუალურია.

საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივასთან დაკავშირებული იმედები ყველაზე მეტად ემიგრაციაში წასვლას უკავშირდება (35,8%). დანარჩენი ფაქტორები კი შემდეგნაირად ნაწილდება:

(ცხრილი 21)

საკუთარი უნარ-შესაძლებლობები და შრომა	33,9%
ეკლესიის, ღვთის შეწევნა	26,7%
ოჯახის წევრების/ნათესაების დახმარება	23,4%
საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობა	11,3%

მონაცემები ნათელყოფს, რომ ქალებისათვის საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა უფრო საკუთარ უნარებს, ოჯახის წევრებისა და ნათესაების თანადგომას უკავშირდება, ვიდრე გარე ფაქტორებს. ეკლესიის, ღვთის შეწევნისადმი მაღალი ნდობა ზოგადად ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოებრივ განწყობას უფრო ასახავს, ვიდრე რეალური დახმარების მოლოდინებს.

III შრომით მიგრანტთა დემოგრაფიული სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები კახეთის რეგიონში

3.1 ზოგადი დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში

დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაცია ხასიათდება ისეთივე თავისებურებით, რომლითაც მეტ-ნაკლებად ხასიათდება პოსტკომუნისტური აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები. ამჟამად საქართველოში შრომითი მიგრაცია მიმდინარეობს ინტენსიური დეპოპულაციის, მოსახლეობის მუდმივი მიგრაციული კლებისა და შობადობის კრიტიკულ დონემდე ვარდნის ფონზე. როგორც სტაციონარული, ისე შრომითი მიგრაციის გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე უკიდურესად უარყოფითია. ამის ძირითადი მიზეზებია:

- ა) სახეზე მყოფი მოსახლეობის პირდაპირი კლება;
- ბ) მიგრანტთა კვლავწარმოებითი, გენერაციული ფუნქციის პრაქტიკულად შეწყვეტა;
- გ) სტრუქტურულ-დემოგრაფიული ფაქტორების უარყოფითი გავლენა შრომით მიგრანტთა უკეთესი დემოსტრუქტურის გამო;
- დ) დროებითი შრომითი მიგრაციის მუდმივში გადაზრდის მაღალი ალბათობა და ნაწილობრივ გადასვლა.

საქართველოს მოსახლეობის კლების პრობლემა იმიტომაცაა საგანგაშო, რომ ის მიმდინარეობს მოსახლეობისათვის რთულად აღსაქმელ გარემოში: ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონისა და უცხოეთში სამუშაოდ მასობრივი მიგრაციის დროს მოსახლეობის „ნაკლებობა“ საქართველოში ეკონომიკური (მუშახელის) თვალსაზრისით არ იგრძნობა. საქართველოში მოსახლეობის კლება ეხება ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ თითქმის ყველა ხალხს, მაგრამ ყველაზე მეტად-ქართველებს. ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, დემოგრაფიული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მთელ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდისაკენ, თუმცა მთავარი ორიენტირი უნდა იქნეს აღებული ქართველებზე, რადგანაც ფიზიკური გადარჩენის პრობლემა რეალურად სწორედ მათ უდგათ. როდესაც ქვეყანაში მოსახლეობის დიდი დანაკარგია (მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს), განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს დემოგრაფიული პოლიტიკა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართულ სახელმწიფოში რამდენჯერმე იყო

მცდელობა დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უშედეგოდ, არადა, სხვადასხვა ფაქტორის გამო, სწორედ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაუარესდა კატასტროფულად საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა. თანამედროვე გამოწვევების ფონზე, როდესაც ქართულმა საზოგადოებრიობამ ახალ საბაზრო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში ბოლომდე ვერ შეიძინა გადარჩენა-გამრავლების იმუნიტეტი, ახალი რეალობისათვის დამახასიათებელი „დემოგრაფიული ქცევა“, აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშაოს სწორი ხედვა საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებასა და მისი ზრდის სახელმწიფო მხარდაჭერაზე.

საკითხის უშუალოდ განხილვამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგადად საქართველოში გარე მიგრაციული პროცესები წარმოვადგინოთ მიგრაციული გადასვლის კონცეფციის კონტექსტში.

ქართულ დემოგრაფიულ ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორთან ვხვდებით დემოგრაფიული გადასვლის თეორიასთან დაკავშირებულ საკითხებს. მისგან განსხვავებით სპეციალურ ლიტერატურაში ნაკლებად განიხილება და შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს გარე მიგრაციის წარმოდგენა მიგრაციული გადასვლის კონცეფციის მიხედვით.

მიგრაციული გადასვლის კონცეფციის თანახმად, მიგრაციული პროცესების განვითარება გადის რიგ ფაზას, სტადიას, რომელიც დაახლოებით შეესაბამება დემოგრაფიული გადასვლის ფაზებს. მიგრაციული გადასვლის კონცეფცია, დემოგრაფიული გადასვლის საფუძველზე, 1971 წელს შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი მეცნიერის ვ. ზელინსკის მიერ.* შემდგომში ის სხვა მეცნიერებმაც განავითარეს და სადღეისოდ მოცემულმა კონცეფციამ ფართო გამოყენება ჰპოვა.

მიგრაციული გადასვლის კონცეფციაში, დემოგრაფიული გადასვლის მიმდინარეობასთან ერთად, ყურადღება ეთმობა ეკონომიკურ განვითარებას, მოდერნიზაციას და ამ უკანასკნელთან კავშირში განიხილება.

ქვეყანაში, რომელიც დემოგრაფიული გადასვლის პირველ ფაზაში იმყოფება, მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატება. ამასთან დაბალია ეკონომიკური განვითარების დონე. ასეთი მდგომარეობა იწვევს მოსახლეობის ემიგრაციას–მუდმივ საცხოვრებლად, „ტვინთა გადინებას, შრომით მიგრაციას, – ეკონომიკურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში. მიგრაციის დონე ძალიან მაღალია, ხოლო იმიგრაციას პრაქტიკულად არა აქვს ადგილი (ეპლიარდი 1992:15-26)

დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზაში მყოფი ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატება თანდათან ნელდება. მავე დროს უცხოური ინვესტიციები, დახმარებები და საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები რამდენადმე ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამას ემატება უცხოური კვალიფიციური სპეციალისტების ჩამოსვლა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. მთლიანობაში, პირველ ფაზასთან შედარებით კლებულობს ემიგრაცია და იწყება იმიგრაციის პროცესი, რომელიც თანდათან იკრებს ძალას. (წულაძე... 1998:55-59)

დემოგრაფიული გადასვლის მესამე ფაზაში მყოფი ქვეყნის მოსახლეობის შობადობის დონე დაბალია, იზრდება მოკვდავობა, ბუნებრივი მატება შემცირებულია, მიმდინარეობს დემოგრაფიული დაბერება. ეკონომიკური მდგომარეობა წინა ფაზასთან შედარებით უკეთესი უნდა იყოს. მიგრაციის დონე კიდევ უფრო კლებულობს, ხოლო იმიგრაციის-მატულობს და მესამე ფაზის ბოლოსთვის აჭარბებს ემიგრაციას. ამასთან, შეიძლება დაიწყოს იმ ყოფილ მოქალაქეთა დაბრუნების პროცესი, რომლებიც ქვეყნიდან პირველი ფაზის დროს წავიდნენ, „ტვინთა გადინების” სახით (წულაძე... 1997:55-56).

დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზის დროს მოკვდავობა იზრდება და აღწევს შობადობის დონეს. მის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა წყდება (ბუნებრივი მატების სახით). ამ დროისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური განვითარება და შესაბამისად მაღალი შემოსავლების დონე. ეს კი იწვევს იმიგრაციის შემდგომ ზრდას (გამსაკუთრებით კვალიფიციური სამუშაო ძალის), ხოლო ემიგრაცია ძალიან დაბალ დონეზე დადის. (წულაძე... 1998:55-56)

აღნიშნული კონცეპტუალური სქემა ზოგადი ხასიათისაა. ქვეყნის ადგილობრივი სპეციფიკა განსაზღვრავს გარკვეულწილად მისგან განსხვავებულ მიგრაციული პროცესების რეალურ მიმდინარეობას.

საქართველო სწორედ ისეთი ქვეყანაა, რომელიც მოყვანილ სქემაში არა მარტო საერთოდ ვერ თავსდება, არამედ რომელშიც გარე მიგრაციული პროცესები მის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, დემოგრაფიული გადასვლის I ფაზა საქართველოში XIX საუკუნეში იწყება და XX საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდება. II ფაზა 20-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება და 1960-იან წლებამდე გრძელდება; III ფაზა—1960-იანი წლების შუა ხანამდე გრძელდება, IV

ფაზა-1990-იანი წლების შუა პერიოდიდან იღებს დასაწყისს (მელაძე... 1997:7-9, 78-81)

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას თავი რომ დავანებოთ, ისედაც ნათელია, რომ დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარება აშკარა წინააღმდეგობაში მოდის. კერძოდ, დემოგრაფიული გადასვლის თვალსაზრისით (IV ფაზა), საქართველო ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნის დონეზე იმყოფება, ხოლო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათ.

დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით საქართველო სადღეისოდ IV ფაზაში იმყოფება, ხოლო მიგრაციული გადასვლიდან გამომდინარე I ფაზის ბოლოსა და II ფაზის დასაწყისში. ამრიგად, საქართველოში დემოგრაფიული გადასვლა და გარე მიგრაციული პროცესები ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმდინარეობს.

ერთი შეხედვით საქართველოს დემოგრაფიული საფრთხე 1990-იანი წლებში შექმნილი კრიტიკული დემოგრაფიული ვითარებიდან იწყება, მაგრამ თუ ამ მოვლენების განვითარების ანალიზს თუნდაც ოთხი ათეული წლის მანძილზე განვიხილავთ, საკითხი სხვაგვარად წარმოგვიდგება. მართალია, თვით ტერმინი „დემოგრაფიული უსაფრთხოება“ კვლევის პროცესში ქართველ დემოგრაფთა მიერ ნაკლებად გამოიყენებოდა, მაგრამ მათი მეცნიერული გამოკვლევების შინაარსი მეტ-ნაკლებად მიუთითებდა აღნიშნულ საკითხზე.

წარსულში ემიგრაცია საქართველოდან ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ზოგჯერ იძულებითს. მავე დროს XIX საუკუნის განმავლობაში, საქართველოში იწყება ათეულ ათასობით არაქართველი მოსახლეობის ჩამოსახლება, რაც რუსეთის იმპერიის, რომელშიც მაშინ საქართველო შედიოდა, ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ეს კი იწვევდა მაშინდელი საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისა და გარე მიგრაციული პროცესების ურთიერთწინააღმდეგობას.

1914-1921 წლებში მიმდინარე ემიგრაციული პროცესი საქართველოში უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და ქართველების წილი მასში დიდი არ იყო. 1920-იანი წლების ბოლოდან ჯერ ინდუსტრიალიზაციასთან, ხოლო 1930-იანი წლების დასაწყისში რუსეთში შიმშილობასთან დაკავშირებით, საქართველოში ასეულობით ათასი ადამიანი ჩამოსახლდა. ყოველივე ეს დემოგრაფიული გადასვლის მეორე

ფაზის დროს ხდება, როდესაც ბუნებრივი მატება საკმაოდ მაღალია. წესით, ასეთ დროს ემიგრაცია უნდა ჭარბობდეს იმიგრაციას. მოცემულ შემთხვევაშიც საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული გადასვლა და მიგრაციული გადასვლა წინააღმდეგობრივად ვითარდება.

1950-იან წლებში საქართველოში იმიგრაცია კლებულობს, ხოლო 1957 წლიდან უკვე ემიგრაცია ჭარბობს იმიგრაციას. როგორც მოცემულ პერიოდში, ისე შდემდგომში საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული გადასვლისა და მიგრაციული გადასვლის პროცესები ისევ წინააღმდეგობრივად ვითარდება.

1990-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, მოჰყვა ემიგრაციის აქამდე არნახული ნაკადები. ასეთი ვითარება ისევ ეწინააღმდეგება დემოგრაფიული გადასვლის მოცემულ ფაზას საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიული გადასვლისა და მიგრაციული გადასვლიდან გამომდინარე პროცესები არა მარტო ერთმანეთთან ზოგად კავშირში იმყოფება, არამედ ერთმანეთ ავსებს კიდევ. მაღალ ბუნებრივ მატებას ემიგრაცია შეესაბამება, ხოლო დაბალი ბუნებრივი მატება იმიგრაციით კომპენსირდება.

საქართველოს შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზთა გამო დემოგრაფიული და მიგრაციული გადასვლის მიმდინარეობა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. ყოველივე ეს კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უარყოფითად აისახება საქართველოს მოსახლეობაზე, როგორც ერთიან სისტემაზე, იწვევდა და იწვევს რა მისი დემოგრაფიული სისტემის დეფორმაციას. (წულაძე... 1997:57-58)

საქართველო ამჟამად პრაქტიკულად ვერ ატარებს დემოგრაფიულ პოლიტიკას. უარყოფითი დემოგრაფიული ფონი წარმოშობს არარაციონალურ მიგრაციულ მობილურობას, თავის მხრივ, შრომითი მიგრაცია კიდევ უფრო აუარესებს ისედაც კრიტიკულ დემოგრაფიულ ვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომით მიგრანტთა ნაკადში ყოველი მესამე მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. სავსებით ბუნებრივია, რომ შრომით მიგრანტთა დიდი ნაწილი დაოჯახებულია.

შრომით მიგრანტთა ასაკობრივი სტრუქტურის განხილვისას უნდა გამოვეყნოთ მათი ასაკობრივი განაწილების შედარებითი სითანაბრე, რაც, საზოგადოდ, ტერიტორიულ მობილობაში შედარებით იშვიათია. ჩვეულებრივ, მაღალი მობილობის ხარისხით გამოირჩევა ახალგაზრდობა, მაგრამ საქართველოში

შექმნილი არაორდინარული ვითარების გამო ასაკობრივი სელექცია შრომით მიგრანტთა ნაკადში არ იკვეთება.

აღსანიშნავია, რომ ქართველები, ბევრ სხვა ერისგან განსხვავებით, გამოირჩეოდნენ საკუთარ ქვეყანაში კომპაქტური ცხოვრებით. 1989 წლის აღწერით საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ქართველთა 95,1% საკუთარ სამშობლოში ცხოვრობდა. 1990-იანი წლებში ვითარება შეიცვალა. ქართველთა გარე მიგრაციის მაღალი უარყოფითი საღდო, ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისით ერთობ აქტუალური გახდა და იგი რამდენიმე მიმართულებით შეიძლება იქნეს განხილული.

გლობალიზაციის პროცესებში მცირერიცხოვანი ერის სახელმწიფოებზე ძლიერი საერთაშორისო ეკონომიკური კორპორაციების გავლენა მეტად ძლიერდება. ამ უკანასკნელთა ძირითადი ინტერესი კი, ასეთი სახელმწიფოებისაგან იაფი შრომითი რესურსების და ზემოების მიღებაა. მათთვის სულერთია სახელმწიფოში ავტოქტონური მოსახლეობის დემოგრაფიული ბედი.

მეორე მხრივ საქართველოს ჩართვა გლობალიზაციის პროცესში, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, გარდაუვალია, რაც დემოგრაფიული თვალსაზრისით საკმაოდ არასახარბიელო პერსპექტივას გვიქადის. ერთი ვარიანტით, მიგრაციის კანონზომიერების შესაბამისად, გასული მოსახლეობის ადგილს შემოსული იკავებს, უწინარესად მეზობელი ქვეყნიდან. თუ მრავალეროვნულ სახელმწიფოში ავტოქტონური მოსახლეობის ბუნებრივი მატება სხვა ეროვნებებთან შედარებით დაბალია, ხოლო ემიგრაცია მაღალი, მათი წილი მთელ მოსახლეობაში მოიკლებს და, საბოლოოდ, შესაძლოა, უმცირესობაშიც კი დარჩეს.

„საქართველოში არსებული ეკონომიკური დეპრესია, დეპოპულაცია, ემიგრაციის მაღალი დონე, ცალკეული რელიგიური სექტების მომრავლება მიგვანიშნებს სხვადასხვა რასის, ერისა და რელიგიის ასიმილირებული „ეგზოტიკური მოსახლეობის“ წარმოქმნის საფრთხეზე.“ (სულაბერიძე 2005:16)

კომუნისტური სისტემის დაშლამ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, 1990-იან წლებში თვისობრივად ახალი სახის ემიგრანტები წარმოშვა. ადრინდელისაგან განსხვავებით „ახალ ემიგრანტთა“ დიდ ნაწილს უმაღლესი განათლება აქვს, ზოგიერთ მათგანს სამეცნიერო ხარისხიც კი გააჩნია: ესენი არიან სპეციფიკური მიგრანტები, რომელთა „ტვინი“, როგორც თავის

ქვეყანაში, ისე უცხოეთში ნაკლებად სჭირდებათ, ამიტომ არასპეციალობით, შემთხვევით სამუშაოს ჯერდებიან და მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ახერხებს პროფესიით დასაქმებას.

ორივე შემთხვევაში ხდება „ტვინების“ გადინება, რასაც ემიგრაციის წყაროს ქვეყნებისთვის არა მხოლოდ დროებითი, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მრავალმხრივი უარყოფითი შედეგი მოაქვს.

ინტენსიური ემიგრაციისა და დეპოპულაციის პირობებში საქართველოში დემოგრაფიული პერსპექტივა სანუგეშოდ არ გამოიყურება და დღის წესრიგში, სხვა პრობლემათა გვერდით, დემოგრაფიული უსაფრთხოებაც დგას. დემოგრაფიულ საფრთხეს გარკვეულწილად აძლიერებს მეზობელი სახელმწიფოების მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი (აზერბაიჯანი, თურქეთი და სხვა).

ქართველ მოსახლეობაში შობადობის სისტემური შემცირების შედეგად ქართველების წილი მნიშვნელოვნად მცირდება სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში. თუ ისტორიულად სამხრეთ და საერთოდ კავკასიაში ქართველები რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი იყო სხვა მკვიდრ ერებთან შედარებით, შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.

მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით ქართველებს სომხები აღემატებოდნენ 107 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელები—2394 ათასი კაცით. მოსახლეობის ბოლო აღწერის მონაცემებით სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანელები ქართველებს უკვე 3751 ათასი კაცით ჭარბობენ, ამასთან აზერბაიჯანში 1989-1999 წლებში აზერბაიჯანელები 1400 ათასი კაცით გაიზარდა (ლორთქიფანიძე 2007:161).

თუ 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში მთელი მოსახლეობის 45,5%-ს შეადგენდა, აზერბაიჯანისა—39,5%, ხოლო სომხეთი—15,0%. 2005 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა-სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა და იგი 28,1% გახდა. აზერბაიჯანის მოსახლეობამ შეადგინა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი—52,0%, ამადღა სომხეთის მოსახლეობის წილიც—20,0%-მდე (ლორთქიფანიძე 2007:161).

„ქვეყანაში მკვიდრი მოსახლეობის პერმანენტულ შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ძნელდება მათი რეალიზაცია, სახელმწიფო ენას უაღრესად უჭირს

თავისი ფუნქციის შესრულება, ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიცია, წეს-ჩვეულებები კარგავენ ადრინდელ მნიშვნელობას. ასეთ ვითარებაში გარდაუვალია ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი ერის გენოფონდის ცვლილება. მოსახლეობის რაოდენობის შემცირება განსაუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან იგი ისეთ ინიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ინტერესთა გადაკვეთის წერტილები სამაოდ ბევრია და ამდენად საკუთარი ინტერესების დაცვა გაძნელებულია” (ლორთქიფანიძე 2007:161).

ჩვენი საზოგადოებისათვის უდიდეს ფასეულობას ეთნიკური ფესვები წარმოადგენს. „აქ სხვა ხალხების წარმომადგენელთა რიცხოვრივი გადამეტება ავტოქტონურ მოსახლეობაზე შესაბამისი ეთნოსის ისტორიული არენიდან გაქრობას ნიშნავს” (სულაბერიძე 2005:16).

მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება საქართველოში არასასურველი დემოგრაფიული ტენდენციების განვითარების განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად იქცა. XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შექმნილ დემოგრაფიულ სიტუაციას სპეციალისტები ასეთ შეფასებას აძლევენ: „დემოგრაფიული კრიზისი”. ასეთი შეფასების ობიექტურობას მოწმობს ძირითად დემოგრაფიულ მაჩვენებელთა ცვლილების ანალიზი. სავსებით ბუნებრივია, რომ სრული უფლება გვაქვს, ვილაპარაკოთ საკუთარ ქვეყანაში საკუთარი ერის დემოგრაფიულ უსაფრთხოებაზე. მით უფრო, როცა საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1960-1990 წლებში 1,46%-დან 0,15%-მდე დაეცა, ხოლო 1993 წლიდან მოსახლეობის აბსოლუტური შემცირება დაიწყო (1995 წელს მან 0,03% შეადგინა), რაშიც მნიშვნელოვანი წილი ემიგრაციამაც ითამაშა. (სულაბერიძე 2005:16-17).

საქართველოში 2000 წელს უკვე ოფიციალურად დაფიქსირდა მოსახლეობის ბუნებრივი დეპოპულაცია (მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით გარდაცვლილთა რიცხვმა 0,2-ით გადააჭარბა დაბადებულთა რაოდენობას).

ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის სხვა პროგრამებთან ერთად აუცილებელია უსაფრთხო დემოგრაფიული განვითარების პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია.

მოსახლეობის გარე მიგრაციის სიდიდის გათვალისწინებით უკვე საკმაო ხანია მიმდინარეობს მისი რიცხოვნობის აბსოლუტური კლება – 1990-2000 წლებში იგი ერთი მილიონით შემცირდა და 2001 წლის დასაწყისისთვის 4452,1 ათასი კაცი

შეადგინა.

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობისა და მასში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით (იზრდება მოკვდავობის კოეფიციენტები მოსახლეობის დაბალ ასაკობრივ ჯგუფებშიც, სავარაუდოდ შენარჩუნებული იქნება გარე მიგრაციის უარყოფითი სადღო, ხოლო შრომით მიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც ცნობილია, შრომისუნარიანი ასაკისაა.) უკვე უახლოეს მომავალში (2010 წლიდან) მოსალოდნელია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის აბსოლუტური კლება და საპენსიო ასაკის მოსახლეობის წილის მკვეთრი გადიდება. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება მოსახლეობის ეკონომიკური დატვირთვა (განსაკუთრებით დასაქმების სფეროში არსებული ვითარების შენარჩუნების პირობებში) და დემოგრაფიული დატვირთვაც (ძირითადად მაღალი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის წილის ზრდის ხარჯზე), რაც კიდევ უფრო გააუარესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით საქართველო მაღალგანვითარებული ქვეყნების, ხოლო ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით – დაბალგანვითარებული ქვეყნების რიგში დგას. მოსახლეობის, პირველ რიგში ქალების დემოგრაფიული განწყობის კვლევებით დგინდება, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს შობადობის გაზრდის რეზერვი შეილების სასურველ და რეალურ რაოდენობას შორის სხვაობის სახით, დაახლოებით 1,2 ბავშვი, მაგრამ ამ რეზერვის რეალობად ქცევის ფაქტორი ძირითადად ეკონომიკური ბუნებისაა (მატერიალური გაჭირვება, მძიმე საბინაო პირობები, მომავლისადმი რწმენის უქონლობა და ა.შ.) და ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების დაძლევისთან არის დაკავშირებული.

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი ქვეყნიდან მოსახლეობის მიგრაციის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორად იქცა. ემიგრაციის ფაქტობრივი ხასიათი და მასშტაბები ნეგატიურ გავლენას ახდენს საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებაზე. ეს კი მომავალში კიდევ უფრო გაართულებს ქვეყნის კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანას. (საქართველოს... 2002:39)

საქართველოში გენდერულმა ასპექტმა შრომითი მიგრაციის ხასიათი შეცვალა. საშოვარზე წასვლა გახდა არა მარტო მამაკაცების, არამედ ქალების ფუნქციაც. 1990-იან წლებამდე საქართველოში საზოგადოებრივი აზრისათვის სრულიად

მიუღებელი იყო ქალთა შრომითი მიგრაცია. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა, რათა გამოსავალი ქვეყნის გარეთ დასაქმებაში ეძებნა.

მეორე მხრივ, შრომის საერთაშორისო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ქალთა სამუშაო ძალის გარკვეულ კატეგორიაზე (მოახლეები, ძიძები, მომსახურების სფერო), რამაც ხელი შეუწყო ჩვენში უკიდურესად გაიაფებული მდედრობითი სქესის სამუშაო ძალის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლას. არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ მსოფლიოში იცვლება შეხედულება მიგრაციაში ქალის როლის შესახებ. მიგრაციის ფემინიზაციას მიიჩნევენ შრომითი მიგრაციის განვითარების ახალ ეტაპად და დიდ პროგრესად თვლიან გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე. მაგრამ ფაქტი, რომ ქალს მამაკაცის თანასწორად შეუძლია გაიზიაროს საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული დისკრიმინაცია, წააწყდეს განვითარებული ტრეფიკინგის უამრავ მანკიერ მხარეს, სრულიად ჩრდილავს მის უფლებრივ წარმატებებს. ეს, მითუმეტეს, საქართველოდან სამუშაოდ წასულებზე ითქმის, რომელთა უდიდესი მასის ყოფითი სამყარო, ტრადიციები, ოჯახისადმი დამოკიდებულება, გენდერული მოვალეობანი დაუპირისპირდა ამ თვალსაზრისით კონტრასტულ გარემოს. მათთვის უცნობი შრომის ბაზრის სეგმენტის–სექს-მომსახურებაში ჩაბმით საუკუნეობრივად ფორმირებული მაღალი ფასეულობანი, რომელიც ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის გენერაციული ფუნქციის განხორციელების ფორმას უკავშირდება, არაბუნებრივად სწრაფად დაანგრია. ქართველი ქალის გასვლა საერთაშორისო შრომის ბაზარზე შიმშილის იძულებათა და წინააღმდეგობაშია ქალის მთავარ გენერაციულ ფუნქციასთან, ახალი თაობის აღზრდასა და კვლავწარმოებასთან. შესაბამისად, როდესაც ვაფასებთ შრომითი მიგრაციის ფემინიზაციას, დადებითი, ქალის ემანსიპაციის კუთხით, მისი მეორე, უარყოფითი მხარეც არ უნდა დაგვავიწყდეს.

გაეროს შეფასებით, არსებული დემოგრაფიული ტენდენციები თუ კიდევ გაგრძელდა, 2000-2050 წლებისთვის საქართველოს მოსახლეობა 2 მლნ-ით შემცირდება და იგი დემოგრაფიულად „მომაკვდავ ქვეყანად გადაიქცევა“, რაც ამჟამინდელი მოსახლეობის თითქმის 40%-ს შეადგენს. ასეთ ვითარებაში ქალთა ინტენსიური შრომითი მიგრაცია ჩვენი ქვეყნიდან სხვა კუთხით დაინახება და სხვაგვარადაც ფასდება, ვიდრე, ვთქვათ, დემოგრაფიულად სწრაფად მზარდი ფილიპინებიდან, სადაც მოსახლეობის მატებით გამოწვეული უმუშევრობა მეტად

მაღალია (შრომითი... 2003:40).

ჩვენ საკვლევე არეალში, საბჭოთა პერიოდში არ შეინიშნებოდა ქართველ ქალთა შრომითი მიგრაციული აქტიურობა. ვფიქრობთ, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ახალ პირობებს აქ ჩამოუყალიბებელი ფორმების გარეშე დახვდნენ, და ქალთა მიგრაციის ინტენსიური მატება ერგვარად არაბუნებრივი ნახტომის სახით გამოვლინდა.

შრომითი მიგრაციის მიზეზთა განხილვისას აღინიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის საზღვარგარეთ საშოვარზე ყოფნის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური ხასიათისაა და უმეტესად აქ დარჩენილი ოჯახის საარსებო უზრუნველყოფას ემსახურება. სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების დეტალური ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში შექმნილი უკიდურესად მძიმე ეკონომიკური ვითარება—როცა ოფიციალური სტატისტიკითა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს დაბლა ცხოვრობ, ძალზე მაღალია უმუშევრობის დონე, გართულებულია სპეციალობით სამუშაოს შოვნა—აშკარად ხელს უწყობს საკმაოდ მასშტაბურ გარე მიგრაციულ პროცესებს. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით კიდევ უფრო საგანგაშოა, რომ პოტენციურ მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდაა, რომლებიც ყველაზე აქტიურ, შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში იმყოფება. ფაქტიურად საქართველოდან გაედინება ფერტილური ასაკის ქალთა დიდი ნაწილი.

როგორც უკვე ვთქვით, კახეთის რეგიონის დასახლებები უმეტესად სოფლური ტიპისაა. ამიტომ საინტერესოა რა ნიშნებით ხასიათდება დღევანდელი სოფლელი ქალის სოციალურ-დემოგრაფიული პროტრეტი და განსხვავდება თუ არა ის ქალაქში მაცხოვრებელი ქალის სახისგან.

საქართველოში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური პრობლემაა ქალის გენერაციული და შრომითი ფუნქციების შეთავსება. პოსტსაბჭოთა საქართველოში თითქოს მიაღწიეს ქალთა შრომითი ფუნქციის მაქსიმალურ რეალიზაციას. მაგრამ ეს მოხდა სოციალურად მოუმზადებელ გარემოში, რამაც ქალის გენერაციული ფუნქციის დეგრადაცია გამოიწვია. შობადობა შემცირდა გაცილებით ადრე და მეტად ვიდრე მას ეკონომიკური განვითარების დონე კარნახობდა.

XX საუკუნის ბოლოს ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა მოღენებმა,

საყოველთაო კრიზისმა ხელშეწყობა დააჩქარა ე. წ. „დემოგრაფიული გადასვლის“ დამთავრების პროცესი. თავისი დემოგრაფიული განვითარებით საქართველო ევროპასთან ახლომდგომი ქვეყანაა, ხოლო ეკონომიკური განვითარებით ჩამორჩენილ ქვეყანათა შორისაა. (ტუხაშვილი 1998:4) ეს პარადოქსული მოვლენაა. დემოგრაფიულ კრიზისს, რომელიც შიგარეგონული თვალსაზრისით უთანაბროდ ვითარდება, აქვს მრავალმხრივი თავისებურებანი, რომელთა შორის თავისი გამოვლენის სპეციფიკით დიდი ყურადღების ღირსია სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის პოპულაციის კანონზომიერებანი. ყოველივე ეს ქმნის საქართველოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, მათ შორის ქალი მოსახლეობის განსხვავებულ დემოგრაფიულ პორტრეტს.

საქართველოს სოფლელი ქალის დემოგრაფიული პორტრეტი მრავალი შტრიხით ხასიათდება რასაც ქმნის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და იერარქიული გარემო. ისე როგორც ქალაქად, სოფლადაც ქალები უმრავლესობას წარმოადგენენ, თუმცა ქვეყნის მოსახლეობაში მათი ხვედრითი წონა ურბანიზაციასა და სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მიგრაციის გამო სისტემატურად მცირდება. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის შედეგად მოიკლო სოფლელი ქალების რიცხვმაც.

უმთავრესი ნიშანი, რომელმაც კრიზისულ წლებში სოფლელი ქალის დემოგრაფიულ პორტრეტში აშკარა ცვლილებები შეიტანა, ესაა ქალის გენერაციული ფუნქციის რადიკალური შესუსტება, რაც შობადობის მკვეთრი დაქვეითებით გამოიხატა. თუ 1985 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში 18,7 პრომილე იყო, 1990 წელს-17,0; 1995 წლისთვის 11,9-მდე შემცირდა, ხოლო 1996 წლის მონაცემებით 12,0 შეადგინა. რაც შეეხება სოფლის ქალებს, აქ დაბადებულთა რიცხოვნობა კვლავაც მცირდება. 1994 წელს დაიბადა 24885 ბავშვი, 1995 წელს-23333, ხოლო 1996 წელს-22315 (ტუხაშვილი 1998:6).

1989 წელს საქართველოს მოსახლეობა 5,4 მილიონი კაცი იყო, ხოლო 2007 წლისათვის ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ 4,4 მილიონი (შეფასებითი მონაცემებით - კიდევ უფრო ნაკლები - 3,8 მილიონის ფარგლებში). აღნიშნულ პერიოდში გაუარესდა მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა. ძალიან მაღალ დონეს მიაღწია დემოგრაფიულმა დაბერებამ. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 2007 წლისათვის 15%-ის ფარგლებშია (დაბერებულად ითვლება მოსახლეობა, თუ 65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი აღემატება

7%-ს).

XX საუკუნის 90-ინი წლების საყოველთაო კრიზისს დემოგრაფიული კრიზისიც თან დაერთო, რამაც უკიდურესად დაქვეითა ცხოვრების დონე და შეამცირა დემოგრაფიული ზრდისთვის აუცილებელი რესურსები. როგორც ზოგიერთი გაანგარიშება გვიჩვენებს, თუ კი შობადობა ასეთი რეჟიმით შენარჩუნდება „ყოველი 100 ფერტილური ასაკის ქალი მომავალში იყოლებს 180 ბავშვს, რომელთაგან დედის ასაკს მიაღწევს მხოლოდ 82“ (ფირცხალავა 1996:262). ეს იმას ნიშნავს, რომ არა თუ დაჩქარდება დემოგრაფიული გადასვლის პროცესი, ვეღარ მოხდება თაობათა აღდგენა, რაც დეპოპულაციის დაწყების მომასწავებელია. ეს უკვე კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაციაა, რომელიც საჭიროებს სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკის გააქტიურებას.

როგორც საყოველთაოდ მიღებული შობადობის სპეციალური კოეფიციენტების სკალითაა განსაზღვრული, ყოველ 1000 ფერტილური ასაკის ქალზე 64-ზე ნაკლები დაბადება ითვლება „დაბალი“ დონის შობადობად, 64-100–შობადობის „საშუალო“ დონედ, 101-120– „საშუალოზე მაღალ“ დონედ (სტატისტიკა... 1990:132)

საქართველოს მხარეებიდან გარდა აჭარის მოსახლეობისა, ყველა მხარის და მათ შორის კახეთის მოსახლეობაში შობადობის დონე კლასიფიცირდება, როგორც „დაბალი“. შობადობის კოეფიციენტი კახეთში სოფლად მცხოვრებ ფერტილური ასაკის ყოველ 1000 ქალზე 1996 წელს იყო 39,6. საქართველოს სხვა მხარეების მონაცემებს თუ შევადარებთ, კახეთი ბოლოდან მეორე ადგილზეა, რაჭა-ლეჩხუმ-ქვ. სვანეთის (20,9) შემდეგ და მცირედ ჩამორჩება ქვემო ქართლს (39,7). შობადობის სპეციალური კოეფიციენტის მიერ შობადობის დონის ასახვაზე გარკვეულწილად ფერტილური ასაკის ქალთა შიგაასაკობრივი დეფორმაციაც მოქმედებს. მაგალითად, 20-34 წლის ქალთა ხვედრითი წონა მდედრობითი სქესის სოფლის მოსახლეობაში ქვემო ქართლში 26,3%-ია, აჭარაში-24,1%, მაშინ როცა კახეთში არ აღემატება 20,3%-ს (ტუხაშვილი 1998:10).

დემოგრაფიული განვითარების უახლესი ეტაპებისაგან განსხვავებით, ამჟამად მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. 2006 წლის მონაცემებით, საქართველოში დაბადებულ ბავშვთა 60,5 პროცენტი მოდის პირველ შვილზე, 28 პროცენტი მეორე შვილზე და მხოლოდ 11,5 პროცენტი მესამე და მომდევნო შვილებზე.

გაიზარდა მოკვდაობის დონე. გარდაცვლილთა რაოდენობა მოსახლეობის 1000

სულზე 10-12-ის ფარგლებშია. გაიზარდა ჩვილთა მოკვდაობაც. შეფასებითი მონაცემებით, 2006 წლისათვის ის 1000 ცოცხლად დაბადებულზე 25-ის ფარგლებში იმყოფებოდა. ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 3-4 პრომილეს არ აღემატება. (წულაზე... 2007:).

ამჟამად საქართველოს ყველა რეგიონი (გარდა აჭარის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთისა) განიცდის დემოგრაფიულ კრიზისს. ამ საკითხის ეროვნულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ საფიქრალს აჩენს, რამდენადაც ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ქართულ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. შობადობის შემცირებას, მოკვდაობის მატებისა და უარყოფით გარე მიგრაციას მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება.

განსხვავებულია დემოგრაფიული ქცევა სხვადასხვა განათლების დონის მქონე ქალებისათვის. ეს განსხვავება სოფლად მცხოვრებთა შორის უფრო დიდია, ვიდრე ქალაქად მცხოვრებთათვის. ძნელად ასახსნელია, მაგრამ ფაქტია, რომ თუ ქალაქად შობადობის კოეფიციენტი განათლების დონის მიხედვით მცირდება, სოფლად ყველაზე დაბალი კოეფიციენტი დამახასიათებელია არა უმაღლესი განათლების მქონე, არამედ საშუალო სპეციალური განათლების მქონე ქალებისათვის (ტუხაშვილი 1998:11). ვფიქრობთ, ეს ფაქტი სპეციალურ გამოკვლევას საჭიროებს.

აქ უმაღლესდამთავრებულ ქალებში ყოველი ფერტილური ასაკის 100 ქალზე აღირიცხება 71,1 დაბადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულთათვის 111,2 დაბადება (ხმალაძე 1994:310). რაც დრო გადის, სხვაობა შობადობის დონეში სხვადასხვა განათლების ჯგუფებს შორის ერთმანეთს უახლოვდება. თანდათან ყალიბდება ერთნაირი დემოგრაფიული ქცევა როგორც სოფლის და ქალაქის, ისე თვით სოფლის მოსახლეობაში. ვუახლოვდებით ე. წ. სტაციონარულ მოსახლეობას (ტუხაშვილი 1998:12).

მეორე მნიშვნელოვანი შტრიხი რომლითაც სოფლელი ქალის დემოგრაფიული პორტრეტი იკვეთება, მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებასთანაა დაკავშირებული. იგი გლობალური მოვლენაა და არის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის არსებითი ნიშანი. ამ დროს ხდება ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის განუწყვეტელი მომატება მთელ მოსახლეობაში. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება დამოგრაფიული გასვლის სიმწიფის მაჩვენებელია. მისი გამომწვევი მიზეზებია: შობადობის დონის შემცირება,

სიკვდილიანობის შემცირებით მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა და ე. წ. ღია მოსახლეობის შემთხვევაში-მოსახლეობის მიგრაცია. (ტუხაშვილი 1998:11-12)

მსოფლიოში აღიარებული დემოგრაფის ე. როსეტის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაბერებულ მოსახლეობას მიეკუთვნება, რადგან აღნიშნული დროიდან 60 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში 12 პროცენტზე მეტია. რაც შეეხება ქალებს, მათი დემოგრაფიული დაბერება უფრო მეტი ინტენსივობით მიმდინარეობდა განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთა შორის.

1993 წლის დამდგისათვის საქართველოს 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 15,8 პროცენტია, მათ შორის ქალაქად-14,1%, სოფლად-18,0%. ქალებში დაბერება უფრო მეტადაა გამოხატული (18,4%), ვიდრე მამაკაცებში (12,9%). რაც შეეხება სოფლელი ქალების დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელს, იგი 21 პროცენტს აღწევს. ამჟამად საქართველოს სოფლელ ქალთა დაბერების მაჩვენებელი (21%) ე. როსეტის კლასიფიკაციით გამოხატავს სიბერის „ძლიერ განვითარებულ დონეს. (ტუხაშვილი 1998: გვ.13)

საქართველოში, როგორც ისტორიულად, ისე ბოლო ხანებში სოფლის ოჯახი და სოციალურ-ყოფითი გარემო განსაზღვრავდა ქალის კვლავწარმოებით ქცევის უფრო ნორმალურ შედეგს.

კახეთში, ისე როგორც საქართველოს ყველა სხვა რეგიონში, მდედრობითი სქესის მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის დეფორმაცია, როგორც აღვნიშნეთ მოგრაციულმა პროცესებმა განაპირობა. თუ ადრე ქალთა მიგრაციის მთავარი მიმართულება სოფლიდან ქალაქად გადასახლება იყო, მაგალითად 1979-1992 წლებში ქალაქად მიმართულ მიგრაციაში ქალები შეადგენდნენ 54,6%, (ზუბიაშვილი 1993:14), ეკონომიკური კრიზისის წლებში ვითარება იცვლება. მიგრაციის შიგარესპუბლიკური ინტენსივობა საგრძნობლად შესუსტდა, ხოლო რესპუბლიკის გარეთ მიმართული მიგრაციის ინტენსივობა გაძლიერდა (ტუხაშვილი 1998:6-8)

თუ კრიზისამდე შრომით მიგრაციაში უპირატესად მამაკაცები მონაწილეობდნენ, კრიზისის წლებში ინტენსიურმა შრომითმა მიგრაციამ მოიცვა მთელი საქართველო. მათ შორის მნიშვნელოვანი წილი სოფლად მცხოვრებ

ქალებსაც უკავიათ. როგორც გამოკვლევებით დასტურდება, საქართველოს ფარგლებს გარეთ სამუშაოდ წასვლას მათ აიძულებთ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები. მათგან დიდი უმრავლესობა ოჯახიანია და შრომითი ემიგრაცია სწყვეტს ოჯახს. მიგრაცია კრიზისით გამოწვეული იძულებაა და უმთავრესად ცალკეული ოჯახების ფიზიკური გადარჩენისკენაა მიმართული.

მგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ქალთა (როგორც ქალაქად ასევე სოფლად მცხოვრებთა) მიგრაციული მობილობა საკმაოდ მაღალია. მიგრაციას აქვს მკვეთრად გამოსატული ცალმხრივი ხასიათი. ის იწვევს მდებარეობითი სქესის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციას, დემოგრაფიულ დაბერებას აჩქარებს, რის გამოც მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები უარესდება.

3.2 ქალთა ემიგრაცია და დემოგრაფიული უსაფრთხოება

გასული საუკუნის 90-იანი წლებში დაწყებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა გაამწვავა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები რამაც, როგორც წინა თავში უკვე ვთქვით, გაზარდა მიგრაციის ინტენსივობა, დააჩქარა საქართველოში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი. განსაკუთრებით მაღალია ქალთა დაბერების მაჩვენებელი. მათი ნახევარი 36 წელზე მეტი ხნისაა, როგორც მთლიანად, ისე სოფლად და ქალაქად. (შელია 1999:43). ეს მიუთითებს ქალთა ფერტილური კონტინენტის დაბერებაზე, რამაც თავის მხრივ, ზეგავლენა იქონია და მომავალშიც მძიმედ იმოქმედებს შობადობის ინტენსივობაზე.

გარე მიგრაციული პროცესების ინტენსიურობამ მნიშვნელოვნად შეცვალა „საქორწინო ბაზარი“, ქალებისა და მამაკაცების ქორწინების კლების შედეგად სულ უფრო იზრდება ქორწინებაში არასოდეს მყოფთა წილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზრდას აქონდა ადგილი 1990-იან წლებში. მიჩნეულია, რომ „საქორწინო ბაზარზე“ არსებული ვითარება ერთ-ერთ იმ ფუნქციათაგანს წარმოადგენს, რომელზედაც დამოკიდებულია ქორწინება (წულაძე... 2007:49)

„საქორწინო ბაზარი“ ტერმინია, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში ქორწინების უნარიანი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობათა თანაფარდობის აღსანიშნავად. ვითარება „საქორწინო ბაზარზე“ მნიშვნელოვნად

არის დამოკიდებული მოსახლეობს ასაკობრივ-სქესობრივ შემადგენლობაზე. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება გაუთხოვარი ქალების რაოდენობა საშუალოდ ერთ დაუქორწინებელ მამაკაცზე. ვინაიდან დაქორწინებისას მამაკაცების ასაკი საშუალოდ 4 წლით აღემატება ქალების ასაკს, ამიტომ „საქორწინო ბაზრის“ გასაანგარიშებლად გამოიყენება მამაკაცებისა და ქალების რაოდენობათა თანაფარდობა, რომელიც მოცემული დროისთვის არ იმყოფებიან ქორწინებაში და ამასთან მამაკაცების ასაკობრივი ჯგუფი მეტია ქალებისაზე ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალით. (ბექაია... 1998:52), (დემოგრაფიის... 2005:245-246).

1989 წელს საქართველოს „საქორწინო ბაზარი“ განიცდის შემდგომ ცვლილებებს, რაც იმით გამოიხატება, რომ გაუთხოვარი ქალების რაოდენობა ერთ უცოლო მამაკაცზე შემცირდა 35 წლამდე ასაკისათვის (აგრეთვე 45-49 წლის ასაკის მამაკაცებისათვის) იგივე დარჩა 35-39 წლის მამაკაცებისათვის და გაიზარდა 40-44 წლის მამაკაცებისათვის. (ბექაია...1998:54)

ინტენსიურმა გარე მიგრაციულმა პროცესებმა გავლენა იქონია 1990-იანი წლების საქართველოს „საქორწინო ბაზრის“ ფორმირებაზე. ბოლო დროს ჩატარებულმა გამოკვლევებმა ნათელყო, რომ გარე მიგრაციისას მამაკაცებში ქალებთან შედარებით ჭარბობს დაქორწინებულები, ხოლო ქალებში ქორწინებაში არმყოფები. ამასთან ქორწინებაში არმყოფების მეტი წილი 39 წლამდე ასაკის მიგრანტებზე მოდის, ხოლო დაქორწინებულების 40 წელზე უფროს მიგრანტებზე (მიგრაციის... 2001:16).

ერის დემოგრაფიულ სიტუაციას ამძიმებს ის გარემოება, რომ საზღვარგარეთ გაედინება სწორედ ფერტიური ასაკის ქალთა დიდი პროცენტი. (მათ შორის დაუოჯახებელი) მაღალი მიგრაციული აქტივობით გამოირჩევიან, როგორც ქალაქად ასევე სოფლად მცხოვრები ქალები. ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტების 79,1%-ს სოფლად მოსახლე ქალები შეადგენდნენ, ხოლო 20,9%-ს ქალაქად მაცხოვრებლები. გამოკითხულთა შორის პროცენტულად მეტია ფერტილური ასაკის ქალი.

(ცხრილი 22)

რესპონდენტების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქალაქად და სოფლად:

ასაკობრივი ჯგუფი	ქალაქი	სოფელი	სულ
18-34	43,71	43,62	43,64
35-54	48,50	48,35	48,38
55-60	7,78	8,03	7,98

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა პოტენციური ემიგრანტია. ხანგრძლივ მიგრაციაში წასვლის განწყობა რესპონდენტებს უფრო აქვთ ქვეყნის გარეთ (27,4%), ვიდრე ქვეყნის შიგნით, ამიტომ ქვეყნის შიგნით მიგრაცია არ სურს 74,9%-ს, ხოლო ქვეყნის გარეთ მიგრაციას არ ისურვებდა მათი 15,2%. ხანმოკლე მიგრაციაც უფრო ქვეყნის გარეთ სურთ (44%), ვიდრე ქვეყნის შიგნით (10,2%).

საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასული ქალები ხშირად ქმნიან ოჯახებს და სამუდამოდ მკვიდრდებიან უცხო ქვეყანაში.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ დაოჯახებულ ქალთა უკან დაბრუნების პოტენციული გაცილებით მაღალია, რაც შეეხება დაუქორწინებელ შრომით მიგრანტებს, აქ ქალთა უცხოეთში დარჩენის ალბათობა, რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, მეტია.

ჩვენს მიერ გამოკითხული პოტენციური ემიგრანტი ქალებიდან უცხოეთში შექმნის სურვილი გამოთქვა 16,3%-მა. 19%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო 55%-ს ამის სურვილი არა აქვს. საინტერესოა ამ პასუხების კორელაცია ქალების ქორწინების სტატუსთან. ოჯახური მდგომარეობის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობა დაოჯახებულია. ქალთა ოჯახური მდგომარეობისა და გარე მიგრაციის სურვილს შორის კორელაციამ ასეთი სურათი მოგვცა.

(ცხრილი 23)

პოტენციურ მიგრანტთა ოჯახური მდგომარეობა
(პროცენტობით ჯამთან)

ოჯახური მდგომარეობა	პროცენტული განაწილება
დაოჯახებული	52,4%
დაუოჯახებელი	29,9%
განქორწინებული	9,6%
ქვრივი	6,1%

უცხოეთში ოჯახის შექმნის სურვილის მქონე ქალთა 16,3%-ში გარკვეული რაოდენობა (25%) დაოჯახებული შეიძლება აღმოჩნდეს, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ დაოჯახებულ ქალთა ნაწილს სურს უცხოეთში სამუდამოდ დარჩენა. ეს პასუხი გავძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ მიგრაციულ განწყობას ქალებში განაპირობებს არა მხოლოდ ობიექტური პირობები (სიღარიბე, უმუშევრობა და ა. შ.) არამედ სუბიექტური ფაქტორებიც, ოჯახური კონფლიქტები, საოჯახო ცხოვრებით ან ურთიერთობებით (ცოლ-ქმარს, რძალ-დედამთილსა და სხვა) უკმაყოფილება.

სხვადასხვა გამოკვლევებში ექსპერტები ხშირად საუბრობენ ქალთა მიგრაციასთან დაკავშირებულ ისეთ პრობლემებზე, როგორცაა, ოჯახების დანგრევა. შედარებისათვის რუსეთში მიგრირებული მამაკაცების უმრავლესობა იჩენს ახალ ოჯახებს. საბერძნეთში, თურქეთში და ევროპულ ქვეყნებში მიგრანტი ქალების ნაწილი ქმნის ოჯახებს ამ ქვეყნებში და საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალები საგულდაგულოდ მაღავენ მიგრაციის სუბიექტურ მოტივებს და რომ ეს საკითხი სერიოზულ, სიდრმისეულ კვლევას საჭიროებს.

3.3. ქალთა მიგრაციის შეფასება საერთაშორისო შრომითი მიგრაციის თეორიების საფუძველზე

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია და მისი შესწავლა ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა, მაგრამ ბოლო ხანს მისადმი ინტერესი საგრძნობლად გაძლიერდა, მიზეზი კი მისი მასშტაბების ზრდაა. მიგრაციული პროცესები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს მრავალი ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკაში და გავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობებზე. ზოგადად საერთაშორისო შრომითი მიგრაცია კვლევისა და შესწავლის კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს და არა მარტო სოციოლოგების, არამედ დემოგრაფების, ეკონომისტებისა და კულტუროლოგების კვლევის საგანს წარმოადგენს.

მიგრაციული პროცესების შეფასებაში უნდა გამოვრიცხოთ ცალმხრივი, ზოგჯერ კი, მხოლოდ ემოციური მიდგომა. მიგრაციაში მხოლოდ უარყოფითი მხარეები არ უნდა დაინახოთ, უნდა გავითვალისწინოთ მისი როლი საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. ასეთ მიდგომას, რომელიც ხანდახან მხოლოდ ვიზუალურ ანალიზს ეყრდნობა, კეთილი სურვილების მიუხედავად, ზიანის მოტანაც შეუძლიათ. მოსახლეობის მიგრაცია რთული ფენომენია და სისტემურ, კომპლექსურ კვლევას მოითხოვს.

მიგრაციის მრავალ საკითხთა შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდ ინტერესს გარე მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები იწვევს. მისი ზემოქმედებით იცვლება რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა და დემოგრაფიული სტრუქტურა, შრომითი პოტენციალი.

როგორც უკვე ვთქვით, შრომით მიგრაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ემიგრანტების სამშობლოში მცირდება უმუშევრობის დონე, ხოლო მიმღებ ქვეყანაში ხდება მუშახელზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. მიგრანტები ფინანსურად ეხმარებიან მშობლიურ ქვეყანაში დარჩენილ ოჯახებს, დანაზოგ ფულს აბანდებენ ადგილობრივ წარმოებაში, რითაც ხელს უწყობენ ეკონომიკის განვითარებას. (შრომითი მიგრაცია...2003:62). ჩვენი აზრით, სხვა სახელმწიფოში გასული მუშახელი უფრო განვითარებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ადაპტირდება, ხოლო შემდგომ მათი ნაწილის სამშობლოში დაბრუნება საგრძნობ გავლენას მოახდენს თავის ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ პროცესებზე.

უარყოფთი მხარეები კი იმაში მდგომარეობს, რომ ემიგრაციის დროს ადგილი აქვს ე. წ. „ტვინების გადინების“ პროცესს, როდესაც ქვეყანას ტოვებენ ყველაზე მოტივირებული განათლებული, უმუშევარი, მაგრამ საქმეს მოწყურებული ადამიანები, რაც თავისთავად უარყოფთ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ წასული შრომითი ემიგრანტები, უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებენ თავისი განათლების შესაფერისი სამუშაოს პოვნას და იძულებულნი არიან არაკვალიფიციური შრომით დაკმაყოფილდნენ.

ასევე შრომით ემიგრაციაში წასული ემიგრანტები, რომელთა უმრავლესობა საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება, წლების მანძილზე ვერ ახერხებენ საქართველოში ჩამოსვლას და ოჯახის მონახულებას, ასეთი მდგომარეობა კი არასრულ ოჯახურ ცხოვრებას იწვევს, რაც ხშირად ოჯახების ნგრევით და ოჯახის წევრთა გაუცხოებით მთავრდება. ამასთან ერთად ქართველ ემიგრანტებს უჭირთ უცხო ქვეყანაში ადაპტაცია, რაც ხშირად იწვევს იმედგაცრუებას, სასოწარკვეთს, დეპრესიას, მაგრამ იძულებულნი არიან შეეგუონ სიძნელებებს, დარჩნენ იქ და იმუშაონ, რადგან სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, იმედი არა აქვთ, რომ სამსახურს იშოვიან და შეძლებენ ოჯახების რჩენას.

ემიგრაციის გაზრდის პროცესი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მუხრუჭს. ქვეყანა კარგავს კვალიფიციურ სამუშაო ძალას, იზრდება ინფლაცია, სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებიან იმპორტიორებზე დამოკიდებულნი და ა. შ. (დასავლეთი...1990:47)

ჩვენი კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ კახეთის რეგიონიდან ქალთა შრომითი ემიგრაციის ძირითადი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორია, რაც საარსებო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას გულისხმობს. კვლევის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან მიგნებებს გვთავაზობს მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ კახეთის რეგიონი სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული.

ახალი ეკონომიკური თეორია, რომელიც მიკრი დონის თეორიებს მიეკუთვნება, მიიჩნევს, რომ მიგრაცია არ არის განპირობებული მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური არჩევანით, რომელიც ეფუძნება მიგრაციის შედეგად მიღებული მოგების რაციონალურ გამოთვლებს, არამედ წარმოადგენს ოჯახურ სტრატეგიას. ქალი ერთპიროვნულად კი არ იღებს გადაწყვეტილებას ემიგრაციის შესახებ, არამედ ოჯახი ახდენს არსებული რესურსების

დივერსიფიკაციას, რათაც ამცირებს ის შესაძლო საფრთხეს, რომელიც მის კეთილდღეობას დაემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის შემოსავლები სხვადსხვა მიზეზის გამო შემცირდება. (მეისი...1993: 435).

ამრიგად, ახალი ეკონომიკური თეორიის მიხედვით გადაწყვეტი აქტორი ჩვენი კვლევებიდან გამომდინარე ქალი კი არა, არამედ მთელი ოჯახია, ხოლო ქალი ხდება ოჯახის „ნების“ შემსრულებელი, რადგან მისი ემიგრაციის მიზანს წარმოადგენს არა პირადი მოთხოვნილებების და სურვილების დაკმაყოფილება, არამედ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების, უპირველესად კი შვილების მატერიალური უზრუნველყოფა.

ოჯახის მიგრაციული სტრატეგია, რაც შემოსავლების დივერსიფიკაციას ისახავს მიზნად, გვეკვლინება კახეთის რეგიონის ოჯახების „გადარჩენის სტრატეგიად“. ესაა სოფლის მეურნეობებით დაკავებული შინამეურნეობების მცდელობა თავი დაიხდვიონ იმ შემთხვევაში, თუ ცუდი ბუნებრივი პირობების გამო ვერ შეძლებენ საკმარისი ოდენობის მოსავლის აღებას. შესაბამისად ახალი ეკონომიკური თეორიით უკეთ აიხსნება კახეთის რეგიონიდან, როგორც ტრადიციული აგრარული საზოგადოებებიდან, ქალთა მიგრაციის ინტენსიური ზრდა.

ამავდროულად, ასეთ ვითარებაში, როცა ქალის გადაწყვეტილება – დატოვოს ოჯახი და წავიდეს შრომით ემიგრაციაში, – ოჯახის გადარჩენის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიად იქცა, კახეთში ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება შეფარდებითი დებრივაციის ფაქტორი, რაც აიხსნება ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიით.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია საერთაშორისო შრომით ემიგრაციას განიხილავს როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე. მაკრო დონეზე ის ამახვილებს ყურადღებას ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებებზე მუშახელის მოწოდებასა და მუშახელის მოთხოვნას შორის. ამ თეორიის მიხედვით შრომითი ემიგრაციის გამომწვევი მიზეზი, როგორც წესი, ეკონომიკური განვითარების არათანაბარი დონე ხდება, რომელიც უბიძგებს ადამიანებს მიატოვონ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული სამშობლო და წავიდნენ საზღვარგარეთ, სადაც დასაქმების მეტი საშუალება არსებობს და შემოსავალიც მეტია.

პოტენციურ ემიგრანტებზე მოქმედებს საქართველოს, როგორც ეკონომიკურად განუვითარებელი ქვეყნის „განმზიდავი ფაქტორი“ (push factor), ასევე განვითარებულ

ქვეყანაში არსებული მუშახელის დეფიციტისა და შრომის შედარებით მაღალი ანაზღაურების „მიმზიდავი ფაქტორი“ (pull factor). მაგრამ ხშირად ქალთა ემიგრაცია გამოწვეულია არა უმუშევრობით, არამედ მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების სიმცირით. აქ ერთგვარ პარადოქსთანაც გვაქვს საქმე, რაც ჩვენი კვლევის შედეგებმაც ნათელყო. როდესაც მაღალანაზღაურებადი და მაღალკვალიფიციური სამსახურების არარსებობის გამო საზღვარგარეთ წასული ქალები, როგორც წესი დაბალანაზღაურებად და არაპრესტიჟულ ადგილებზე იწყებენ მუშაობას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნეოკლასიკური თეორიის თანახმად შრომითი ემიგრაცია დადებითი მოვლენაა, რადგან მისი საშუალებით ხდება მოჭარბებული მუშახელის ოდენობის შემცირება მუშახელის ექსპორტიორ ქვეყანაში (მეისი...1993: 433-434).

მიკროდონეზე ნეოკლასიკური თეორია თვლის, რომ გადაწყვეტილებას ემიგრაციის შესახებ იღებს ინდივიდი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ეს გადაწყვეტილება ეფუძნება რაციონალურ გამოთვლებს, რომელიც ითვალისწინებს მიგრაციასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს და იმ მოგებას, რომელსაც ემიგრანტი უცხო ქვეყანაში დასაქმების შედეგად მიიღებს. შესაბამისად, მიმღები ქვეყნის შერჩევაც რაციონალური გათვლების საფუძველზე ხდება და პოტენციური ემიგრანტი მხედველობაში იღებს იმას, თუ სად უფრო არის მოთხოვნა იმ უნარ-ჩვევებზე, რაც მას გააჩნია, სად არის დასაქმების უფრო დიდი ალბათობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არაღებულ ემიგრაციასთან გვაქვს საქმე, სად არის დეპორტაციის უფრო ნაკლები ალბათობა, ანდა ლეგალიზაციის მეტი ალბათობა.

ამ თეორიის მიხედვით პოტენციური ემიგრანტი მიემგზავრება იმ ქვეყანაში, სადაც ის ყველაზე მაღალ მოგებას მიიღებს (მეისი... 1993: 434-435).

თუ ნეოკლასიკურ თეორიას მივუსადაგებთ საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას, საქართველოდან და ჩვენ შემთხვევაში კახეთის რეგიონიდან ქალების გაცილებით დიდი ნაწილი უნდა წასულიყო ემიგრაციაში, ვიდრე ეს რეალურად მოხდა.

ცხადია, რომ მხოლოდ ეკონომიკური მიზეზები არ თამაშობს გამამწვევტ როლს ქალთა ემიგრაციის პროცესში, მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებიც. მაგალითად, ემიგრანტის პირადი თვისებები, მათ ხელთ არსებული მატერიალური და სოციალური რესურსები და სხვა.

მიგრანტი ქალების უმრავლესობას შეადგენენ ყველაზე მოტივირებული ადამიანები, რომლებსაც აქვთ სურვილი გაიუმჯობესონ საკუთარი პირობები. ხშირ შემთხვევაში მათ უფრო მაღალი განათლების დონე და განსაკუთრებული უნარ-ჩვევები აქვთ, ვიდრე მათ თანამოქალაქეებს, ვინც გაჭირვების მიუხედავად, სამშობლოში რჩება. როგორც წესი ყველაზე გაჭირვებული და ღარიბი ქალები იშვიათად მიდიან ემიგრაციაში, იმიტომ კი არა რომ არა აქვთ სურვილი გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები, არამედ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ საკმარისი მატერიალური საშუალებები, დააფინანსონ ძვირადღირებული მოგზაურობა და არც სოციალური კავშირები, რომლებიც დაეხმარებათ ემიგრაციაში. ამის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მიგრაცია ხასიათდება შერჩევითობით და ემიგრანტთა შორის შეფარდებითი დეპრივირებული პიროვნებები უფრო ხშირად გვევლინებიან ვიდრე აბსოლუტურ სიღარიბეში მყოფნი.

ამრიგად, ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიით შეგვიძლია ავხსნათ ის ვითარება, როცა ემიგრაციაში მიდიან უფრო უკეთესი ეკონომიკური პირობების მქონე ქალები, ვიდრე უღატაკესი მდგომარეობისანი, რადგან ისინი თავს გრძნობენ შეფარდებითად დეპრივირებულებად.

სეგმენტირებული შრომის ბაზრის თეორია გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომაა მოთხოვნა სხვადასხვა ტიპის მუშახელზე ამა თუ იმ ქვეყანაში და რატომ თანხმდებიან ემიგრანტი ქალები შეასრულონ საზღვარგარეთ ის სამუშაო, რომელზეც სამშობლოში უარს აცხადებენ.

სეგმენტირებული მუშახელის ბაზრის თეორია ჯონ სტიუარტ მილის და აშშ-ში XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ინსტიტუციონალისტ-ეკონომისტების მოსაზრებებს ეფუძნება და თავდაპირველად, შრომის ბაზარზე სხვადასხვა სოციალური კლასების მდგომარეობას ასახავდა. ამ თეორიის მისადაგება მიგრაციულ პროცესებთან და მიგრანტების როლთან მუშახელის ბაზარზე მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხდა. (პიორე 1979:).

მიმდებ ქვეყნებში ემიგრანტ ქალებთან ასოცირდება ის დაბალანაზღაურებადი სამუშაო, რის შესრულებაზეც ადგილობრივი მოსახლეობა ფაქტობრივად უარს აცხადებს. ამრიგად, სოციალური კლასის საფუძველზე აგებული სეგმენტიზაცია ორად ჰყოფს ქვეყნის ეროვნული მუშახელის ბაზარს და ამის გამო მიმდებ ქვეყნებში არსებობს მუდმივი მოთხოვნა იმიგრანტ მუშახელზე. მიგრანტების

მიმღებ ქვეყნებში ყოველთვის არსებობს სპეციფიკური ხასიათის მუშახელზე მოთხოვნა, ამიტომ ემიგრანტები თანახმა არიან შრომის ბაზარზე დაიკავონ ის ადგილები და იმ ფასად, რაზეც ადგილობრივი მოსახლეობა არ თანხმდება. (მეისი... 1993:441).

სეგმენტირებული შრომის ბაზრის მიხედვით, სტრუქტურული ინფლაციის გამო დამქირავებლები მიმღებ ქვეყანაში ნაცვლად იმისა, რომ გაზარდონ ხელფასები, რათა ადგილობრივი მოსახლეობა მიიზიდონ დაბალანაზღაურებადი და დაბალპრესტიჟული თანამდებობების დასაკავებლად, გამოსავალს უცხოური მუშახელის იმპორტში ხედავენ (მეისი 1993:441-442). ის, თუ რატომ თანხმდებიან იმიგრანტი ქალები ისეთი სამუშაოს შესრულებაზე, რაზეც ადგილობრივი მოსახლეობა უარს აცხადებს, მარტივი ასახსნელია. როგორც წესი, იმიგრანტი ქალები არ განიხილავენ თავს მიმღები ქვეყნების საზოგადოების წევრებად. ამით აიხსნება ის ფაქტი, თუ რატომ შეიძლება ემიგრანტმა ქალმა უარი თქვას რომელიმე სამუშაოს შესრულებაზე საკუთარ სამშობლოში და იგივე, ან შეიძლება უფრო მძიმე და ნაკლებად პრესტიჟული სამუშაოთი იყოს დაკავებული საზღვარგარეთ. უცხო ქვეყანაში იმიგრანტი ქალები კვლავ საკუთარი სამშობლოს საზოგადოების წევრად აღიქვამენ თავს და მათთვის უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ისინი საზღვარგარეთ მუშაობენ და ფინანსურად ეხმარებიან საკუთარ ოჯახებს.

სოციალური კაპიტალის თეორიის მიხედვით, გადაწყვეტილება ემიგრაციის შესახებ არ ხდება მხოლოდ რაციონალური გათვლების საფუძველზე, რომელსაც პოტენციური ემიგრანტი იღებს ოჯახის წევრების აზრის გათვალისწინების გარეშე. ამავე თეორიის მიხედვით ეჭვქვეშ დგება „განმზიდავი და მიმზიდავი ფაქტორების“ როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ემიგრაციის ნეოკლასიკური თეორიისგან განსხვავებით სოციალური კაპიტალის თეორიის მიხედვით, ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ სოციალური კავშირების ზემოქმედებით, რომელიც აკავშირებთ საზღვარგარეთ წასულ ემიგრანტებს და მათ სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს, ნათესავებს და მეგობრებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონში საკმაოდ კარგად განვითარებული მიგრაციული ქსელები.

ჩვენი გამოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კახეთის რეგიონიდან ქალთა მიგრაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემწყობი ფაქტორი მიგრაციული

ქსელების არსებობაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ემიგრაციის ყველა ფაქტორი განპირობებულია ემიგრაციული ქსელების არსებობით. თავდაპირველად ქალთა ემიგრაცია გამოწვეულია ეკონომიკური, ანდა სოციალური ფაქტორებით, მაგრამ სოციალური კაპიტალის თეორიის თანახმად, მიგრაციის თითოეული ფაქტი ხელს უწყობს მიგრაციული ქსელების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციური პროცესების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია წარმოების გლობალიზაცია, რაც შრომის გლობალიზაციას ნიშნავს. წარმოებისა და შრომის გლობალიზაციამ მასიური ხასიათი მისცა მოსახლეობის მიგრაციის უპრეცედენტო მასშტაბებს. მსოფლიო სისტემების თეორია საერთაშორისო მიგრაციის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს არა ინდივიდს, ან ოჯახს, არამედ მსოფლიოში არსებულ ეკონომიურ სისტემას. საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ჩართულია გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ პროცესებში, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში მიგრაციის მასშტაბურობა არის იმ მოვლენების ბინებრივი შედეგი, რომელიც თან სდევს კაპიტალისტურ განვითარებას.

მსოფლიონ სისტემების თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ, როდესაც ემიგრაცია ტრადიციული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან მიემართება მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებისკენ, ხოლო მიგრანტები იწყებენ სამშობლოში ფულადი დახმარების გაგზავნას, მიგრანტების სამშობლო უფრო მეტად ერთვება საბაზრო ურთიერთობებში, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მიგრაციის დონის ზრდას.

ის ფაქტი, რომ საერთაშორისო შრომითი მიგრაცია საქართველოდან დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიმართულებით არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, გარკვეულწილად აიხსნება მსოფლიო სისტემების თეორიით. მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვრები გაიხსნა და საქართველო ჩაერთო მსოფლიო ეკონომიკური ბაზრის სისტემაში, რაც მოხდა უცხოური კაპიტალის შემოსვლა, ქართული მუშახელი (ქალთა მნიშვნელოვანი წილით) ჩაერთო მუშახელის მსოფლიო ბაზარში და ემიგრაციის მიმართულება შეცვალა რუსეთიდან ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკისკენ.

საბჭოთა პერიოდში საქართველო თავისთავად ჩართული იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის ფარგლებში. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ამ დროს საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილში გავრცელებული იყო

სეზონური შრომითი მიგრაცია რუსეთში, რაც გამოწვეული იყო არსებული მოთხოვნით სპეციფიკურ მუშახელზე. ამ პროცესებში კახეთის რეგიონი ნაკლებად იყო ჩართული, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა დააჩქარა რეგიონის ჩართვა საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებში. ის გარემოება, რომ საქართველომ ემიგრაციის მიმართულება შეიცვალა, მიუთითებს არა მარტო იმაზე, რომ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებისკენ ემიგრაცია გამოწვეულია რუსეთ-საქართველოს შორის განწვავებული პოლიტიკური ვითარებით და რუსეთის შრომითი ბაზრის „დაკეტვით“, არამედ იმითაც, რომ საქართველო აქტიურად ჩაერთო მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, რას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიგრაციული პროცესების ზრდას და განვითარებას.

დასკვნა

მოსახლეობის შრომითი მიგრაცია თავისი მასშტაბით, ქვეყნის განვითარებაზე ზეგავლენით, მრავალმხრივი სოციალური შედეგით და მართვის სირთულით წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა კახეთის რეგიონის მაგალითზე შეგვესწავლა და აღგვეწერა არსებული მდგომარეობა ქალთა შრომით ემიგრაციასთან დაკავშირებით, იმ არსებითი მომენტების გამოყოფა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კახეთიდან ქალთა შრომითი ემიგრაციის სტიმულირების პროცესში. რადგან საქართველოში და კერძოდ, კახეთის რეგიონში მსგავსი მიზნების მქონე კვლევა დღემდე არ ჩატარებულა, წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ქალთა მიგრაციის შესწავლის პირველ მცდელობას ჩვენს ქვეყანაში.

კვლევა ჩატარებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდების გამოყენებით. ჩატარებული კვლევა გვთავაზობს მნიშვნელოვან მიგნებებს კახეთიდან ქალთა შრომითი ემიგრაციის ხასიათისა და მიზეზების შესახებ, რომლებიც უბიძგებენ ქალებს საზღვარგარეთ წასვლას.

სტატისტიკური, დოკუმენტური მასალების ანალიზისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით შევეცადეთ დაგვედგინა ახალგაზრდა ქალთა მიგრაციული ტენდენციების მასშტაბები და მათი განმაპირობებელი მიზეზები, დაბრუნებული და პოტენციური მიგრანტების ძირითადი პარამეტრები და კულტურულ და სულიერ ღირებულებათა ზემოქმედება მიგრაციულ ტენდენციებზე.

რადგან მე არ მქონდა საშუალება დავერდნობოდი საქართველოში და კერძოდ კახეთის რეგიონში ქალთა შრომითი ემიგრაციის უკვე არსებულ მონაცემებს, წარმოდგენილი შრომა გარკვეულწილად აღწერით ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, შეგროვილია მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთ ჩავწვდეთ ქალთა შრომითი ემიგრაციის მთავარ მამოძრავებელ ძალებს. კახეთის რეგიონში, ქალთა შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული გამოკვლევის ძირითად შედეგთა განზოგადება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ჩვენ საკვლევ არეალში, საბჭოთა პერიოდში არ შეინიშნებოდა ქართველ ქალთა შრომითი მიგრაციული აქტიურობა. ვფიქრობთ, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ახალ პირობებს აქ ჩამოუყალიბებელი ფორმების გარეშე დახედნენ,

და ქალთა მიგრაციის ინტენსიური მატება ერგვარად არაბუნებრივი ნახტომის სახით გამოვლინდა.

საქართველოში 90-იან წლებში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგად არნახული ინტენსიურობით განვითარდა მოსახლეობის შრომითი მიგრაცია. შრომის შიგა ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნისა და ფასის მყისიერი შემცირება, უმუშევრობის განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემა, უკიდურესი სიღარიბის ზრდა და ფიზიკური გადარჩენის სხვა გზების უპერსპექტივობა შრომით მიგრანტი ქალების საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მთავარი მოტივი გახდა, რაც მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

ძირითადად ქალები საზღვარგარეთ მიდიან კახეთში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და მისი გაუმჯობესების უპერსპექტივობის გამო. ქალების უმრავლესობა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის გადაწყვეტილებას იღებს უმთავრეს იმ მიზეზით, რომ ოჯახს დაეხმაროს და ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნას ოჯახის წევრებს. თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება შეფარდებითი დეპრივაციის გავლენაც ემიგრაციაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

კახეთიდან ქალთა ემიგრაციის მაღალი დონე არ აიხსნება მხოლოდ კახეთში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კახეთის ემიგრაციული ქსელების მიერ შემოთავაზებული რესურსები, რომლებიც ისეთ ვითარებაში, როდესაც მოსახლეობას ნაკლებად მიუწვდება ხელი ფორმალურ საბანკო მომსახურებაზე და ემიგრაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, საშუალებას აძლევენ კახეთის მაცხოვრებელ ქალებს შეამცირონ ემიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უფრო უსაფრთხო და მიმზიდველი გახადონ ემიგრაციის პროცესი.

კახეთის რეგიონის ზოგიერთ ქალზე ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ის ფაქტი, რომ მათი მეგობრები, ნათესავები იმყოფებიან საზღვარგარეთ და იქიდან გაწეული დახმარების საშუალებით მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაშიც ემიგრაცია გამოწვეულია შეფარდებითი დეპრივაციით.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა მიგრაციის სხა მიზეზებიც, რომლებიც ქალების სუბიექტურ მოტივებთანაა დაკავშირებული. რა თქმა უნდა ქალები ასეთ მოტივებზე გახსნილად არ საუბრობენ.

ჩვენი კვლევით გათვალისწინებული იყო კახეთის რეგიონიდან ქალთა შრომითი მიგრაციის ფორმების დადგენა და ცალკეული ფორმის ეფექტიანობის შეფასება. გამოვლენილია ემიგრანტების მიმღები ქვეყნები, მათი დასაქმების სფეროები, აღწერილია დაბრუნებული ემიგრანტების საზღვარგარეთ ყოფნის გამოცდილება, პოტენციური ემიგრანტების სამომავლო პერსპექტივები.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია იმ გზების „ტიპოლოგია“, რომელთა მეშვეობითაც ხდება ქალების საზღვარგარეთ გამგზავრება. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში შრომით მიგრანტებს საზღვარგარეთ წასვლაში ეხმარებიან ნათესავები და მეგობარ-ნაცნობები, ასევე დიდია წილი შუამავლების დახმარებისა, ხოლო ყველაზე მცირეა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით მიგრაცია.

მიგრაციისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ისეთი ორგანიზაციული ფორმები, როგორებიცაა ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარება და „ბედის ანაბარად“ წასვლა.

ჩვენი გამოკვლევით ქალებში მიგრაციისათვის საჭირო პროცედურების ლეგალურობა უფრო მისაღებია, ვიდრე-არალეგალური გზები, თუმცა როგორც კვლევამ აჩვენა კახეთის რეგიონში ქალების უმრავლესობა საზღვარგარეთ გამგზავრების არარალეგალურ საშუალებებს მიმართავს, რაც აიხსნება სამუშაო ვიზის მიღებასთან დაკავშირებული სიძნელეებით და საქართველოსა და მიმღებ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის ექსპორტის შესახებ ხელშეკრულების არარსებობით.

კვლევის შედეგად დადგინდა ემიგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები. მიღებული მონაცემები ნათელყოფს, რომ ოჯახური პირობები, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი საკმაოდ აქტუალურია როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის დროს, რაც ადასტურებს ქალის საოჯახო როლთან დაკავშირებული კულტურული ნორმების სიმყარეს რეგიონში.

გამოკვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს შრომითი მიგრაციის ძირითადი მიმართულებების, რეციპიენტი ქვეყნების განსაზღვრა წარმოადგენდა.

გამოკვლევით გამოვლინდა ოთხი ძირითადი ქვეყანა, საითაც მეტი

ინტენსივობითაა მიმართული ძირითადი მიგრაციული ნაკადები: აშშ, იტალია, საბერძნეთი, რუსეთი. თუ 1990-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის პირველი წლებიდან განსაკუთრებით დიდი იყო რუსეთის მიმართულებით შრომითი მიგრაციის ინტენსიურობა. ბოლო წლებში რუსეთის წილი საქართველოს შრომით მიგრანტთა ნაკადში თანდათან მცირდება. ამის ერთ-ერთი მტავარი მიზეზი რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმოსვლის ე.წ. სავიზო რეჟიმის შემოღება და გართულებული პოლიტიკური ურთერთობაა. ამას ადასტურებს გამოკვლევით მიღებული შედეგიც. ამჟამად ემიგრაციის ქვეყნების არეალი უფრო მეტად გაფართოვდა და მოიცვა ევროპისა და ამერიკის ქვეყნები.

ჩვენი გამოკვლევით ემიგრანტების დიდი ნაწილი არცთუ მოკლევადიან ემიგრაციაში იმყოფებოდა, ემიგრაციის ხანგრძლივობის საშუალო მნიშვნელობა ყველა დაბრუნებული ემიგრანტისთვის სამი წელია. დაბრუნებული ემიგრანტების თითქმის ნახევარი საზღვარგარეთ სამი და მეტი წელი მუშაობდა. ჩვენს მიერ გამოკითხული ქალების უმრავლესობა იძულებითაა დაბრუნებული და დაბრუნების უმთავრესი მიზეზი (თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში) ნოსტალგიაა, ქალები ვეღარ უძლებენ ოჯახთან და შვილებთან დაშორებას.

ის, რომ შრომით მიგრანტთა ნაკადში ქალები უმეტესობას წარმოადგენენ, ამის ერთ-ერთი მიზეზია საერთაშორისო შრომის ბაზრებზე ქალთა სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სპეციფიკა.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ კახეთის რეგიონიდან ქალების შრომითი მიგრაციის არსებითი ნიშანია მაღალი განათლების დონე. მაღალი განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კონტინგენტის ქვეყნიდან გასვლა მნიშვნელოვნად აქვეითებს საქართველოს შრომით პოტენციალს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პროფესიულ-კვალიფიციური თვალსაზრისით მიგრანტი ქალების დასაქმება საზღვარგარეთ მათი კვალიფიკაციის შეუსაბამოა, შესაძლოა ამაში ერთ-ერთ როლს ენის არცოდნაც წარმოადგენს. გამოკვლევით მიღებული მონაცემები ნათელყოფს, რომ ქალების უმრავლესობა დაბალკვალიფიცირებულ შრომას ირჩევს. მაგრამ ეს ხდება არა იმიტომ, რომ მათ ამ შრომაზე აქვთ მოთხოვნილება, არამედ მიმღები ქვეყნების შრომის ბაზრის ორგანიზების გამო. მიმღებ ქვეყანათა უმრავლესობაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მიგრირებულებისათვის მხოლოდ მომსახურების სფეროში მოიძებნება სამუშაო. თან ეს შრომა ბევრად დაბალანაზღაურებადია ჩასულებისთვის, ვიდრე

ადგილობრივებისთვის. ამის მიზეზი კი არის მიგრაციის არალეგალურობა, რაც სამუშაოს მიძღვმს საშუალებას აძლევს გადაიხადოს არა შრომის რეალური საფასური, არამედ ბევრად მცირე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პროფესიულ-კვალიფიციური თვალსაზრისით საზღვარგარეთ შრომითი მიგრანტი ქალების დასაქმება უკიდურესად დისკრიმინაციულია. ხდება მათი შრომითი პოტენციალის დაქვეითება, ადამიანური კაპიტალის დევალვაცია.

თუმცა სხვა ფაქტორებთან ერთად პროფესიისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმება არ არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მიგრანტთა ახალ შრომით გარემოსადმი შეგუების წინააღმდეგობრივი ხასიათისა. შრომითი მიგრანტი ქალები ძნელად ეგუებიან მათთვის უცხო კულტურულ გარემოს, ამიტომ შრომითი მიგრაციის რეგულირების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების თავისი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების ხელშეწყობა, მათი შრომითი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია, პროფესიულ-შრომითი ინტეგრაციის პროცესის მოწესრიგება და ადაპტაციის დაჩქარებაა.

გამოკვლევით დადგინდა, რომ საზღვარგარეთ დასაქმებით რადიკალურად იზრდება შრომით მიგრანტთა შემოსავლები. იგი მკვეთრად დიფერენცირებულია და ზოგადად, რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონისა და ცხოვრების პირობების პროპორციულია. შრომითი მიგრანტის საშუალო შემოსავალი 755 აშშ დოლარია. დიდი განსხვავება საქართველოსა და უცხოეთში დასაქმებით მიღებულ შემოსავლებს შორის ქმნის დიდ მიგრაციულ პოტენციალს. არა მარტო დასავლეთ ევროპისა და აშშ-კენ.

დადგინდა, რომ ფულადი გზავნილების საშუალო სიდიდე პირდაპირპროპორციულია უცხოეთში შრომით მიგრანტთა შემოსავლებისა. ქალები ახერხებენ, საშუალოდ, ოჯახში გამოგზავნონ თავიანთი შემოსავლის მეხუთედი.

მიგრაციის არალეგალური ხასიათისა და დისკრიმინაციული ანაზღაურების გამო, ევროპასა და აშშ-ში მყოფი შრომითი მიგრანტების კავშირი ოჯახებთან სუსტია და უპირატესად სატელეფონო საუბრებით ხორციელდება, მიმოსვლა კი იშვიათია და რეგულარულ ხასიათს არ ატარებს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა, თუ კონკრეტულად რაზე იხარჯება საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულადი დახმარება. როგორც კვლევამ აჩვენა

კახეთის რეგიონიდან ემიგრირებული ქალების ფულადი დახმარებები უაღრესად მნიშვნელოვანია ბევრი ოჯახის ცხოვრებაში. დახმარების საკმაოდ დიდი ნაწილი იხარჯება პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ანუ „არაპროდუქტიულ მოხმარებაზე“, რაც გამოწვეულია მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონით, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ რეგიონში საინვესტიციო შესაძლებლობებიდან ყველაზე გავრცელებულია სამეურნეო საქმიანობაში ინვესტირება.

დაბრუნებულ ემიგრანტებთან სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაბრუნების უმთავრესი პირობები ეკონომიკური ხასიათისაა. შრომითი მიგრანტების სამშობლოში სამუშაოდ გადმოსვლა მხოლოდ გარკვეული წინაპირობების შესრულების შემდგომ მოხდება. საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ემიგრანტი ქალების უკან დაბრუნების პოტენციული ჯერჯერობით სუსტია, შრომითი მიგრაცია მყარია და ახლო მომავალში მისი ინტენსიურობის კლების მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

ამრიგად, როგორც ფაქტობრივი, ისევე პოტენციური შრომითი მიგრაცია საქართველოდან ძირითადად იძულებითი ხასიათისაა და ეს იძულება დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ პირობებთან, დასაქმების პრობლემებთან და ცხოვრების დონის გაუარესებასთან. სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია, მოსახლეობის დიდ ნაწილს განაწყობს ქვეყნიდან დროებით წასვლაზე, მაგრამ ასეთი ვითარების ხანგრძლივად შენარჩუნების პირობებში სულ უფრო გაიზრდება საქართველოდან სამუდამოდ წასვლის მსურველთა რიცხვი.

კახეთში, ისე როგორც საქართველოს ყველა სხვა რეგიონში, მიგრაციულმა პროცესებმა განაპირობა მდებრობითი სქესის მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის დეფორმაცია. რის გამოც მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები გაუარესდა.

გამოკვლევა გვიჩვენა, რომ შრომით მიგრაციაში მონაწილეობს ქალების თითქმის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი; თუმცა კონტიგენტი გამოირჩევა ახალგაზრდა ქალთა პრიორიტეტით. შრომით მიგრანტთა უმრავლესობა დაოჯახებულია.

საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასული ქალები ხშირად ქმნიან ოჯახებს და სამუდამოდ მკვიდრდებიან უცხო ქვეყანაში. გამოკვლევა აჩვენა, რომ დაოჯახებულ

ქალთა უკან დაბრუნების პოტენციური გაცილებით მაღალია, რაც შეეხება დაუქორწინებელ შრომით მიგრანტებს, აქ ქალთა უცხოეთში დარჩენის ალბათობა, რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, მეტია.

თუმცა პასუხები მიგვანიშნებს იმაზე, რომ დაოჯახებულ ქალთა ნაწილსაც სურს უცხოეთში სამუდამოდ დარჩენა. ეს კი გაგვძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ მიგრაციულ განწყობას ქალებში განაპირობებს არა მხოლოდ ობიექტური პირობები (სიღარიბე, უმუშევრობა და ა. შ.) არამედ სუბიექტური ფაქტორებიც, ოჯახური კონფლიქტები, საოჯახო ცხოვრებით ან ურთიერთობებით (ცოლ-ქმარს, რძალ-დედამთილსა და სხვა) უკმაყოფილება. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალები საგულდაგულოდ მაღავენ მიგრაციის სუბიექტურ მოტივებს და რომ ეს საკითხი სერიოზულ, სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისამდე საქართველოში საზოგადოებრივი აზრისათვის სრულიად მიუღებელი იყო ქალთა შრომითი მიგრაცია. ამჟამად კი ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა, რათა გამოსავალი ქვეყნის გარეთ დასაქმებაში ეძებნათ ქართველი ქალის გასვლა საერთაშორისო შრომის ბაზარზე შიმშილის იძულება და წინააღმდეგობაშია ქალის მთავარ გენერაციულ ფუნქციასთან, ახალი თაობის აღზრდასა და კვლავწარმოებასთან. შესაბამისად, როდესაც ვაფასებთ შრომითი მიგრაციის ფემინიზაციას, დადებითი, ქალის ემანსიპაციის კუთხით, მისი მეორე, უარყოფითი მხარეც არ უნდა დაგვავიწყდეს.

მიგრაციის ფემინიზაციას დასავლეთში მიიჩნევენ შრომითი მიგრაციის განვითარების ახალ ეტაპად და თვლიან გენდერული თანასწორობის მიღწევის ერთ-ერთ პროგრესულ ნიშნად, მაგრამ ჩვენმა გამოკვლევამ დააფიქსირა ამ მოვლენის შედეგად საუკუნეობრივად ფორმირებულ ჭეშმარიტ ფასეულობათა არაბუნებრივი ნგრევის პროცესი, ამიტომ ამჟამინდელი ფორმით განხორციელებული საქართველოს შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია, ქართველი ქალის გასვლა საერთაშორისო შრომის ბაზარზე შიმშილის იძულებითაა ნაკარნახევი და დემოგრაფიულად “მომაკვდავ ქვეყანაში” პროგრესულ მოვლენად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

ბიბლიოგრაფია

1. ბაქრაძე ჯ. საქართველოს მოსახლეობის აწმყო და მომავალი, თბილისი 1990წ.
2. ბერიძე ლ. საქართველოს შრომითი ემიგრაცია და მისი ძირითადი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები, თბილისი, 2004
3. ბექაია მ., წულაძე გ., გოჭაძე ზ., მელაძე გ. ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები. თბილისი 1998წ.
4. განსხვავებული აზროვნება (სახელმძღვანელო ევროპულ ქალთა კვლევებში), თბილისი 2005
5. გაფრინდაშვილი ლ., ოჯახები თანამედროვე საქართველოს რეგიონებში, თბილისი, 2000
6. გაჭირვება საზღვარგარეთ, თუ შიმშილი სამშობლოში, საქართველოდან არალეგალური მიგრაციის კვლევა, თბილისი. 2001
7. გენდერული თეორიების ანთროპოლოგია, თბილისი 2003
8. გენდერის აქტუალური საკითხები, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი 2000
9. გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალ-პოლიტიკური შედეგები, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა საქართველოში, თბილისი, 1997
10. გუგუშვილი თ. საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები (1990-1998)წლები) მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 1998
11. დაუკვირვებადი ეკონომიკა საქართველოში (ცნობები, გაზომვის მეთოდები, შეფასებები) საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2001
12. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი თბილისი 2005.
13. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, თბილისი 2004
14. დურგლიშვილი ნ. ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა– საქართველო, თბილისი, 1997
15. ვადაჭკორია ა. გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002წ.წ) დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო

- ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერთა აკადემია, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, თბილისი 2004
16. ზაქარიაძე ნ., ტრადიციული დემოგრაფიული ფასეულობები საქართველოში, თბილისი 2005.
 17. ზუბიაშვილი თ. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999
 18. ზუბიაშვილი თ. საქართველოს მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფეატი. თბილისი, 1993 წ.
 19. თოთაძე ა. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1993
 20. თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობა, თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1993წ.
 21. კაცაძე ა. სოფლის მოსახლეობის ორგანიზებული მიგრაცია საქართველოში, საქ. მეც. კად. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1993
 22. კაცაძე ა. მოსახლეობის მიგრაცია და საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პრობლემები, კრებული, მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, თბილისი: თსუ გამომცემლობა „უნივერსალი“ 2005
 23. კოტრიკაძე ბ. შობადობა საქართველოში და მისი რეგულირების გზები, თბილისი 1988წ.
 24. ლორთქიფანიძე ვ. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაცია, საქ. მეც. აკად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი—პრეპრინტი 1997
 25. ლორთქიფანიძე ვ., თოთაძე ა. ერმა ერი უნდა გადაარჩინოს: დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“ 2007
 26. მელაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები, თსუ. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“ 2007
 27. მელაძე გ., წულაძე გ. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები, საქ. მეც. კად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის

- ინსტიტუტი, მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი 1997.
28. მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში, სტატიების კრებული, თსუ, თბილისი, გამომცემლობა „ლევა“ 2003
 29. მიგრაციის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახური, 1999, 2001 და 2002 წლების გამოშვებები
 30. მამიაშვილი ფ. ტრეფიკინგი და შრომითი მიგრაცია, „საქართველოს ეკონომიკა“ 2005 წ.
 31. მიგრაციის სტატისტიკა., (საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების კვლევის ანგარიში) საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი., ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახური., თბილისი 1999, 2001, 2002 წლის გამოშვებები.
 32. მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, სტატიების კრებული, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისი, „უნივერსალი“ 2003წ.
 33. მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა კახეთის რეგიონში. შტატისტიკური პუბლიკაცია (ნ. კაპანაძე, გ. წაქაძე, ა. დანელია) (2004 წლის მაისში კახეთის რეგიონში ჩატარებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოკვლევის ძირითადი შედეგები და ეკონომიკური ანალიზი., საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი., თბილისი 2004
 34. რეგიონის ეკონომიკური პორტრეტი, კახეთი 2004., სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი., თბილისი 2004
 35. საქართველოს ეროვნული ბანკი, „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი“ №4 (94), იანვარი-დეკემბერი, თბილისი 2006
 36. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტ. III ნაწ. II მოსახლეობის მიგრაცია, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2004წ.
 37. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული 2000., საქ. მეც. კად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი., პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის საზოგადოების კვლევის ცენტრი,

- თბილისი, ჯისიაი 2001წ.
38. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2001, საქ. მეც. კად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, ჯისიაი 2002წ.
 39. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2003, საქ. მეც. კად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, ჯისიაი 2004წ.
 40. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2004, საქ. მეც. კად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, ჯისიაი 2005წ.
 41. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2005, საქ. მეც. კად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, ჯისიაი 2006წ.
 42. სოციალური ტენდენციები საქართველოში 2003, კრებული, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003
 43. საქართველოს სტატისტიკის ვებგვერდი: <http://www.statistics.ge/files/georgian/census/2002/mosaxleobis%20ricxovnoba%20d%20gansaxleba.pdf>
Internet
 44. სულაბერიძე ვ. მიგრაცია და დემოგრაფიული უსაფრთხოება, კრებული, მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, თსუ, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“ 2005 წ
 45. ტუხაშვილი გ. ქალები სოფლად, გაეროს განვითარების პროგრამა: „ქალები განვითარების პროცესში“, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“ 1998
 46. ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია, თბილისი: გამომცემლობა „ლაშქარი“ 1996
 47. ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თსუ, თბილისი, 1998
 48. ფირცხალავა გ. პოსტსაბჭოთა საქართველოში დემოგრაფიული

- სიტუაციისა და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება-გატარების აქტუალური საკითხები, თბილისი 1996
49. ფირცხალავა გ. საქართველოს მოსახლეობა: ეროვნული შემადგენლობა, ოჯახები, მიგრაცია (მოსახლეობის 1970, 1979, 1989 წწ. აღწერებით) თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“ 1997
 50. ქალი გარდამავალ პერიოდში, კრებული, გაეროს განვითარების პროგრამა: „ქალები განვითარების პროცესში“, თბილისი 1998
 51. ქალი და კაცი საქართველოში, თბილისი 2008წ.
 52. ქალთა მდგომარეობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი 2000
 53. შრომითი მიგრაცია საქართველოდან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და ეკონომიკური განათლების ასოციაცია, თბილისი 2003
 54. შელია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში, თბილისი: თსუ, გამომცემლობა „ცოდნის წყარო“ 1999წ.
 55. შიოშვილი ნ. საქართველოს ქალთა დასაქმებისა და სოციალური დაცვის აქტუალური პრობლემები და მათი გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები., კრებული, ქალთა დასაქმების საკითხები, გაეროს განვითარების პროგრამა: „ქალები განვითარების პროცესში“, თბილისი 1998
 56. წულაძე გ., მელაძე გ. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, საქ. მეც. კად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი., თბილისი 1998.
 57. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000)., საქ. მეც. კად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, პარტნიორობა ცოციალური ინიციატივებისათვის, საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი, თბილისი, ჯისიაი, 2002
 58. წულაძე გ. ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, ჯისიაი, თბილისი 2005
 59. წულაძე გ., სულაბერიძე ა., მაღლაფერიძე ნ., მამარდაშვილი გ. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ., ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და

სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2007

60. წულაძე გ. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2007, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი 2008
61. ჭელიძე ნ. საქართველოს შრომითი მიგრაცია, თბილისი, 2000
62. ჯაში ჩ. გენდერული ეკონომიკის აქტუალური საკითხები, გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი-„გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“, თბილისი 2005
63. ჯაში ჩ. გლობალიზაცია და გენდერული თანასწორობა ეკონომიკაში, თბილისი, 2002
64. ხმალაძე მ. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები ეკონომიკური შედეგები, სადოქტორო დისერტაცია. 1994
65. Baylis I. and Smith S. (Eds) The Globalization of World Politicks. Oxford, 2001
66. Boserup E., Women's Role in Economic Development, New-York, 1970
67. Caucasus analitykal digest., Migration, Refugees and IDPS, №4 14 march, 2009
68. Castles S. Miller J. The Age of Migration. International Population Movements in the Modern World. London. 1993.
69. Country Programme Action Plan 2006-2010 between the Government of Georgia and UNDP (Tbilisi 2006)
70. Gender Mosaics; Social Perspectives (Original readings), Roxburi publishing company, Los Angeles, 2001
71. Groenewold G. Trends in International Migration. Training Programme on international migration, Geneva, 24-28. 01 2005.
72. International Migration Policies and The Status of Female Migrats, UN. New York, 1998.
73. International Organization for Migration (IOM)., Hardship Abroad or Hunger at Home, IOM, Tbilisi, 2001.
74. Joyce P. Jacobsen, Economics of Gender, UK, 1996
75. Marshall G. Dictionary of Sociology Oxford University Press, Oxford, New Yoek 1998.
76. Massaey D.S. et. al, „Theories of International Migration., A review and Appraisal”, in: Population and Development review 19(3) (1993).
77. Profile of Potential Labor Migrants Statistical Overview: July 2006-march (IOM

Migration Resource centers –Georgia)2007

78. Piore M.J. Birds of Passages: Migrant labor in Industrial Societies., Cambridge university Press, Cambridge 1979
79. Porter A. Immigration Theory for a New Century : Some problem and Opportunities., in Ch. Hirshman, P. Kazintz, J. De Wind [Eds] The handbook of International Migration : The American experience, Rusell Sage Foundation, New York. 1999.
80. Stalker P. Workers without Frontiers. The impactk of Globalisation in International migration. Lynne rienner publishers ILO, 2000.
81. Stark o., Taylor E. J. Migration incentives, migration types: the role of relative deprivation., in Economic Journal 101 (408): 1163-1178, 1991.
82. Trafficking in migrants: policy and responses. IOM, 1999
83. Trafficking in migrants: policy and responses. IOM, 1999
84. Tzuladze G. Maglaperidze N. Vadachkoria A. Population Prospects of Georgia. The 2003 Revision. UNFPA, Tbilisi, 2003
85. Woldinger R., Lighter M. : How the Other Half Works: Immigration and the Social Organization of Labor, University of California Presss, Berkeley 2003
86. World Population Prospects The 1998 Revision., Volume 1: Comprerehensive Tables., UN. N. Y. 1999
87. World Bank Report Migration and Remittances in Eastern Europe and the Former Soviet Union. World Bank Publications 2006
88. Zelinsky W. The hypothesis of mobility transition. “Ekistics”, 1972, v. 32
89. Zelinsky W. The demographic transition. Changing patterns of migration//population science in the service mankind. Liege, 1979.
90. Батлер Дж., Гендерное беспокойство, Антология гендерной теорий, Минск, 2000
91. Гаприндашвили Л., «Женщина» и «Женственность» - философский дискурс, ж. Кавказоведение, №10, М. 2006
92. Гендерное равенство – поиски решения старых проблем, МОТ, Москва, 2003
93. Гендерные проблемы и развитие, М. изд. «Весь Мир», 2002
94. Глонти Г., Торговля людьми с целью сексуальной эксплуатации: реалии и перспективы, 2004
95. Западная Европа: роблемы рабочих-иммигрантов. М. ИНИОН, 1990
96. Омельченко Е. Л. Стилевые стратегии занятости и ихгендерные ообенности., журнал: Соиологические исследования., Москва «Наука» .№11 (223), 2002

97. Сванидзе Г. Эмиграция из Грузии ее причины., Кавказский институт мира, демократии и развития, Тбилиси, 1994
98. Статистика населения с основами демографии. М., «Финансы и статистика», 1990.
99. Тюрюканова Е.В., Женская трудовая миграция, Демоскоп, 2002. №29
100. Тюрюканова Е.В., Малышева М.М., Женщина, миграция, государство, „Akademia” М. 2001
101. Эпплард Р. Внешняя ситуация, тенденции и перспективы .Миграция и иммиграционная политика. Ом. М.,1992

დანართი 1

ს ნ კ ე ტ ა

გამცხრილავი შეკითხვა

A1. გაქვთ თუ არა (ე)მიგრაციაში წასვლის სურვილი ...

რესპონდენტს: თუ თქვენ არ გაქვთ მიგრაციაში წასვლის სურვილი არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ, შეწყვიტეთ ანკეტის შევსება; თუ თქვენ ისურვებდით ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარეთ მიგრაციას, გააგრძელეთ ანკეტის შევსება.

		მაქვს	არ მაქვს	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
A1. 1.	ქვეყნის შიგნით (შიდა მიგრაცია)?	1	2	88	99
A1. 2.	საქართველოს ფარგლებს გარეთ?	1	2	88	99

A2. ყოფილხართ თუ არა ოდესმე (ე)მიგრაციაში?

რესპონდენტს: აქ იგულისხმება ქვეყნის შიგნით, ან ქვეყნის გარეთ წასვლა, რომელიც არ უკავშირდებოდა ტურისტულ მიზნებს)

- 1. დიახ, ვყოფილვარ ქვეყნის შიგნით
- 2. დიახ, ვყოფილვარ ქვეყნის გარეთ
- 3. არ ვყოფილვარ
- 99. უარი პასუხზე

შეკითხვები №№ A3, A4 ეხება მას, ვინც ნამყოფია ემიგრაციაში ქვეყნის გარეთ

A3. სად ყოფილხართ ემიგრაციაში ქვეყნის გარეთ?

(*ნაწერეთ*) -----
99. უარი პასუხზე

A4. რა პერიოდით ყოფილხართ ემიგრაციაში ქვეყნის გარეთ?

(*ნაწერეთ წლების და თვეების მითითებით*) -----

შეკითხვები №№ A5, A6 ეხება მას, ვინც არ ყოფილა ემიგრაციაში ქვეყნის გარეთ

A5. ყოფილხართ თუ არა ოდესმე საქართველოს ფარგლებს გარეთ?

- 1. დიახ
- 2. არა
- 99. უარი პასუხზე

თუ პასუხია “დიახ”...

A6. რომელ უცხო ქვეყანაში ყოფილხართ?

(ჩაწერეთ) -----

99. უარი პასუხზე

A7. თუ (ემიგრაციაში წახვიდოდით (ქვეყნის შიგნით, ან ქვეყნის გარეთ), როგორ ფიქრობთ, ეს უფრო მეტად იქნებოდა სამუდამო, ხანგრძლივი (მრავალი წლით) თუ შედარებით ხანმოკლე (მაქსიმუმ 3 წლამდე) (ემიგრაცია)?

		სამუდამო	ხანგრძლივი	ხანმოკლე (3 წლამდე)	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
A7. 1.	მიგრაცია ქვეყნის შიგნით	1	2	3	88	99
A7. 2.	ემიგრაცია ქვეყნის გარეთ	1	2	3	88	99

A8. ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან, რომელია ძირითადი ფაქტორი, რაც განაპირობებს თქვენს სურვილს, წახვიდეთ (ქვეყნის შიდა ან ქვეყნის გარე) (ემიგრაციაში? (დასაშვებია პასუხის რამდენიმე ვარიანტი თითოეულისთვის)

	A8. 1. ქვეყნის შიგნით მიგრაცია	A8. 2. ქვეყნის გარეთ ემიგრაცია
ჩემი (ჩემი ოჯახის) ეკონომიკური გაჭირვება	1	1
დაუსაქმებლობა	2	2
თავისუფლად ცხოვრების სურვილი	3	3
სხვა ადგილას (ქვეყანაში/რეგიონში) ცხოვრების სურვილი	4	4
კვალიფიციური განათლების მიღების შესაძლებლობა	5	5
ორწინება	6	6
(ემიგრაციაში მყოფ ოჯახის წევრებთან/ნათესავებთან ყოფნა	7	7
საკუთარი ცხოვრების კომფორტულად მოწყობა	8	8
ბიზნეს საქმიანობა	9	9
უსაფრთხოების სურვილი	10	10
სხვა (ჩაწერეთ) -----		
მიჭირს პასუხის გაცემა	88	88
უარი პასუხზე	99	99

A9. რამდენად ეთანხმებიან თქვენი ოჯახის წევრები თქვენს განზრახვას, წახვიდეთ (ქვეყნის შიდა ან ქვეყნის გარე) ემიგრაციაში?

		სავსებით ეთანხმებიან	უფრო ეთანხმებიან, ვიდრე არა	უფრო არ ეთანხმებიან, ვიდრე კი	სრულიად არ ეთანხმებიან	უარი პასუხზე
A9. 1.	ქვეყნის შიგნით (შიდა) მიგრაცია	1	2	3	4	99
A9. 2.	ქვეყნის გარეთ ემიგრაცია	1	2	3	4	99

A10. გქონიათ თუ არა მცდელობა, წასულიყავით (ქვეყნის შიდა ან ქვეყნის გარე) ემიგრაციაში?

		მქონია	არ მქონია	უარი პასუხზე
A10. 1.	ქვეყნის შიგნით (შიდა) მიგრაცია	1	2	99
A10. 2.	საქართველოს ფარგლებს გარეთ	1	2	99

შეკითხვა № A11 ეხება მას, ვისაც ჰქონია (ემიგრაციაში (შიდა ან გარე) წასვლის მცდელობა

A11. რამ შეგიშალათ ხელი, წასულიყავით მიგრაციაში?

	A11. 1. ქვეყნის შიგნით მიგრაცია	A11. 2. ქვეყნის გარეთ ემიგრაცია
საკონსულტო არ მომცა ვიზა ქვეყანაში შესასვლელად	1	1
ვერ შევაგროვე სათანადო დოკუმენტაცია	2	2
ხელი შემიშალა ოჯახურმა პირობებმა	3	3
სხვა (ნაწერეთ) -----		
მიჭირს პასუხის გაცემა	88	88
უარი პასუხზე	99	99

შეკითხვები №№ A12, A13 ეხება მათ, ვისაც სურს ქვეყნის გარეთ ემიგრაციაში წასვლა

A12. თუ გაქვთ ქვეყნის გარეთ ემიგრაციის სურვილი, უფრო მეტად სად ისურვებდით წასვლას? (დასაშვებია პასუხის ერთი ვარიანტი)

1. რუსეთში
2. დსთ-ს სხვა ქვეყანაში (მიუთითეთ რომელში -----)
3. ევროპის რომელიმე ქვეყანაში (მიუთითეთ რომელში -----)
4. აზიის რომელიმე ქვეყანაში (მიუთითეთ რომელში -----)
5. ამერიკის შეერთებულ შტატებში
- სხვა ქვეყანაში (ნაწერეთ) -----

88. მიჭირს პასუხის გაცემა
 99. უარი პასუხზე

A13. არსებობს უცხო ქვეყანაში ემიგრაციის რამდენიმე ფორმა, რომლებიც ქვემოთაა ჩამოთვლილი. გთხოვთ გვიპასუხოთ, ამ ფორმათაგან რომელია თქვენთვის ყველაზე რეალური არჩევანი, რომელი – მეტ-ნაკლებად რეალური და რომელი – არარეალური? (დასაშვებია პასუხის ერთი ვარიანტი)

		ყველაზე რეალური	მეტ-ნაკლებად რეალური	არარეალური	მიჭირს პასუხის გაცემა
A13.1.	შრომითი ემიგრაცია	1	2	3	88
A13.2.	ემიგრაცია განათლების მისაღებად	1	2	3	88
A13.3.	პოლიტიკური ემიგრაცია (პოლიტიკური თავშესაფარის მიღება)	1	2	3	88
A13.4.	ბიზნეს ემიგრაცია (საკუთარი ბიზნესის წარმოება საზღვარგარეთ)	1	2	3	88
A13.5.	ემიგრაცია სასურველ ქვეყანაში ცხოვრების (მოქალაქეობის) გამო	1	2	3	88

შეკითხვები №№ A14, A15 ეხება მას, ვისთვისაც შრომითი ემიგრაცია ყველაზე რეალური, ან მეტ-ნაკლებად რეალური არჩევანია

A14. ქვემოთ ჩამოთვლილია სხვადასხვა შრომითი საქმიანობა, რომლებსაც უცხო ქვეყანებში ემიგრირებულ ქართველთა დიდი ნაწილი მიმართავს. გთხოვთ, საქმიანობის თითოეულ ფორმასთან დაკავშირებით მიპასუხოთ, რომელი მათგანის შესრულება თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელი, უფრო ხელსაყრელი, უფრო არახელსაყრელი და ყველაზე არახელსაყრელი?

		ყველაზე ხელსაყრელი	უფრო ხელსაყრელი	უფრო არახელსაყრელი	ყველაზე არახელსაყრელი	მიჭირს პასუხის გაცემა
A14.1.	ბაეშვის მოვლა	1	2	3	4	88
A14.2.	ავადმყოფის/მოსუცის მოვლა	1	2	3	4	88
A14.3.	სახლის/მალაზიის და ა.შ. დალაგება	1	2	3	4	88
A14.4.	მიმტანობა/მზარეულობა	1	2	3	4	88
A14.5.	მშენებლობა/რემონტი	1	2	3	4	88
A14.6.	ფაბრიკა/ქარხანა					

A15. კიდევ რა ტიპის შრომა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე (ან უფრო) ხელსაყრელი?

(ნაწერეთ) -----

88. მიჭირს პასუხის გაცემა

A16. გყავთ თუ არა ვინმე იმ ქვეყანაში, სადაც გსურთ ემიგრაციაში წასვლა?

1. დიახ, მყავს ოჯახის წევრი (წევრები)
 2. დიახ, მყავს ნათესავი (ნათესავები)
 3. დიახ, მყავს მეგობარი (მეგობრები)
 4. დიახ, მყავს ნაცნობი (ნაცნობები)
 5. არავინ არ მყავს
88. მიჭირს პასუხის გაცემა
99. უარი პასუხზე

A17. შესაძლებლობა რომ გქონდეთ, გადაიხდიდით თუ არა არაოფიციალურად თანხას იმისათვის, რომ თქვენთვის სასურველ ქვეყანაში წასვლის ვიზა მიიღოთ?

1. გადავიხდიდი
 2. არ გადავიხდიდი
88. მიჭირს პასუხის გაცემა
99. უარი პასუხზე

A18. ხართ თუ არა თანახმა, რომ არალეგალურად იცხოვროთ უცხო ქვეყანაში?

1. სავსებით თანახმა ვარ
 2. უფრო თანახმა ვარ, ვიდრე არა
 3. უფრო არა ვარ თანახმა, ვიდრე კი
 4. სრულიად არა ვარ თანახმა
88. მიჭირს პასუხის გაცემა
99. უარი პასუხზე

A19. ისურვებდით თუ არა უცხოელთან ოჯახის შექმნას?

1. დიახ, ვისურვებდი
 2. არა, არ ვისურვებდი
88. მიჭირს პასუხის გაცემა
99. უარი პასუხზე

შეკითხვები №№ A20, A21 ეხება მას, ვისაც სურს ქვეყნის შიგნით მიგრაციაში წასვლა (შიდა მიგრაცია)

A20. თუ გაქვთ ქვეყნის შიგნით მიგრაციის განზრახვა, სად ისურვებდით წასვლას?

1. ჩემი რეგიონის (სხვა) ქალაქში
 2. ჩემი რეგიონის (სხვა) სოფელში
 3. სხვა რეგიონის ქალაქში
 4. სხვა რეგიონის სოფელში
 5. დედაქალაქში
88. მიჭირს პასუხის გაცემა
99. უარი პასუხზე

A21. გვავთ თუ არა ვინმე საქართველოს იმ ქალაქში/სოფელში, სადაც გსურთ იმიგრირება?

1. დიას, მყავს ოჯახის წევრი (წევრები)
2. დიას, მყავს ნათესავი (ნათესავები)
3. დიას, მყავს მეგობარი (მეგობრები)
4. დიას, მყავს ნაცნობი (ნაცნობები)
5. არავინ არ მყავს
88. მიჭირს პასუხის გაცემა
99. უარი პასუხზე

A22. გეკნებათ თუ არა საქართველოს იმ ქალაქში/სოფელში, სადაც გსურთ გადასვლა...

		მეკნება	არ მეკნება	არ დამჭირდება	მიჭირს პასუხის გაცემა
A22. 1.	საკუთარი სახლი/ბინა	1	2	3	88
A22. 2.	საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთი (საოჯახო მეურნეობა)	1	2	3	88
A22. 3.	სამსახური	1	2	3	88
A22. 4.	საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის შესაძლებლობა	1	2	3	88

A23. როგორ გგონიათ, ქვემოთ ჩამოთვლილი გამონათქვამებიდან რომელი მეტად შეესატყვისება თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობას?

(დასაშვებია პასუხის ერთი ვარიანტი)

1. ყველაფერი კარგად მიდის
2. ყველაფერი ისე კარგად არ მიდის როგორც ვისურვებდი, მაგრამ სიძნელეების გადალახვას/დაძლევას ვახერხებ
3. ცხოვრება ძალიან გაძნელებულია, მაგრამ კიდევ შეიძლება მოთმენა
4. ამგვარი მდგომარეობის გაძლევა უკვე შეუძლებელია
88. მიჭირს პასუხის გაცემა
99. არ მსურს ვუპასუხო ამ კითხვას

A24. ჩვეულებრივ, რას განიცდით პირველ რიგში, როდესაც მომავალზე ფიქრობთ?

(დასაშვებია პასუხის ერთი ვარიანტი)

1. ოპტიმიზმს, მომავლის რწმენას
2. იმედს
3. სიმშვიდეს, მაგრამ განსაკუთრებული იმედების გარეშე
4. იმედგაცრუებას
5. შფოთვას, საფრთხეს
6. შიშს, სასოწარკვეთას
7. არაფერს არ განვიცდი
88. მიჭირს პასუხის გაცემა
99. არ მსურს ვუპასუხო ამ კითხვას

A25. დაასახელეთ, ამ ეტაპზე, თქვენთვის მნიშვნელოვანი ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ვერ ახერხებთ

(ჩაწერეთ) -----

- 88. უარი პასუხზე
- 99. მიჭირს პასუხის გაცემა

A26. რომელია მნიშვნელოვანი მხარე პრობლემა?

(ჩაწერეთ) -----

- 88. უარი პასუხზე
- 99. მიჭირს პასუხის გაცემა

A27. პირველ რიგში, რას უკავშირებთ იმედებს თქვენი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან მიმართებაში?

(დასაშვებია პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი)

- 1. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობას
- 2. ადგილობრივი, კერძოდ, რეგიონის ხელისუფლების საქმიანობას
- 3. ადგილობრივი, კერძოდ, ქალაქის/რაიონის/სოფლის ხელისუფლების საქმიანობას
- 4. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საქმიანობას
- 5. ქვეყანაში ხელისუფლების რადიკალურ შეცვლას ყველა დონეზე
- 6. მსხვილი ბიზნესმენების, მეწარმეების ქმედებებს
- 10. საწარმოების, ორგანიზაციების მუშაობას, სადაც თქვენ მსახურობთ
- 11. ოჯახის წევრების/ნათესავების დახმარებას
- 12. მეგობრების დახმარებას
- 13. ემიგრაციაში წასვლას
- 14. ეკლესიის, ღვთის შეწყვენას
- 15. დახმარებას საზღვარგარეთიდან (ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და სხვ.)
- 16. საკუთარ უნარ-შესაძლებლობებსა და შრომას
- 17. სხვა (ჩაწერეთ) -----
- 77. ჩამოთვლილთაგან არცერთს
- 88. არ მსურს ეუბანუხო ამ კითხვას
- 99. მიჭირს პასუხის გაცემა

D. დემობრაფიული ბლოკი

<p>D1. რესპონდენტის სქესი</p> <ul style="list-style-type: none"> 1. მამრობითი 2. მდედრობითი 	<p>D2. რამდენი წელი შეგისრულდათ?</p> <p>(ჩაწერეთ) -----</p>
<p>D3. როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?</p> <ul style="list-style-type: none"> 1. ვარ დაოჯახებული 2. ვარ გაყრილი 3. ვარ ქვრივი 4. მყავს შვილი (შვილები) ქორწინების გარეშე 5. ვარ დაუოჯახებელი 6. სხვა (ჩაწერეთ) 99. უარი პასუხზე 	<p>D4. რა განათლება გაქვთ მიღებული?</p> <ul style="list-style-type: none"> 1. საერთოდ არ მივლია სკოლაში 2. დაწყებითი (4 კლასის ჩათვლით) 3. დაუსრულებელი საშუალო (8 კლასის ჩათვლით) 4. საშუალო (10-11 კლასი) 5. საშუალო ტექნიკური 6. არასრული უმაღლესი 7. უმაღლესი
<p>D5. რა არია თქვენი პროფესია?</p>	<p>D6. რამდენი წევრისაგან შედგება</p>

<i>ჩაწერეთ</i> -----	თქვენი ოჯახი? <i>(ჩაწერეთ)</i> ----- 99. უარი პასუხზე
D7. როგორია თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა? 1. ძალიან დაბალი; შემოსავალი კვებაზედაც არ გვეყოფნის 2. დაბალი; შემოსავალი კვებაზე და ჩასაცემელზე ძლიერს გვეყოფნის 3. საშუალო; ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ 4. მაღალი; შეგვიძლია გართობისა და დასვენების ხარჯებსაც გავწვდეთ 5. ძალიან მაღალი	

D8. რა არის თქვენი ძირითადი საქმიანობა?

(ინტერვიუერს: დასაშვებია ერთი პასუხი)

1. ვმუშაობ როგორც დაქირავებული (კონტრაქტით) ხანგრძლივი ვადით
2. პერიოდულად ვმუშაობ მოკლევადიანი კონტრაქტებით (ერთ წელზე ნაკლები), ერთჯერადი შრომითი შეთანხმებით, ვმუშაობ დროებით
3. ვარ მეწარმე, რომელსაც ჰყავს დაქირავებული მუშები (ფერმერების ჩათვლით)
4. დაკავებული ვარ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით (მცირე მესაკუთრეები ქალაქში, ოჯახური იჯარა და ა.შ.)
5. ვმუშაობ საოჯახო სასოფლო მეურნეობაში (გლეხური მეურნეობები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ მუშებს)
6. სასწრაფო სამსახურის სამხედრო მოსამსახურე (რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობები) არმიაში და სხვ.
7. ვსწავლობ კოლეჯში
8. ვსწავლობ უმაღლეს სასწავლებელში
9. ვარ ასაკობრივი/ინვალიდობის პენსიონერი
10. ვუძღვები საოჯახო მეურნეობას (დეკრეტულ შვებულებაში ან ბავშვის მოვლის შვებულებაში მყოფ პირთა ჩათვლით)
11. ვარ დროებით უმუშევარი/უმუშევარი
სხვა (ჩაწერეთ) -----

99. *მიჭირს პასუხის გაცემა*

დანართი 2

1) სადისკუსიო გეგმა

საქართველოში დაბრუნებულ ემიგრანტებთან ინტერვიუს ჩასატარებლად

მისაღმება, კვლევის მიზნების გაცნობა

ემიგრაციის მოკლე ბიოგრაფია: ასაკი განათლება ოჯახური მდგომარეობა, დასაქმება.

– როდის წავიდა საზღვარგარეთ პირველად, რომელ ქვეყანაში/ ქალაქში (ემიგრაციის ისტორია)

–რა იყო ია ძირითადი მიზეზი/მიზეზები, რის გამოც გადაწყვიტეთ საზღვარგარეთ წასვლა? თუ გაიხსენებთ როგორ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება? რა რა მოტივები, რა საუბრები გახსენდებათ ამ გადაწყვეტილების მიღებაში? თუ კი–ვინ? (ოჯახის წევრები, მეგობრები, თუ სხვა ემიგრანტები) თუ ამ გადაწყვეტილების მიღებაში მთელი ოჯახი იყო ჩართული, ვისი აზრი აღმოჩნდა გადამწყვეტი, და რატომ?

–რა არგუმენტები გქონდათ წასვლის მხარდამჭერი?

–რა არგუმენტები გქონდათ წასვლის საწინააღმდეგო?

–რა იყო ემიგრაციის ძირითადი მიზანი? (ოჯახის დახმარება, ახალი ქვეყნის ნახვა, განათლების მიღება, ენის შესწავლა)

–რამ განაპირობა საქმიანობა ქვეყნის არჩევანი?

–ნაცნობები, ნათესავები, მეგობრები თუ დაგეხმარნენ? თუ კი-ვინ?

–რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის დახმარება, რაც მათ აღმოუჩინეს? ონკრეტულად რა სახის დახმარება იყო?

–თუ მისი წასვლა ამა თუ იმ ქვეყანაში განპირობებული იყო ამ დახმარებით, საზღვარგარეთ რომ არ ყოფილიყვნენ უკვე წასული ნათესავები, მეგობრები, ან ნაცნობები, წავიდოდა თუ არა ემიგრაციაში? თუ კი –რატომ?

ემიგრაციის ფორმა–მარშრუტი

–როგორ წახვედით? (სამგზავრო თანხა, ვიზის ტიპი, ემიგრაციის მარშრუტი)

–ვიზის გაკვეთებასთან დაკავშირებით გქონდათ თუ არა რაიმე პრობლემა?

–რა თანხა დაგჭირდათ გასამგზავრებლად?

- როგორი იყო სამგზავრო თანხის წარმომავლობა? (თუ ეს ვალი იყო რა სახის?)
- ქვეყნის შერჩევა თუ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ქვეყნის ვიზის „გააქეთება“ უფრო იაფი ჯდება?
- საზღვარგარეთ თუ დაგხვდათ ვინმე ნაცნობი, მეგობარი ან ნათესავი? თუ კი-ვინ?
- უცხო ქვეყანაში რაიმე დახმარება ხომ არ აღმოგიჩინეს? (ბინა, სამსახური)
- როგორი იყო ეს დახმარება?
- ვინ დაგეხმარათ?
- რამდენად ხანგრძლივი იყო ეს დახმარება?

- იყვნენ თუ არა იმ ქალაქში/სოფელში, სადაც თქვენ ცხოვრობდით, სხვა ქართველი ემიგრანტები?
- ადრევე იცნობდით მათ თუ იქ გაიცანით?
- რა ურთიერთობები გქონდათ იქაურ ქართველებთან, კახეთიდან ემიგრირებულებთან?

- რაც წასული იყავით, დაეხმარეთ თუ არა რომელიმე თქვენს ოჯახის წევრს ნათესავს, ან მეგობარს საზღვარგარეთ წასვლაში?
- თუ კი-ვის?
- როგორ და რა დახმარება აღმოუჩინეთ? (თუ დახმარება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა რატომ? იზეზები?)
- ვისი ინიციატივით მოხდა ეს?
- რამდენად ხშირად უკავშირდებოდით ოჯახს? ღოგორ უკავშირდებოდით?
- ახერხებდით თუ არა ოჯახის დახმარებას? და სახის დახმარება იყო ეს? (ყოველთვიური მეტ-ნაკლებად სტაბილური თანხა, ნივთიერი, ინვესტიცია)?
- რაში და როგორ იხარჯებოდა ეს დახმარება?
- იყო თუ არა პერიოდი, როდესაც ვერ ახერხებდით ვერაფრის გამოგზავნას? და შემთხვევაში ხდებოდა ეს?

- თქვენი შეფასებით, საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში, რა იყო ამ გამოცდილების ყველაზე უფრო დადებითი მხარეები?
- რა იყო ყველაზე უფრო უარყოფითი მხარეები?
- თუ გავითვალისწინებთ თქვენი გამოცდილების როგორც უარყოფით, ასევე

დადებით მხარეებს, თქვენი აზრით, რომელი „გადაწონი“, რა უფრო მეტი იყო ამ გამოცდილებაში?: დადებითი მხარე თუ უარყოფითი მხარე? რატომ?

– ეხლა რომ იღებდეთ გადაწყვეტილებას საზღვარგარეთ წასვლის შესახებ, მას შემდეგ რაც უკვე გაქვთ საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მუსაობის გამოცდილება, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდით?

– როგორ ფიქრობთ, საბოლოო ჯამში, თქვენი საზღვარგარეთ წასვლა და მუშაობა, პირადად თქვენთვის დადებითი გამოცდილება იყო თუ უარყოფითი? რატომ?

– როგორ ფიქრობთ თქვენი საზღვარგარეთ ყოფნა რომ არა, როგორ მატერიალურ მდგომარეობაში იქნებოდა თქვენი ოჯახი იმ დროის მანძილზე რაც წასული იყავით?

– როდის დაბრუნდით?

– რატომ დაბრუნდით?

– მას შემდეგ რაც დაბრუნდით ხომ არ ნანობთ? ღატომ?

– რას საქმიანობთ დაბრუნების შემდეგ?

– კიდევ ხომ არ ფიქრობთ საზღვარგარეთ წასვლაზე?

– საშუალება რომ გქონდეთ, კიდევ წახვიდოდით თუ არა? რატომ? თუ კი-ისევ იმ ქვეყანაში, თუ სადმე სხვაგან? რატომ?

– თქვენი ნაცნობებიდან (კახეთის რეგიონიდან) რამდენი ქალია წასული საზღვარგარეთ?

– რომელ ქვეყანაში არიან ისინი?

– რა ასაკის?

2) სადისკუსიო გეგმა პოტენციური ემიგრანტები

მისაღმემა, კვლევის მიზნების გაცნობა

(პოტენციური ემიგრანტი)

–ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობა

(დასაქმების ისტორია, მუშაობდა/არ მუშაობდა, შემოსავალი)

–სად დაიბადეთ?

–ხართ თუ არა საქართველოს ფარგლებს გარეთ? თუ კი- საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრების რამდენად ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი გამოცდილება გაქვთ?

–რა არის ის ძირითადი მიზეზები რის გამოც თქვენ გაქვთ სურვილი რომ წახვიდეთ საზღვარგარეთ?

–ძირითადი მიზანი რისთვისაც გინდათ წასვლა. (ოჯახისდახმარება, ახალი ქვეყნაში ცხოვრება, სწავლა).

–რამდენი ხანია რაც გადაწყვეტილი გაქვთ, რომ საზღვარგარეთ წახვიდეთ?

–როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ? (ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ, თუ მთელმა ოჯახმა გადაწყვიტა?)

– რა არგუმენტები იყო წასვლის მხარდამჭერი?

–რა არგუმენტები იყო წასვლის საწინააღმდეგო?

–თუ ამ გადაწყვეტილების მიღებაში მთელი ოჯახი იყო ჩართული, ვისი აზრი აღმოჩნდა გადამწყვეტი და რატომ?

–რომელ ქვეყანაზე შეჩერდა თქვენი არჩევანი?რატომ? როგორ მოხდა ამ ქვეყნის შერჩევა?

–სხვა რა ქვეყნებს განიხილავდით?

–რამ განაპირობა, რომ საბოლოოდ მაინცდამაინც ამ ქვეყანაში გადაწყვიტეთ წასვლა? (ამ არჩევანზე ხომ არ იმოქმედა იმ ქვეყანაში ნაცნობების, მეგობრების, ნათესავების ყოფნამ?)

–რომელ დასახლებულ პუნქტში მიემგზავრებით? რატომ/როგორ მოხდა კონკრეტულად ამ დასახლებული პუნქტის შერჩევა?

–როდის გეგმავთ გამგზავრებას?

–უკვე თუ სცადეთ გამგზავრება, მაგრამ ვერ მოახერხეთ? რა მიზეზით ვერ მოახერხეთ?

- გეხმარებათ თუ არა ვინმე გამგზავრებაში? თუ კი-ვინ?
- კონკრეტულად როგორ გეხმარებიან? რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს დახმარება?
- მოახერხებდით თუ არა საზღვარგარეთ წასვლას ეს დახმარება რომ არ იყოს?
- საზღვარგარეთ რომ არ ყოფილიყვნენ თქვენი ახლობლები/მეგობრები წასულები, მოახერხებდით თუ არა წასვლას თუ გაგიჭირდებოდათ? თუ კი/არა-რატომ?

გასამგზავრებელი ვიზა

- უკვე სცადეთ თუ არა ვიზის მიღება? რამდენჯერ?
- ვიზის მიღებასთან დაკავშირებით თუ გქონდათ რამე პრობლემა? რა სახის პრობლემა იყო? ვინ დაგეხმარათ ამ პრობლემების მოგვარებაში?
- ქვეყნის შერჩევა თუ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი ქვეყნის ვიზის „გაკეთება“ უფრო იაფი ჯდებოდა?
- რა თანხაა საჭირო გასამგზავრებლად? სამგზავროდ საჭირო თანხის წარმომავლობა? (ვალი?, რა სახის? რამდენ ხანში გეგმათ ამ ვალის დაბრუნებას?)
- საზღვარგარეთ დაგხვდებათ თუ არა ვინმე ნაცნობი/მეგობარი/ნათესავი? თუ კი-ვინ?
- როგორ ფიქრობთ, დაგეხმარებიან თუ არა ისინი ბინის/სამსახურის პოვნაში? ვინ დაგეხმარებათ? კერძოდ რაში დაგეხმარებიან?
- არიან თუ არა იმ ქალაქში, სადაც აპირებთ წასვლას, ქართველი და კერძოდ კახეთიდან ჩასული ემიგრანტები?
- თუ გსმენიათ იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ წასული თქვენი რეგიონი, და კონკრეტულად თქვენი რაიონის ემიგრანტს დახმარება აღმოეჩინოს თავისი ახლობლისათვის, მეგობრისათვის, ოჯახის წევრისათვის და სხვა.

- რა გრძნობები გეუფლებათ თქვენი ემიგრაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით? (იმედი, შიში, დარდი...)
- როდესაც გამგზავრებაზე ფიქრობთ, ყველაზე მეტად რაზე დარდობთ, რა გაფიქრებთ?
- და რა გახარებთ გამგზავრებასთან დაკავშირებით?
- თუ შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი რაიონის ნაცნობებიდან დაახლოებით რამდენი ქალია წასული საზღვარგარეთ?

–რომელ ქვეყანაში არიან ისინი წასულები?

–რა ასაკისანი არიან?

–თქვენი ნაცნობებიდან (თქვენს რაიონში) დაახლოებით რამდენ ქალს იცნობთ, ვისაც გადაწყვეტილი აქვს საზღვარგარეთ წასვლა უახლოეს პერიოდში?

–რომელ ქვეყანაში სურთ წასვლა?

–რა ასაკისანი არიან?

–ზოგი ახერხებს წასვლას, ზოგი-ვერა. ისინი, ვინც ვერ ახერხებს წასვლას, თქვენი აზრით, ძირითადად რის გამო ვერ ახერხებენ? რა არის ხელისშემშლელი ფაქტორი?

–რაც შეეხება მათ, ვინც ახერხებს წასვლას, თქვენი აზრით, რა უწყობთ ხელს მათ ამაში?

–ბოლო ერთი წლის მანძილზე, რამდენი თქვენი ნაცნობი ქალი წავიდა საზღვარგარეთ?

–რომელ ქვეყანაში?

–რა ასაკისანი?